




კონსტიტუციური და მთავრობის კვლევითი
ცენტრი

THE REGIONAL CENTRE FOR RESEARCH
AND
PROMOTION OF CONSTITUTIONALISM

კონსტიტუციონალიზმის დილექტი

კახი ყურაშვილი
კონსტანტინე ჩოკორაია
ანა ბუჩუკური



ბიკამერალიზმის დილემები

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის
რეგიონალური ცენტრის მეცხრე გამოცემა

პ. ყურაშვილი, პ. ჩოკორაია, ა. ბუჩუკური

ბიკამერალიზმის დილემები

ნაშრომი მომზადებულია სსიპ - „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის“ დაკვეთით, სამართლის დოქტორ, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სრულ პროფესორ კახი ყურაშვილის, სამართლის მაგისტრ კონსტანტინე ჩოკორაიასა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტ ანა ბუჩუკურის მიერ და განკუთვნილია ბიკამერალიზმის, პარლამენტარიზმისა და ზოგადად კონსტიტუციური სამართლით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის. ნაშრომში განხილულია ბიკამერალიზმის არსი და სოციალური დანიშნულება, მოცემულია საზღვარგარეთის ქვეყნების ორპალატიანი საპარლამენტო სისტემების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, რუსეთის ფედერაციისა და პოლონეთის მაგალითებზე, განხორციელებულია ბიკამერალიზმის კონსტიტუციური პრინციპის ნორმატიული ანალიზი, ჩამოყალიბებულია აგტორთა ხედვა ბიკამერალიზმის რეალიზაციის პერსპექტივებზე საქართველოში. ნაშრომი საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს საჯარო ხელისუფლების ორგანიზებში დასაქმებულთათვის, პოლიტიკური საარჩევნო სუბიექტებისათვის, ასევე შეუძლია დამხმარე, დამატებითი სასწავლო ლიტერატურის ფუნქცია შეასრულოს სამართალმცოდნების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის.

რედაქტორი: ავთანდილ დემეტრაშვილი, სსიპ - „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის“ ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი

კველა უფლება დაცულია. არ შეიძლება ამ ნაშრომის არანაირი ფორმითა და საშუალებით გადატვიდვა ნაშრომის ავტორთა და კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე

© კახი ყურაშვილი, კონსტანტინე ჩოკორაია, ანა ბუჩუკური

© კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

ბათუმი
2011

შესაბამის	4
თავი I. ბიკამერალიზმის არსი და ზოგადი დახასიათება	10
თავი II. საზღვარგარეთის ქვეყნების ორპალატიანი საპარლა- მენტო სისტემების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი	22
§ 1. ბიკამერალიზმის ზოგადი შედარებითი ანალიზი	22
§ 2. ბიკამერალური პარლამენტები საზღვარგარეთის ქვეყნებში	25
2.1. ამერიკის შეერთებული შტატები	26
2.2. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	31
2.3. რუსეთის ფედერაცია	41
2.4 პოლონეთის რესპუბლიკა	48
თავი III. ბიკამერალიზმი, როგორც კონსტიტუციურ- სამართლებრივი პრინციპი და მისი რეალიზაციის პერსპექტივა საქართველოში	57
დასკვნა	79
დანართები	80
გამოყენებული ლიტერატურა	82

16 წელი გავიდა, რაც საქართველოს კონსტიტუცია საქართვე-
ლოს პარლამენტის ბიკამერალური ანუ ორპალატიანი სისტემის
დეკლარირებას ახდენს, თუმცა საქართველოს კონსტიტუციის მე-4
მუხლის ქართული პარლამენტის მახასიათებელ სინამდვილედ
ქვევა 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ნაწილიც ვერ გახდა.
საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის
პიპოთებული ნაწილი ბიკამერალიზმის დამკვიდრების წინაპირობად
საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნასა
და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებას
განსაზღვრავს. ამ წინაპირობის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის კონტექ-
სტიდან გამომდინარე გავრცელებული ინტერპრეტირება, იმის სა-
შიშროებას ქმნის, რომ ბიკამერალიზმი, როგორც ქართული პარ-
ლამენტარიზმის კონსტიტუციური პრინციპი, უმოქმედო ნორმად შეი-
ძლება დარჩეს ხარგვრძლივი დროით, ვინაიდან, ერთი მხრივ, ბიკა-
მერალიზმს საქართველოში აღიქმება როგორც საკანონმდებლო ხე-
ლისუფლების განხორციელებისას ტერიტორიული წარმომადგენლო-
ბის უზრუნველყოფის საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ, „საქართვე-
ლოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნაში“, როგ-
ორც წესი, მოიაზრებენ საქართველოს ოფუძირებული ტერიტორიე-
ბის დეოკუპაციასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის
აღდგენას.

პარლამენტის ორ პალატად დაყოფის არსის ერთმნიშვნელოვ-
ნად განსაზღვრა მნელია.

ისტორიულად ბიკამერალიზმის იდეა „განცალკევებული წარმო-
მადგენლობის“ პრინციპს ითვალისწინებდა. შარლ მონტესკიე თვლი-
და, რომ წოდებები, განსაკუთრებით მცირერიცხოვანი, მაგრამ იმავ-
დროულად ავტორიტეტული წოდებები (არისტოკრატია, სამღვდე-
ლოება) საკანონმდებლო ორგანოში გამოცალავებულ წარმომადგენ-
ლობას საჭიროებდნენ; მათვების უნდა დადგენილიყო წარმომად-
გენლობის შესაბამისი ქვეტები პარლამენტში; საფრანგეთში, XVIII
საუკუნის ბოლოს, სწორედ ამ პრინციპით შეიკრიბა გენერალური
შტატები, რომელიც სამი სექციისაგან შედგებოდა - დიდებულების,
სამღვდელოებისა და მესამე ფენისაგან. ამგარი სისტემა შენარ-
ჩუნებულია ტონგაში, რომლის პარლამენტის - საკანონმდებლო
ასამბლეის - 9 წევრი აირჩევა ადგილობრივი პერების მიერ საკუ-
თრი შემადგენლობიდან.

”განცალკევებული წარმომადგენლობის“ პრინციპის რეალიზა-
ციის მეორე ისტორიული ფორმა გახდდათ ორპალატიანი პარლა-
მენტი, სადაც ერთ-ერთი პალატა იყო ხალხის წარმომადგენლობითი

ორგანო, ხოლო მეორე პალატა შედგებოდა პრივილეგირებული წოდებების წარმომადგენლებისაგან. თანამედროვე მსოფლიოში წოდებრივწარმომადგენლობითი პალატები პარლამენტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში თითქმის აღარ გვხვდება. გამონაკლისს, რამდენიმე სახელმწიფოსთან ერთად, წარმომადგენს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, რომლის პარლამენტის ჟედა - ლორდთა პალატა - შედგება საერო და სასულიერო პერებისგან, ხოლო ქვედა - თემთა პალატა - ყალიბდება ხალხის მიერ არჩევნების გზით.

პარლამენტების სტრუქტურული ორგანიზაციის თანამედროვე მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ „განცალკევებული წარმომადგენლობის“ პრინციპი ბიკამერალიზმის არსში პრაქტიკულად აღარ ძვრს. დღეისათვის, მსოფლიოს ბიკამერალური პარლამენტების აბსოლუტურ უმრავლესობაში პალატათა ფორმირების აღიარებული წესია საყვალითაო და თანასწორი საარჩევნო უფლება.

პარლამენტარიზმის განვითარების რადაც ეტაპზე ბიკამერალიზმა რთულ ფედერაციულ სახელმწიფოებში განხსნავებული ხოციალური ფუნქცია შეიძინა. ფედერალიზმის არსი მხოლოდ ფედერაციის სუბიექტად ორგანიზებული ტერიტორიული ერთეულის სუვერენიული, ავტონომიური უფლებებით აღჭურვას როდი გულისხმობს, არამედ ფედერაციის სუბიექტების უნარსა და შესაძლებლობასაც, ზემოქმედება მოახდინონ ფედერალური ხელისუფლების, უპირველეს უკავისა, ფედერალური საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაზე. სწორედ ამის გამო, თითქმის ყველა ფედერაციულ სახელმწიფოში პარლამენტი ბიკამერალურია, ხოლო პარლამენტის ერთ-ერთი პალატა ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლობით საკანონმდებლო პალატას წარმომადგენს. ამ შემთხვევაში ხალხი, როგორც ხელისუფლების სუვერენი, წერო, საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზებასა და განხორციელებაში თითქოს ორმაგი მანდატით მოქმედებს: წარმომადგენლობითი დემორატიის სარეალიზაციოდ ქვედა პალატას აყალიბებებს როგორც ერთიანი სუბიექტი, ხოლო ჟედა პალატას ქმნის ტერიტორიული წარმომადგენლობის პრინციპზე დაყრდნობით.

ნიშანდობლივია, რომ პარლამენტის ბიკამერალურ სტრუქტურაზე უარს არ ამბობენ არც უნიტარული ტერიტორიული ორგანიზაციის მქონე სახელმწიფოები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათი ტერიტორიული ორგანიზაციის სისტემაში ავტონომიური ერთეულებით ჩამოყალიბებული. ამ შემთხვევაშიც, ერთ-ერთი პალატა ყალიბდება ხალხის მიერ ტერიტორიული წარმომადგენლობის პრინციპზე დაყრდნობით სახელმწიფოს აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობით პალატად.

თუმცა, ბიკამერალიზმის არსის ამოსახსნელად არც ტერიტორიული წარმომადგენლობის პრინციპის რეალიზაცია გამოდგება ერთმნიშნელოვნად. ის, რომ ტერიტორიული წარმომადგენლობის პრინციპი ბიკამერალიზმის არსში ყოველთვის არ ძვრს, ნორვეგის პარლამენტის - სტორტინგის 2009 წლამდე მოქმედი სტრუქტურითა და არჩევის წესით დასტურდება. სტორტინგი 2009 წლამდე ორპალატიანი ანუ ბიკამერალური იყო, ამასთან, პალატების - ლაგტინგისა და ოდელსტინგის - ფორმირება ხდებოდა სტორტინგის შემაღებლობის არჩევის შემდგომ, დეპუტაციის 1/4-ის ლაგტინგში, ხოლო 3/4-ს ოდელსტინგში განწევების გზით. ასევე ვერ ავსნით ტერიტორიული წარმომადგენლობის პრინციპით ამგრიერ შეერთებულ შტატებში შტატების ლეგისლატურათა (ადგილობრივი პარლამენტების) აბსოლუტური უმრავლესობის (გარდა ნებრასკას შტატისა) ბიკამერალურიას, ხოლო პოლონეთის რესპუბლიკაში - სენატის ფუნქცია და ინსტიტუციური დანიშნულება დღესაც დავის საგნად რჩება.

ჯონ მედისონი, ასაბუთებდა რა, აშშ-ის კონგრესის ბიკამერალურ ორგანიზაციას, ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ საკანონმდებლო კრებები შემთხვევაში მიღრებილნი არიან სხვადასხვა საპარლამენტო ფრაქციების მიერ პროგრამის შემთხვევაში და არაზომიერო, ემოციური გადაწყვეტილებები მიიღონ, სხვა სიტყვებით, ბიკამერალიზმი ემსახურება ამორჩეველს, თავი დაიცვას საკუთარი შეცდომებისგან, ხელს უშლის საკანონმდებლო ორგანოს, გადაიცეს „ბრძოს მოსამსახურედ“.

არ შეიძლება, არ ვადიაროთ, რომ ნებისმიერმა საკანონმდებლო პალატამ შეიძლება მიიღოს ნაჩქარევი და დაუბალანსებელი გადაწყვეტილება, თუმცა ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებისკენ ქვედა საპარლამენტო პალატები უფრო არიან მიღრებილები, რომლებსაც, როგორც წესი, პარტიული სიებით პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოყენებით ირჩევენ და უფრო კონსოლიდირებულნი არიან პარტიული სტრატეგიით და პოზიციით.

როგორც წესი, ქვედა პალატა უფრო ადეკვატურად ასახავს ამორჩეველთა განწყობას, ხოლო გამოყენებული საარჩევნო სისტემისა თუ უფლებამოსილების ქვედა პალატასთან შედარებით მეტი ვადის გამო, პარლამენტის ზედა პალატა პრაქტიკულად უფრო კონსერვატიულია ხოლმე; შესაბამისად, დაბალანსებული და აუზქარებელი, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად, ზედა პალატა ქვედა პალატის ერთგვარ შემაკავებელ ფუნქციას ასრულებს. ბიკამერალიზმის პირობებში თავად საკანონმდებლო ხელისუფლების შტოს შიგნით ინსტიტუციურად იქმნება შეკავებისა და გაწონასწორების ეფექტური სისტემა, რაც ამცირებს საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებისას ნაჩქარევი, დაუბალანსებელი და დაუ-

ფიქრებელი გადაწყვეტილებების მიღების რისკებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, პალატათა შორის დავასა და დისკუსიაში უფრო სავარაუდო, რომ დაიბადოს პოლიტიკური ჭეშმარიტება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკანონმდებლო ორგანოს ბიკამერალიზმი, უმეტეს შემთხვევაში, საპარლამენტო საქმიანობის (შრომის) ერთგვარი გამანაწილებლის ფუნქციასაც ასრულებს, რაც პალატებისათვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელების ეფექტურობის ზრდას უნდა უწყობდეს ხელს.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლივი გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ საჭიროა ბიკამერალური სისტემის ქართული პარლამენტარიზმის სინამდევიდებში იმპლემენტაციის უფრო ეფექტური და კომპლექსური დასაბუთება, რათა საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლში დეკლარირებული ბიკამერალიზმის არსი არ იქნას დავვანილი მხრილოდ ტერიტორიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფამდე. ბიკამერალიზმი ტერიტორიული ერთეულების საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში უშუალო ჩართულობის სოციალური დანიშნულების მატარებელია, თუმცა ამასთან ერთად, მას საკანონმდებლო ხელისუფლების გაძლიერების, საპარლამენტო ხელისუფლების განხორციელების უწყვეტობის უზრუნველყოფის, დაბალანსებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობისა და, ასევე, შრომის განაწილების სოციალური ფუნქციებიც აქვთ.

ბუნებრივია, და აქ ავტორებს არა აქვთ საზოგადოებისა და კონსტიტუციის ავტორებისაგან განსხვავებული პოზიცია, რომ ბიკამერალიზმი თავად საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, განსაკუთრებით, თუ დავაკვირდებით საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსს, წარმომადგენს საქართველოს ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობის უზრუნველყოფის საშუალებას, ვინაიდან საქართველოს პარლამენტის სენატი უნდა შედგებოდეს „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან“. თუმცა, აქ ლოგიკურად იბადება რამდენიმე კითხვა:

- საქართველოს პარლამენტში სენატისა და რესპუბლიკის საბჭოს ფორმირება მხოლოდ ტერიტორიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის საშუალებაა, თუ კონსტიტუციურმა კანონმდებელმა ბიკამერალიზმის პრინციპის კონსტიტუციური რეგლამენტაციისას ამ პრინციპის სხვა პოზიტიური თავისებურებებიც ივარაუდა?

- თუ საქართველოს პარლამენტში სენატისა და რესპუბლიკის საბჭოს ფორმირება მხოლოდ ტერიტორიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის საშუალებაა, ებმის თუ არა დროში ამ პრინციპის

რეალიზაცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხებს? და თუ ეს ასეა, მაშინ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისა და საქართველოს ტერიტორიების საგულისხმო ნაწილის (20%-ის) ოკუპირების პირობებში, ბიკამერალიზმის სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის პრინციპის კონსტიტუციური რეგლამენტაციის, ტერიტორიათა დეოკუპაციასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრიცესის დასრულებასთან მიმმით, ბიკამერალიზმის კონსტიტუციური პრინციპის პრაქტიკის რეალიზაცია განუსაზღვრელი ვადით ხომ არ გადაიდება?

- ასევე, საინტერესოა, ბიკამერალიზმის პრინციპის რეალიზაცია და პარლამენტის ზედა პალატის სახელმწიფოს ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობით ორგანოდ ფორმირება წარმოადგენს სახელმწიფოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისაგნ მიმმავალ გზაზე პოლიტიკურ და სამართლებრივ ბერკეტს თუ დეკუპაციის შედეგს?

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია საზოგადოების, განსაკუთრებით კი, პილიტიკურ და იურისტთა წრეებში მოხდეს ბიკამერალიზმის კონსტიტუციური პრინციპის რეალიზაციის საკითხის აქტივაცია, უფრო მეტი ითქვას და დაიწეროს ბიკამერალიზმის არსებები, მისი როგორც პარლამენტის ორგანიზაციის მოდელის თავისებურებებსა და სოციალურ დანიშნულებაზე, უცხოურ გამოცდილებასა და პრაქტიკაზე. ყოველივე ეს უფრო აქტუალურს გახდის ბიკამერალიზმის დანერგვის პერსპექტივას ქართულ პარლამენტარიზმში.

წარმოდგენილი ნაშრომით გვხვდეს, მცირე წვლილი შევიტანოთ ამ საქმეში, თუმცა თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს ბიკამერალიზმის არსისა და მისი რეალიზაციის ფორმების კომპლექსური მეცნიერული კვლევა, რაც, ბუნებრივია, საკაოდ ფრთმასშებაბიანი და ინტერდისციალინური კვლევის საგანს წარმოადგენს და ამ ნაშრომის ფორმატში არ ჯდება. ჩვენი მიზანია, მარტივი და საზოგადოების ფართო უცნებისათვის გასაბები ენით ავსნათ პარლამენტის ორგანიზაციული სტრუქტურის დანიშნულება და სოციალური ფუნქციები, საზოგადოებას გავაცნოთ თანამედროვე ბიკამერალური პარლამენტების ფორმირებისა და მუშაობის წესები, კომპეტენციები და უფლებამოსილებათა გამოჯვნის მოდელები ცალკეული ქვეყნების მაგალითზე, აქსნათ ქართული პარლამენტარიზმის ეფორულ ეტაპსა და პერსპექტივაში ბიკამერალიზმის დილემები და საშუალება მივცეთ ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს, აკადემიკურ დონეზე დაიწერ დისკუსია საქართველოს პარლამენტის ორ პალატად ორგანიზების პერსპექტივაზე.

ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომის არქიტექტონიკაში სამ ბლოკს მოიცავს: ბიკამერალიზმის არსის ზოგად დახასიათებას, საზღვარგარეთის ქვეყნების ორპალატიანი საპარლამენტო სისტემების შედარებით-სამართლებრივ ანალიზს აშშ-ის, გერმანიის, რუსეთის ფედერაციისა და პოლონეთის რესპუბლიკის მაგალითებზე, ასევე, ბიკამერალიზმის კონსტიტუციური პრინციპის ნორმატიულ ანალიზსა და რეალიზაციის პერსპექტივებს საქართველოში. პლეზისას გამოყენებულ იქნა სამეცნიერო იდეების ანალიზის, შედარებით-სამართლებრივი ანალიზის, ასევე, ინდუქციური და პრობლემური ანალიზის მეთოდები.

თავი I.

ბიკამერალიზმის არსი და ზოგადი დახასიათება

“ბიკამერალიზმი” (ლათინურიდან - “bi” - პალატა) თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული საპარლამენტო ინსტიტუციური სისტემა და ბიკამერალურ პარლამენტია რაოდენობა თანდათან მატულობს. ორპალატიანი საპარლამენტო სისტემა პირველად XIV საუკუნის ინგლისსა¹ და XVIII საუკუნის ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა, თუმცა ამ ორ რადიკალურად განსხვავებულ სამყაროში ორპალატიან წარმომადგენლობით ორგანოს სხვადასხვა დანიშნულება პქონდა.

ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც კლასიკური ფედერაციული სახელმწიფოს, კონსტიტუცია, ბიკამერალური კონგრესის დაფუძნებით, ძირითადად მიზნად ისახავდა ფედერაციის სუბიექტების – შტატების წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფას ფედერალურ დონეზე. სწორედ ამ საფუძვლით ჩამოყალიბდა აშშ-ის საკანონმდებლო ორგანო – კონგრესი ორ პალატად. ამერიკულ ბიკამერალიზმს საფუძვლად ედო კავშირის წევრ სუბიექტთა თანასწორ წარმომადგენლობა.

განსხვავებული მიზანი პქონდა ლორდთა პალატას ინგლისში; კერძოდ, ეს იყო უპირატესობის მქონე სოციალური კლასისთვის (ძირითადად, არისტოკრატიული ელიტისთვის) გარკვეული პოლიტიკური ძალაუფლებისა და გარანტიების მიცემა², რაც უპირატესად ინგლისური რეკოლუციის კომისიონის სოციალური ბუნებით არის დეტერმინირებული.

ჯერ კიდევ უძველეს რომსა და ათენში არსებული ერთპიროვნული მმართველების მრჩეველი/სათათბირო ორგანოები, რომლებიც პარლამენტარიზმის იდეის პროტოტიპიად შეგვიძლია მივიჩნიოთ, სენატებად იწოდებოდნენ. მაშინდელი ქაზიშარმომადგენლობითი სენატი, როგორც წესი, იმპერატორის ნდობით აღჭურვილი დიდგვაროვანი პირებისაგან შედგებოდა³. ცხადია, ეს მრჩეველი/სათათბირო ორგანოები დღევანდელი პარლამენტარიზმის არსისგან შორსაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიკამერალურ პარლამენტთა ზედა პალატები, ხშირ შემთხვევაში, სწორედ რომ სენატებად იწოდებიან (აშშ, ავსტრალია, ბელგია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, საქართველო და სხვ).

¹ ელექტრონული წყრი: <http://www.parliament.uk/about/living-heritage/evolutionofparliament/originsofparliament/birthofparliament/overview/edward/>

² Bicameralism around the world: position and prospects - <http://www.senat.fr/senatsdumonde/introenglish.html>.

³ “The Constitutional Choice of Bicameralism” Abhinay Muthoo and Kenneth A. Shepsle; 2007.

ამერიკულ და ინგლისურ მაგალითებზე დაყრდნობით საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელი ინსტიტუციის სტრუქტურა მრავალმა სახელმწიფომ შეცვალა. თავდაპირველად, რთული ტერიტორიული მოწყობის რესპუბლიკური მმართველობის სახელმწიფოული მოწყობის ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითით აღმოჩნდა მისადები, ხოლო მონარქიულმა სახელმწიფოულებმა ბიკამერალიზმისაკენ შეორე პალატაში დიდგვაროვანთა წარმოდგენით აიღეს გეზი.

XX საუკუნის მიწურულს ბიკამერალიზმი დიდ და მდიდარ სახელმწიფოებთან ასოცირდებოდა. ოუმცა, საგულისხმოა, რომ საფრანგეთის სენატის 2000 წლის ანგარიშის მიხედვით, უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ორპალატიან საკანონმდებლო ორგანოთა რაოდენობა თითქმის გაიზრდა, რაც, სავარაუდოდ, აღმოსავლეთ ევროპაში პოსტემუნისტური ქვეყნების დემოკრატიზაციის შედეგია⁴.

XXI საუკუნეში, 2009 წლის მონაცემებით, ერთპალატიანი საპარლამენტო სისტემიდან ბიკამერალურ საპარლამენტო სისტემაზე გადავიდა ავღანეთი (ცენტრალური აზიის სამხრეთი), ბაქრეინი (ახლო აღმოსავლეთი), ბურუნდი (ცენტრალური აფრიკა), ბჟუბანი (აზია), ზიმბაბვე (სამხრეთ აფრიკა), იემენი (ახლო აღმოსავლეთი), სენეგალი (დასავლეთ აფრიკა), სუდანი (ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკა), ტუნისი (ჩრდილოეთ აფრიკა) და უზბეკეთი (ცენტრალური აზია)⁵.

საგულისხმოა, რომ ერთპალატიანი საპარლამენტო სისტემიდან ორპალატიანი საპარლამენტო სისტემაზე გადასვლას რიგ ქვეყნებში (მაგ. სენატი, ტუნისი) რეფერენდუმის ჩატარება უსწრებდა წინ, რაც, ჩვენი აზრით, მოცემულ ქვეყნებში პარლამენტის ინსტიტუციური ორგანიზაციის კიდევ უფრო მეტ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

თანამედროვე მსოფლიოს პარლამენტარიზმი იშვიათად, მაგრამ მაინც, საპირისპირო პროცესსაც იცნობს. მაგალითად, ნორვეგიის პარლამენტი – სტორტინგი, 1814 წლის 17 ნოემბრიდან (კონსტიტუციის მიღების თარიღი) მოყოლებული, ბიკამერალურია, თუმცა 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნორვეგიის პარლამენტი 2009 წლიდან ერთპალატიანი გახდა და გაუქმდა მისი ოდენდასტინგად და ლაგბარგად დაყოფა (უნიკამერალიზმს ხმა მისცა – 159-მა წევრმა, 1 იყო წინააღმდეგი, 9 არ ესწრებოდა კენჭისყრას). ადნიშნული, მეტწილად, განპირობებული იყო სტორტინგის ორ

პალატად დაყოფის ფორმალური ხასიათით, ვინაიდან ნორვეგიული სტორტინგი 2009 წლამდეც, ფაქტობრივად, უნიკამერალური (ერთპალატიანი) იყო. ამ შემთხვევაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიკამერალიზმი გამართლებულია იქ, სადაც ბიკამერალური პარლამენტის ფორმირებას ერთი ან რამდენიმე დანიშნულება აქვს.

უდაგოა, რომ თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში პარლამენტი-რიზმის სკეციიფიკის დღეს არ სებული მონაცემები ორპალატიან საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის ტენდენციას ცალსახად აჩვენებს. 2009 წლის მონაცემებით, 81 სახელმწიფოში პარლამენტი ბიქამერალურია (იხ. ცხრილი №1).

ო როგორც ქემოთ აღვნიშნეთ, დროის სკლასთან ერთად ორპალა-
ტიანი პარლამენტის არსებაც განიცადა ცვლილება. თუკი თავდაპირ-
ველად ბიუამერალიზმი, ძირითადად, ფედერალური სახელმწიფოს
მახასიათებლად მოიაზრებოდა, დღეისათვის არსებული ორპალატი-
ანი საპარლამენტო სისტემათა მრავალფეროვნება ბიუამერალიზმის
არსის თანამედროვე აღჭმის ერთვარ გაოლენიაზე მეტყვალეობს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, ბიკამერალურ პარლამენტთა პალატების “ქვედა” და “ზედა” პალატებად დაყოფა მხოლოდ პირობითია და იგი ურთიერთდაქვემდებარებას არ გულისხმობს.

თანამედროვე ბიკამეურალიზმის არსებ საუბრისას, სასურველია, წარმოგახინოთ მისი მრავალფეროვნება და მრავალფეროვნება.

ზოგადად, შეგვიძლია, ბიკამერალიზმის შემდეგი დანიშნულებანი გამოვყოთ:

- გრადიციული წოდებრივი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, რაც იშვიათ ისტორიულ გადმონაშთად შეიძლება დახასიათდეს;

- የዕለታዊ የካርድ ቅድመ አገልግሎት ስምምነት ይፈጸማል

გახსაკუთრებით ახასიათებთ ისეთ ქვეყნებს, სადაც სახელმწიფოს ტარიღისათვის ურანიზაციის ვორმა ფადერაციულია, ან რალიზა-

Ծանոթագրությունը պահպանվելու համար այս կայլ պահպան է առաջարկվում է՝ ուղարկելով ծանոթագրությունը ՀՀ ազգային բարեկարգության ազգային պահպանի կողմէ:

- საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებისას შიდა-ინსტიტუციური შეგავება-გაწონასწორება, რა დროსაც მცირდება პარლამენტის მიერ ნაჩარევი, პოპულისტური, დაუბალანსებელი გადაწყვეტილებების მიღება ოუ საკანონმდებლო ხარვეზების რაო-დენობა;

- საპარლამენტო ხელისუფლების განხორციელებისას შრომის განაწილება, რაც, თავის მხრივ, ზრდის საპარლამენტო საქმიანობის პროცესში;

- საკანონმდებლო ხელისუფლების ინსტიტუციური უწყვეტობა, რადგან პარლამენტის ვადამდე დათხოვნის კონსტიტუციონულობაზე.

⁴ ob. obj.

⁵ ... “...” “...”
Киселева Наталья Васильевна “История и География Современного Бикамерализма”; Геополитика и екодинамика регионов. 2009. Т.5. Вып.1. С.83-86. Раздел II. Прикладные Аспекты Екодинамики.

ღვრულ შემთხვევებში, უნიკამერალური პარლამენტისაგან განსხვავებით, ბიკამერალურ პარლამენტებში, როგორც წესი, ხდება მხოლოდ ერთ-ერთი პალატის დათხოვნა და არა ორივესი ერთად;

- საპარლამენტო პოლიტიკური ძალების ერთგვარი როტაციულობა, როცა ბიკამერალური პარლამენტების უფლებამოსილებათა განსხვავებული ვადების გათვალისწინებით, პარლამენტის შემადგენლობა ერთ-ერთი პალატის მორიგი არჩევნებისას ნაწილობრივ განახლებადია. ამ ღროს, უნიკამერალური პარლამენტისაგან განსხვავებით (თუ, რასაკირველია, უნიკამერალური პარლამენტის შემადგენლობის როტაციული განახლება სპეციალურად არაა კონსტიტუციით რეგლამენტირებული), შესაძლებელი ხდება უფრო ხშირად (პალატის უფლებამოსილების ვადაზე მცირე პერიოდში) მოხდეს პარლამენტის შემადგენლობის ხალხის პოლიტიკური სიმპატიების ადექვატურად ფორმირება. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ხელისუფლებაში პოლიტიკურ ძალთა მონაცემლების თანმიმდევრულობასა და ღროულობას, ამცირებს პოლიტიკური ვნებათადელვისა და არა-კონსტიტუციური პროცესების წამოწევების შანსებს.

უკრადღება უნდა გავამახვილოთ პარლამენტის მაკალიფიცირებელ ორ მუდმივ მახასიათებელზეც: პარლამენტი და, შესაბამისად, მისი ნებისმიერი პალატა, კველა შემთხვევაში უნდა იყოს წარმომადგენლობითი ფუნქციის მატარებელი კოლეგიური ინსტიტუცია და მის მაპროფილებელ ძირიდად ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება - კანონშემოქმედება.

სწორედ ამ ორივე მახასიათებლით არის რეგლამენტირებული საქართველოს პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლში, კერძოდ: “საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას...”. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში კონსტიტუცია პარლამენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისას აქცენტს აკეთებს ამ ორი მახასიათებლიდან მხოლოდ ერთ-ერთზე, მაგალითად, პოლონეთის კონსტიტუციის 95-ე მუხლის თანახმად, “პოლონეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ სეიმი და სენატი”, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ წარმომადგენლობითობა ან/და კანონშემოქმედებითობა შეიძლება არ ახასიათებდეს პარლამენტს/პალატას.

რაც შეეხება პარლამენტის ან/და პალატის ფორმირების წესს, ის სახელმწიფო ხელისუფლების ტრიადაში პარლამენტის ან/და პალატის საკანონმდებლო ხელისუფლების შტოსადმი ინსტიტუციური მიკუთვნადობის საკითხის განმსაზღვრელი არ არის, თუმცა მას ზოგჯერ ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხოლმე.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო და ცალკე აღნიშვნის დირსია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესრატის ფორმირების წესი და, ზოგადად, გერმანიის პარლამენტის ბიკამერალიზმი, რაც იურისტ-კონსტიტუციონალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

გერმანიის პარლამენტს, როგორც წესი, აღიარებენ ბიკამერალური ორგანიზაციის საკანონმდებლო ორგანოდ, სადაც ბუნდესტაგთან ერთად ბუნდესრატს აერთიანებენ. ეს უკანასკნელი შედგება ლანდების (მიწების) და ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების (ბერლინი, ბრემენი, ჰამბურგი) მთავრობათა წევრებისაგან. ბუნდესრატი, უდაკოდ, ფედერალური გერმანიის სუბიექტების წარმომადგენლობითი ორგანო, თუმცა მისი წევრები არ აირჩევიან, არამედ ინიშნებიან და თავისუფლდებიან თავად მიწების (ლანდების) და ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების მთავრობათა მიერ. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ ცალკეულ აგტორთა მიერ ბუნდესრატი არ აღიქმება გერმანიის პარლამენტის ზედა პალატად. აღნიშნული თეორიული დავის თაობაზე აქცენტები გაკეთებულია ქართული კონსტიტუციური სამართლის ლიტერატურაში⁶.

კონკრეტული ქვეყნის პარლამენტის ბიკამერალიზმის არსესა და დანიშნულებაში გასარკვევად, ტენდენციათა საილუსტრაციოდ, მაინც უნდა დავინტერესდეთ, თუ რა პრინციპის საფუძველზე ხდება ბიკამერალური პარლამენტების ე.წ. ზედა პალატების ფორმირება.

უნდა შევინიშნოთ, რომ ზედა პალატის ფორმირების საარჩევნო წესი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. თუმცა, ცალ-ცალკე გამოსაყოფა პირდაპირი წესით და არაპირდაპირი წესით არჩეული, ასევე შერეული წესით არჩეული ე.წ. ზედა პალატები.

პირდაპირი წესით არჩეული ზედა პალატის მქონე ქვეყნების მაგალითებია აშშ, პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, არგენტინა, ავსტრალია, იაპონია, რუმინეთი, შვეიცარია, ურუგვაი და სხვ. ამ ქვეყნების პარლამენტების ზედა პალატების წევრები აირჩევიან საყოველთაო, პირდაპირი არჩევნების გზით, უშაულოდ მოსახლეობის მიერ.

არაპირდაპირი წესით ხდება აგსტრიის, საფრანგეთის, პოლანდიის, ბოსნია-ცერცოგოვინას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და სხვ. ქვეყნების პარლამენტების ზედა პალატის ფორმირება.

შერეული საარჩევნო სისტემა გამოიყენება ესპანეთში, სადაც თითოეული პროვინციიდან აირჩევა 4 სენატორი პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით, ხოლო აგტონომიური საზოგადოე-

⁶ ი.e. “საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლი”; კრებული I; აგტორთა კოლექტივი; რედ. პროფ. ოთარ მელქაძე; თბილისი, 2008; გვ.68 / ო. მელქაძე, 6. რამიშვილი, გერმანიის კონსტიტუციური სამართლი, თბ., მერაბი, 1999, გვ. 83.

ბების საკანონმდებლო კრებები ნიშნავენ თითო სენატორს და ავტონომიური საზოგადოების ტერიტორიაზე მცხოვრებ ყოველ მი-ლიონ მოსახლეზე კიდევ ერთ სენატორს. შერეული წესით ხდება, ასევე, ბელგიის პარლამენტის ზედა პალატის - სენატის ფორ-მორებაც.

ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტის ზედა პალატა შედგება როგორც არჩეული, ისე დანიშნული წევრებისაგან (იხ. ცხრილი №2)⁷. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, არჩეული წევრების რაოდენობა დიდი ოდენობით სჭარბობს დანიშნული წევრების რაოდენობას; მაგალითად, ირლანდიის ეროვნული პარლამენტის ზედა პალატის 60 წევრიდან 49 არჩევითია, დანარჩენ 11 წევრს კი პრემიერ-მინისტრი ნიშნავს. შერეული სახით ხდება უზბეკეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ინდოეთის, უგვიპტისა და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოთა ზედა პალატების ფორმირებაც. აქვე აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის ზედა პალატის - ფედერაციის საბჭოს ფორმირების წესის თავისებურებაც. ფედერაციის საბჭოში შედიან თითოეული ფედერაციის სუბიექტიდან პარიტეტულ საწყისბზე - ორ-ორი წარმომადგენელი: ერთი წევრი აირჩევა ფედერაციის სუბიექტის საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ხოლო მეორე წევრი ინიშნება ფედერალური სუბიექტის აღმასრულებელი ორგანოს უძალესი თანამდებობის პირის მიერ.

საგულისხმოა, რომ სწორედ არჩევითი და დანიშნითი ფორმების ერთობლივ გამოყენებას გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც, მართალია, არ განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის სენატის რიცხოვნებას, მაგრამ აკონკრეტებს, რომ სენატში აუცილებლად იქნება საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრი.

მსოფლიო პარლამენტარიზმის ისტორის პარლამენტის ზედა პალატის ფორმირების ისეთი შემთხვევებსაც, როდესაც მისი ყველა წევრი დანიშნული პირი იყო. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში, როგორც ეს უკვე ითქვა, ლორდთა პალატის წევრთა დანიშნის წესი მისი ისტორიულად წოდებრიც-წარმომადგენლობითი საფუძვლებიდან მომდინარეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტის ზედა პალატის წევრობა მეტ-წილად მემკვიდრეობითაც გადადიოდა, კერძოდ, ლორდთა პალატის შემადგენლობის 2/3-ს ისეთი პერები შეადგენდნენ, რომლებიც ამ თანამდებობას წოდებასთან ერთად მემკვიდრეობით იღებდნენ.⁸

⁷ BICAMERALISM AROUND THE WORLD: POSITION AND PROSPECTS

<http://www.senat.fr/senatsdumonde/introenglish.html>.

⁸ იხ. “საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლი”; კრებული I; ავტორთა კოლექტივი; რედ. პროფ. ოთარ მელქაძე; თბილისი, 2008; გვ.114.

თუმცა, 1999 წელს, ხელისუფლებაში მოსულმა ლეიბორისტებმა მოახერხეს საზოგადოებისათვის მიცემული წინასარჩევნო დაპირებისამებრ დაეწყოთ ლორდთა პალატის რეფორმირება ამავე წელს დამტკიცებული “ლორდთა პალატის შესახებ” აქტის საფუძველზე, რომლის პირველი პუნქტის შესაბამისადაც, “არავის აქვს უფლება იყოს ლორდთა პალატის წევრი მემკვიდრეობითი პერობის ძალით”. რეფორმის შედეგად 788 მემკვიდრეობითი პერიდი მხოლოდ 90-მა პერმა (რომელიც უკელა მემკვიდრეობითი პერის მიერ აირჩევა), ასევე ობერ-ცერემონიებისტერმა, გერალდიკური პალატის მეთაურმა (Earl Marshal) და ლორდ თბერ-გოფმეისტერმა (ლორდ-გამერგერმა - Lord Great Chamberlain) - სულ - 92 წევრმა შეინარჩუნა უფლება, იყოს ლორდთა პალატის წევრი მემკვიდრეობითი პერობის საფუძველზე. კანადაში პარლამენტის ზედა პალატა, სენატი, ისტორიულად ფედერაციის სუბიექტების ინტერესების გამომხატველი და დამცველი იყო. 1867 წლიდან მოყოლებული სენატი პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით განერალ-გუბერნატორის მიერ დანიშნული წევრებისგან შედგება⁹.

მსოფლიოში დღეს გავრცელებული ზედა პალატების ფორმირების წესის მიხედვით, ზოგადად შეგვიძლია დავასკნათ, რომ ბიკამერალიზმი წოდებათა წარმომადგენლობითი ორგანოს როლს უკვე ძალზედ იშვიათად ასრულებს. შესაბამისად, ბიკამერალური პარლამენტის მოწყობისას წინ წამოიწვეს ბიკამერალიზმის ჩვენ მიერ ზემოხამოთვლილი სხვა ფუნქციების როლი და მნიშვნელობა.

ორპალატიანი საპარლამენტო სისტემები, გარდა ფორმირების წესისა, ერთმანეთისგან პალატების უფლებამოსილების გადითაც განსხვავდება. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა ვადით ხდება ბიკამერალურ პარლამენტთა ზედა პალატის წევრთა არჩევა. როგორც წესი, ზედა პალატის წევრთა უფლებამოსილება უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ქვედა პალატის წევრებისა და იგი 4-დან 6 წლამდე მერყეობს. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც, სადაც ზედა პალატის წევრთა უფლებამოსილების ვადა კიდევ უფრო დიდია, მაგალითად, ბრაზილიაში ეროვნული კონგრესის ზედა პალატის - ფედერალური სენატის წევრთა უფლებამოსილების ვადა 8 წელიწადს შეადგენს, თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ დამკიდრებულია პალატის ნაწილობრივი განახლების, როტაციის პრაქტიკა, კერძოდ, 4 წელიწადში ერთხელ ხდება ფედერალური სენატის წევრთა ერთი მესამედიოთა და ორი მესამედიოთ მონაცვლეობით განახლება. ბრაზილიის მსგავსად, ზედა პალატის ნაწილობრივი განახლება გათვალისწინებულია საფრანგეთის შემთხვევაშიც, რომლის სენატის წევრები აირჩევიან 6 წლის ვადით, სამ წელიწადში

⁹ იხ. იქვე გვ.257

ერთხელ ნახევრის განახლებით. ნაწილობრივ განახლებას ექვემდებარება, ასევე, არგენტინის, ავსტრალიის, ჩეხეთის რესპუბლიკის, ჩილეს, ეგვიპტის, ჰაიტის, ინდოეთის, იაპონიის, მაროკოსა და ფილიპინების პარლამენტების ზედა პალატები. ასეთ ვითარებაში, პარლამენტის ზედა პალატაც იძულებული ხდება, ხალხის მაჯისცემაზე მუდმივად ედოს ხელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კლასიკური გაგებით, ბიკამერალიზმის დანიშნულება ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში გარკვეული სოციალური, მათ შორის, ტერიტორიული პრინციპით ორგანიზებული ჯგუფების ან მთლიანად ხალხის წარმომადგენლობა. ამასთან, როგორც წესი, ბიკამერალურ პარლამენტში ერთი პალატა (ქვედა) ხალხის, როგორც ერთიანი სოციალური ჯგუფის, წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფით.

ბიკამერალური პარლამენტის ზედა პალატაში წარმოდგენილი სოციალური ჯგუფი, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს ამათუ იმ წოდების (გაერთიანებული სამეფო), თუმცა მეტწილად, ზედა პალატაში ხდება ტერიტორიული ერთეულების (მათ შორის ეთნიკური ნიშნით ორგანიზებული ტერიტორიული ერთეულების) წარმომადგენლობის უზრუნველყოფა. ამ დროს მოსახლეობა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ფორმირებაში თითქოს ორმაგი ვოტუმით სარგებლობს, ვინაიდან ამომრჩეველი საკანონმდებლო ორგანოს აყალიბებს ერთი მხრივ ხალხის, როგორც სოციალური ჯგუფის წევრი (ქვედა პალატას) და, მეორე მხრივ, როგორც ამ სახელმწიფოს კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის მცხოვრები (ზედა პალატას).

ზოგიერთ ქვეყანაში პარლამენტის ზედა პალატა სხვა სოციალური ჯგუფების (არა წოდებათა) წარმომადგენლობისგან ყალიბდება. მაგალითად, მაროკოში მრჩეველთა პალატის წევრი სხვადასხვა პროფესიული სფეროს წარმომადგენლები არიან; ირლანდიის სენატის წევრთა გარკვეული ნაწილი (6) კი ერთგული და დუბლინის უნივერსიტეტებს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულ მოდელთა ერთგვარ კომბინაციას ვხვდებით უბეჭდეთის რესპუბლიკის პარლამენტში, რომელიც მხოლოდ 2002 წლიდან არის ორპალატიანი. აქ სხნატი გვევლინება ტერიტორიების წარმომადგენელთა პალატად, რომელშიც 86 წევრი აირჩევა ადგილობრივი საპროექტო მიერ, ხოლო 16 წევრი ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ. ინორდინაციაში, რომელიც სახოგადოებაში სამეცნიერო, სალიტერატურო, სახელოვნობო თუ სხვა სფეროში დამსახურების გამო დიდი ავტორიტეტით სარგებლობები¹⁰.

¹⁰ Киселева Наталья Васильевна "История и География Современного Бикамерализма"; Геополитика и екодинамика регионов. 2009. Т.5. Вып.1. С.83-86. Раздел II. Прикладные Аспекты Екодинамики.

ორპალატიანი საპარლამენტო სისტემების ზოგადი დახასიათების მიზნით, აუცილებელია, მიმოვინილოთ ზედა პალატის საკანონმდებლო უფლებამოსილებები, ამასთან, გავაანალიზოთ, თუ რა ურთიერთმიმართება აქვს ზედა პალატას აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასთან და რა დოზით მონაწილეობს იგი სახელმწიფო უმაღლესი თანამდებობის პირთა იმპირიმენტის პროცედურაში.

საკანონმდებლო უფლებამოსილების თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდება ზედა პალატა სუსტი საკანონმდებლო უფლებამოსილებით, როცა მას მხოლოდ ნომინალური საკანონმდებლო ფუნქციები აქვს და მეორე, თანაბარი ბიკამერალიზმი, ანუ ორპალატიანი პარლამენტი ძლიერი ზედა პალატით, რომელსაც ქმედითი საკანონმდებლო ფუნქციები აკისრია. კერძოდ, მსგავსად ქვედა პალატისა, ზედა პალატას უფლება აქვს, მოახდინოს კანონაროეჭის ინიცირება, შეცვალოს ქვედა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი ან არ დაეთანხმოს მას. როგორც წესი, ქვედა და ზედა პალატების საკანონმდებლო ფუნქციების გამიჯვნა კონსტიტუციითვე ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ერთი პალატის კომპეტენციაა, ანუ ცალკეული საკითხი ერთ-ერთი პალატის ექსკლუზიურ უფლებამოსილებაში შედის. ზოგადად კი, ორივე პალატის მაპროფილებელ, მირითად ფუნქციას საკანონმდებლო საქმიანობა წარმოადგენს. თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას ბიკამერალურ პარლამენტთა პალატები, როგორც წესი, ცალ-ცალკე მუშაობები, თუმცა არის შემთხვევები, როგორც კონსტიტუცია გამორნაკლისის სახით პალატების ერთბლივ სხდომასაც ითვალისწინებს. მაგალითად, პოლონეთში რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის ან კანონის დარღვევის ან დანაშაულის ჩაღენის შემთხვევაში მის წინააღმდეგ ბრალის წაეყნებისათვის სემი და სენატი ატარებენ ერთობლივ სესიას, რა დროსაც მოქმედებენ როგორც ეროვნული კრება¹¹. რესეთში ფედერალური პრეზიდენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართვების, ასევე, უცხო სახელმწიფოების მეთაურების გამოსვლების მოსასმენად ორივე პალატა ერთად შეიძლება შეიკრიბოს.

სუსტი ზედა პალატები, რომლებშიც ზოგჯერ პალატას საკანონმდებლო ინიცირების უფლებამოსილებაც კი არ გააჩნია, გვხვდება ნიდერლანდებში, ეთიოპიაში, ტაილანდში და სხვ.

ზედა პალატის ძალაუფლების ერთ-ერთ საზომად ვიყენებთ იმას, თუ რა დოზით მონაწილეობს იგი უშავლოდ კანონშემოქმედებაში, რამდენად აუცილებელია მისი თანხმობა კანონპროექტის

¹¹ პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, გ.114 და გ. 145.

საბოლოო სახით მიღებისთვის და რამდენად მონაწილეობს ის პრეზიდენტის ვებგვერდის დაძლევის პროცესში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ავსტრიის, რუმინეთის, შვეიცარიის, იტალიის, აშშ-ს მაგალითები, სადაც პარლამენტის პალატები ფაქტობრივად თანაბარ ძალაუფლებას ფლობენ. ჩამოთვლილ ქვეყნებში ვერცერთი კანონ-პროექტი ვერ მიღება დასრულებული ფორმით, თუკი არ არსებობს ორივე პალატის თანხმობა კანონპროექტის იდენტურ ტექსტზე. ზოგიერთი ქვეყნის კანონდებლობით, ზედა პალატის მიერ კანონ-პროექტზე თანხმობა აუცილებელია მხოლოდ ცალკეულ საკანონ-მდებლო აქტზე. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბუნდესრატის თანხმობა აუცილებელია ლანდებთან დაკავშირებულ კომპეტენციათა რეგულაციებისთვის; ბელგიის პარლამენტში, სენატის თანხმობის არსებობაა აუცილებელი იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ფუნდამენტურ ინსტიტუციონალურ საკითხებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ფედერაციის სუბიექტთა შორის დადებულ შეთანხმებებსა და მართლმსაჯულების ორგანიზაციის საკითხებს; საფრანგეთის პარლამენტის ზედა პალატის თანხმობა აუცილებელია კონსტიტუციური კანონების მისაღებად.

ზოგიერთ ბიკამერადურ პარლამენტში ქვედა პალატას აქვს შესაძლებლობა, „დაძლიოს“ ზედა პალატის მიერ უარყოფილი კანონისროვექტი, თუმცა, როგორც წესი, ამას ქვედა პალატის წევრთა საქმაოდ დიდი რაოდენობით თანხმობა სჭირდება. „ზედა პალატის“ ვეტოს დაძლევისათვის მოთხოვნილი „ქვედა პალატის“ გაზრდილი ოდენობით მხარდაჭერა, „ზედა პალატის“ ვეტოს დაძლევის სირთულეზე და ამ უკანასკნელი პალატის სიძლიერეზე მიანიშნებს. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში ფედერაციის საბჭოს მიერ კანონისროვექტის უარყოფის შემთხვევაში, თუკი არ შეიქმნება პალატათა შემთანხმებელი კომისია, ქვედა პალატას - სახელმწიფო სათათბიროს - შეუძლია, თავისი პოზიცია ხმების 2/3-ის უმრავლესობის მხარდაჭერით დაადასტუროს და ფედერაციის საბჭოში განხილვის გარეშე კანონი პრომულგაციისათვის წარუდგინოს ფედერალურ პრეზიდენტს¹².

ზედა პალატის სიძლიერე მხოლოდ მისი საკანონმდებლო პროცესში უშუალო მონაწილეობის ხარისხით არ განისაზღვრება. მნიშვნელოვანია, ასევე, ზედა პალატის მონაწილეობა აღმასრულებელი ხელისუფლების წევრთა პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაყენებისა და იმპირიმენტის პროცესურის აღდგრაში.

მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის საკითხის დაყენება და ამის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პალატებს შორის

გადანაზილებულია, რაც, საერთო ჯამში, ამ პროცესში პალატათა მეტ-ნაკლებ თანასწორულებიანობას უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია ზედა პალატების ურთიერთობიმართება საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემასთან. საკონსტიტუციო სასამართლოთა (ან კონსტიტუციური კონტროლის/ მართლმსაჯულების განმახორციელებელი სხვა ორგანოების) მოსამართლების/წევრების თანამდებობაზე განწევება ზედა პალატის მიერ ძალზედ გავრცელებული შემთხვევაა. საფრანგეთში საკონსტიტუციო საბჭოს 9 წევრიდან სამს სწორედ სენატი ნიშნავს, გერმანიაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 16 წევრიდან 8 წევრს – ბუნდესრატი, ავსტრიაში საკონსტიტუციო სასამართლოს 14 წევრიდან 3-ს ფედერალური საბჭო წარადგენს, ესპანეთში კი – საკონსტიტუციო სასამართლოს 12 წევრიდან 4 წევრს სენატი წარადგენს. კონსტიტუციური კონტროლის/მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების მიმართ საკადრო კომპეტენციის გარდა ზედა პალატების უფლებამოსილებაში, ხშირად, საკონსტიტუციო კონტროლის/ მართლმსაჯულების ორგანოსთვის მიმართვის უფლებაც შედის. ეს წესი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში საქმაოდ გავრცელებულია (პოლონეთი, ჩეხეთი, რუმინეთი, რუსეთი და სხვ.).

ზოგადად, საკადრო კომპეტენციურობის თვალსაზრისით, ბიკამურალური პარლამენტის ზედა პალატა, როგორც წესი, ქვედა პალატის მსგავსად ფლობს სხვადასხვა თანამდებობის პირთა პირდაპირი დანიშვნისა ან დანიშვნაზე თანხმობის მიცემის უფლებამოსილებას. ტრადიციულად, აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების პროცესი ქვედა პალატის კომპეტენციად განისაზღვრება, მაშინ როცა ზედა პალატა საკადრო კომპეტენციებს ფლობს არააღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირთა განწყვებისას. რესენტის ფედერაციაში გენერალურ პროკურორს, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსა და უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეებს ფედერალური საბჭო ნიშნავს რესენტის ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით. ამას გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება ზედა პალატის თანხმობის სავალდებულობა პირის თანამდებობაზე დასახიშნად; მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებში, პრეზიდენტს სენატი აძლევს თანხმობას უზენაესი სასამართლოს წევრების, აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთ თანამდებობის მიცემის უფლებამოსილებას.

ზედა პალატის სიძლიერესა და განსაკუთრებულ სტატუსზე ისიც მეტყველებს, რომ უმეტეს შემთხვევაში იგი ვადამდელ დათხოვნას არ ექვემდებარება. მართალია, დათხოვნილი ქვედა პალატის პირობებში, ზედა პალატა სრულყოფილ საკანონმდებელო ხელისუფლებას (კანონშემოქმედებით საქმიანობას) ვერ განახორციელებს,

¹² იხ. „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლი“; კრგბული I; ავტორთა კოლექტივი; რედ. პროფ. ოთარ მელქეძე; თბილისი, 2008; გვ.294.

თუმცა მისი ვადამდე დათხოვნის დაუშვებლობა უზრუნველყოფს საკანონმდებლო ხელისუფლების ინსტიტუციურ უწყვეტობას, ზოგი-ერთ შემთხვევაში კი შეიძლება განსაკუთრებული საკანონმდებლო ფუნქციებიც დაეკისროს, რაც ბიკამერალიზმის, როგორც პრინციპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ.

თავი II.

საზღვარგარეთის ქვეყნების ორაპალატიანი საპარლამენტო სისტემების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

§. 1 ბიკამერალიზმის ზოგადი შედარებითი ანალიზი

ბიკამერალიზმის არსის ზოგადი მიმოხილვისას აღვნიშნეთ, რომ თავდაპირებული ამ სტრუქტურული საპარლამენტო სისტემის შექმნის საფუძველი იყო გარკვეული ტერიტორიისა თუ საზოგადოების გარკვეული ფენების ინტერესების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების დონეზე. დღემდე, მეორე პალატა არსებითად დიდ როლს თამაშობს ცენტრისა და სახელმწიფოს გეოგრაფიულ კომპონენტებს შორის ბალანსის შენარჩუნებაში¹³. თუმცა, იქვე ვთქვით, რომ დროთა განმავლობაში თრაპალატიანი საპარლამენტო სისტემის ფუნქციამ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ირლანდიელი ფილოსოფოსი ედმუნდ ბურკი ფიქრობდა, რომ კანონმდებელი შეიძლება იქცეოდეს როგორც ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც მისდევს საკუთარ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას, ან ის შეიძლება იყოს უბრალო დელეგატი, რომელიც თავისი ამომრჩევლის სურვილებს მიჰყება. მისი თქმით, „შენი წარმომადგენელი ვალდებულია შენს წინაშე არამხოლოდ თავისი ქმედებით, არამედ თავისი გადაწყვეტილებითაც; და ნაცვლად შენი მსახურებისა, ის სწორედ მაშინ გლადალატობს, როდესაც იგი გადაწყვეტილებას იდებს არა შინაგანი რწმენით, არამედ შენი გულის მოსაგებად.“¹⁴

ბიკამერალიზმის არსზე ზოგადად საუბრისას აღინიშნა, რომ ზედა პალატის წევრთა უფლებამოსილების ვადა, როგორც წესი, ბევრად აღემატება ქვედა პალატის წევრთა უფლებამოსილების ვადას. ასეთ პირობებში, ზედა პალატის წევრთა საქმიანობა სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება უფრო ეფექტურადაც ჩაითვალოს. უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა ქმნის სადეპუტატო მანდატის ფლობის მეტად სტაბილურობისა და „სიმყარის“ განცდას. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ზედა პალატის წევრები უფრო დამოუკიდებელნი და ავტონომიურები არიან, მაშინ როცა ქვედა პალატის წევრები, რომლებიც მუდმივად

¹³ Patrice Gerald; Report on Second Chambers in Europe “Parliamentary Complexity or Democratic Necessity?” Strasbourg, 26 November 2006; European Commission For Democracy Through Law.

¹⁴ ელგებრონული წყარო: <http://press-pubs.uchicago.edu/founders/documents/v1ch13s7.html>.

არჩევნების მოლოდინში იმყოფებიან, თავიანთ გადაწყვეტილებებს უფრო მეტად აფუნქნებენ პოპულისტურ მიზნებს. არჩევნების სიხშირის გამო მოქლე ვადიო არჩეული წარმომადგენელი საზოგადოებრივი ორგანიზაციით იძოვება. ამ მიზანით, მისი ესა თუ ის გადაწყვეტილება შეიძლება ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენას ისახავდეს მიზნად¹⁵. ბუნებრივია, არჩევნები, როგორც უშუალო დემოკრატიის ფორმა, სწორედ ის მექანიზმია, რითაც ხორციელდება ხალხის, როგორც ხელისუფლების წაუროს მიერ თავის წარმომადგენლებზე კონტროლი, თუმცა არჩევნების სიხშირემ შეიძლება ნაჩქარევი და დაუფიქრებელი გადაწყვეტილებების სიმრავლე გამოიწვიოს. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა მხოლოდ საზოგადოების უმრავლესობაზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით განისაზღვრება, საჯარო ინტერესი შესაძლებელია, რეალურად უგულებელყოფილ იქნას. უზარმაზარი საკანონმდებლო ძალაუფლების პირობებში პრინციპი – „ვინ უდარაჯებს დარაჯებს“ – კვლავ თავს იჩენს. ამ მხრივ, მეორე პალატის ჩართულობა საკანონმდებლო პროცესში უზრუნველყოფს თავად ამ პროცესის სიჯანსადესა და ეფექტიანობას, საკანონმდებლო პროცესის მაღალ ხარისხს. ბუნებრივია, არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ზედა პალატის წევრები არ არიან შებოჭილნი საჯარო ორგანიზაციით, ვინაიდან ხალხი ხელისუფლების ყოველი ინსტიტუციის მთავარი დარაჯია, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქს შებოჭვის ხარისხი.

იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ეფექტური მმართველობა, აუცილებელია სწორი ბალანსის პოვნა ხალხის ინტერესებისა და მათი სურვილებისა და მისწრაფებების განხორციელებას შორის. ზედა პალატის შედარებით დიდი ავტონომია და ქვედა პალატის შედარებით დიდი ანგარიშგალდებულება – სწორედ ამ თრ კონცეფციას შორის ბალანსი კიდევ უფრო ამყარებს ბიკამერალიზმის იდეას¹⁶.

იშვიათი გამონაკლისების გარდა (მაგალითად, პოლონეთის რესპუბლიკა, სადაც სენატის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა დამოკიდებულია სეიმის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტაზე), პარლამენტის ზედა პალატა დათხოვნას არ უქვემდებარება. ასეთ პირობებში, ზედა პალატის წევრები უფრო თავისუფალნი არიან ფიქრისა და ქმედების დროს და ნაკლებად ექცევიან მედიისა და საზოგადოების აზრის წნევის ქვეშ¹⁷.

თუ ბიკამერალიზმს განვიხილავთ, როგორც კანონშემოქმედებითი პროცესის გაუმჯობესების გზას, ცხადია, დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ამ პროცესში მონაწილეობას დებულობს ორი სხვადასხვა გზითა და სხვადასხვა გადიოთ არჩევლი ორგანო¹⁸. ამასთან, იგი უზრუნველყოფს საკანონმდებლო და პოლიტიკური დებატების გასაჯაროებას, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას¹⁹.

უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, ბიკამერალიზმი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ მთლიანად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ინსტიტუციური რეალიზაციის თავისებურებათა განსაზღვრისთვისაც. არსებობს მოსაზრება, რომ თანამედროვე კონტექსტში ბიკამერალიზმი დემოკრატიის ამ ქვაკუთხედი პრინციპის ქმედითი მექანიზმია. მეორე პალატის არსებობის შემთხვევაში ფართოვდება პოლიტიკური არენა და იზრდება ჯანსაღი პოლიტიკური კონტენცია, რაც პოლიტიკურ პლურალიზმს უწყობს ხელს.

ზედა პალატის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ხშირად, არ არის სათანადოდ შეფასებული. თუ აღმასრულებელი ხელისუფლება ზედა პალატის მხარდაჭერით სარგებლობს, იგი, როგორც წესი, უფრო ხანგრძლივად ინარჩუნებს ხოლმე ხელისუფლებას, ვიდრე ის, რომელსაც ასეთი მხარდაჭერა არ გააჩნია, ვინაიდან, თუკი აღმასრულებელ ხელისუფლებას არ აქვს სათანადო მხარდაჭერა პარლამენტის ორივე პალატაში, ქმედითი ზედა პალატის პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლება გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შესაძლებელია, უუნარო გახდეს და კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდება²⁰.

ძალაუფლების გადანაწილების კუთხით ბიკამერალიზმის დადებითი მხარე მხოლოდ ხელისუფლების პორიზონტალური განაწილების თვალსაზრისით არ უნდა შევაფასოთ.

სახელმწიფო ხელისუფლების დეცნტრალიზაციისათვის ბიკამერალიზმი ცენტრალური ხელისუფლების დონეზე ტერიტორიათა დამოუკიდებელ წარმომადგენლობას ქმნის, განურჩევლად სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმისა. ამასთან, ზოგჯერ ორპალატიანი საპარლამენტო სისტემა ეროვნულ უმცირესობებსაც უზრუნველყოფს წარმომადგენლობით, რასაც თანამედროვე მრავალეთნიკური სახელმწიფოებისთვის შეიძლება არსებითი მნიშვნელობა

¹⁵ Collan B. Rosier; “Separate But Equal: The Essence of American Bicameralism”; Utraque Unum – Spring/Summer; 2009 Pg:31-34.

¹⁶ Collan B. Rosier; “Separate But Equal: The Essence of American Bicameralism”; Utraque Unum – Spring/Summer; 2009 Pg:31-34.

¹⁷ Patrice Gerald; Report on Second Chambers in Europe “Parliamentary Complexity or Democratic Necessity?” Strasbourg, 26 November 2006; European Commission For Democracy Through Law.

¹⁸ “Bicameralism in Europe” Speech by Gerard Larcher, Friday 26 February 2010 at 4 p.m .

¹⁹ Patrice Gerald; Report on Second Chambers in Europe “Parliamentary Complexity or Democratic Necessity?” Strasbourg, 26 November 2006; European Commission For Democracy Through Law.

²⁰ James N. Druckman; Michael F.Thies; “The Importance of Concurrence: The Impact of Bicameralism on Government Formation and Duration”; American Journal of Political Science, Vol.46, No.4, October 2002, Pp.760-771; Midwest Political Science Association .

პქონდეს (ბოსნია-ჰერცოგოვინას საპარლამენტო სკუპშინას ზედა – ხალხთა პალატა).
თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში მიმდინარე ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პირობებში, უდავოა, რომ ორპალატიანი საპარლამენტო სისტემა ფედერაციის სუბიექტის თუ სხვა, ნებისმიერი სტატუსის ტერიტორიული ერთეულების ინტერესების ცენტრალურ საკანონმდებლო ხელისუფლებაში წარმოსადგენად და ცენტრალური ხელისუფლების დონეზე მათი ინტერესების დასაცავად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

არსებობს მოსაზრება, რომ იმ ქვეყნებისთვის, სადაც შიდა ეთნიკური თუ რეგიონალური კონფლიქტების პრობლემა აქტუალურია, ბიკამერალიზმი ამ პრობლემის დაძლევის და თავად კონფლიქტის მოგვარებისას დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ერთ-ერთი გრივრული გზაა და მაგალითისთვის ბოსნია-ჰერცოგოვინა მოჰყავთ.

ბოსნია-ჰერცოგოვინას საპარლამენტო სკუპშინას ზედა პალატა - ხალხთა პალატა ყალიბდება ბოსნიელების, ხორვატებისა და სერბების ეთნიკური საზოგადოებების მიერ პარიტეტულ საწყისებზე (5-5 წარმომადგენელი), არაპირდაპირი წესით, შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების - ბოსნიისა და ჰერცოგოვინას კონფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ფედერაციის და სერბსკას რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოების მიერ, ხოლო ქვედა - წარმომადგენელთა პალატა აირჩევა პირდაპირი არჩენების გზით, ბოსნიისა და ჰერცოგოვინას კონფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ფედერაციიდან - 2/3-ს, სერბსკას რესპუბლიკიდან - 1/3-ს ოდენობით.²¹

§. 2 ბიკამერალური პარლამენტები საზღვარგარეთის ქვეყნებში

ბიკამერალიზმის არსის უკეთ წარმოჩენისათვის მიზანშეწონილად ვთვლით ბიკამერალური პარლამენტების არა თვისობრივი, არამედ სახელმწიფოების მიხედვით შედარებითი ანალიზი შემოგთავაზო.

ქვეყნების შერჩევისას გავითვალისწინეთ პარლამენტის ორ პალატად ორგანიზაციის დანიშნულების თავისებურებები ცალკეულ სახელმწიფოებში, აგრეთვე, ბიკამერალიზმის ხოციალური დანიშნულებების წარმოჩენისა და ბიკამერალიზმის ამერიკული, ევროპული, აღმოსავლეთ ევროპული და პოსტსოციალისტური მოდელების წარმოჩენის აუცილებლობა.

²¹ იხ. „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“; ნაწილი III; რედ. სამ. დოქ. კ. გონაშვილი; „თბილისკლები“; თბილისი; 2006.

სწორედ ამ თვალსაზრისით შევარჩიეთ 3 ფედერაციული სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და რუსეთის ფედერაცია, სადაც ბიკამერალიზმის ფორმალური დანიშნულება სწორედ ტერიტორიათა წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფაა და აღმოსავლეთ ევროპის უნიტარული სახელმწიფო - პოლონეთი, სადაც ბიკამერალიზმის არსი მთელი რიგი სპეციციურობით გამოირჩება.

ცალკეული ქვეყნების ბიკამერალურ პარლამენტთა თავისებურებების წარმომასხენად გამოვიყენეთ შემდეგი სქემა:

- ბიკამერალიზმის ფორმალურ-სამართლებრივი კონსტიტუციური დასაბუთება, ანუ რა იყო მოცემულ ქმედანაში პარლამენტის ორ პალატად ორგანიზების საფუძველი;

- პარლამენტის პალატათა უფლებამოსილების ვადები და რიცხოვნება;

- პარლამენტის პალატათა, განსაკუთრებით, ზედა პალატის ფორმირების წესი და თავისებურებანი;

- პალატათა მუშაობის (განცალკევებული, ერთობლივი) რეგლამენტები;

- პალატათა შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის (შორიმის განაწილების) თავისებურებანი და ექსკლუზიური უფლებამოსილებები;

- საკანონმდებლო პროცესის თავისებურებები და კანონპროექტის „მოძრაობა“ პალატებს შორის;

- მთავრობის საპარლამენტო ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის პალატის სპეციფიკა;

- პალატის/პალატათა ვადამდე დათხოვნის რეჟიმები და საფუძვლები.

2.1. ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო - კონგრესი, რომელსაც კონსტიტუციით მთელი საკანონმდებლო უფლებამოსილება გადაეცა, შედგება ზედა პალატის - სენატისა და ქვედა - წარმომადგენელთა პალატისგან.

წარმომადგენელთა პალატის წევრები (435 წევრი) აირჩევიან შტატების მოსახლეობის მიერ პირდაპირი საარჩევნო წესით ორი წლის ვადით და მისი წევრითა რაოდენობა დამოკიდებულია თითოეული შტატის მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც კლასიკური ფედერაციული სახელმწიფოს, ზედა პალატა - სენატი (100 წევრი) წარმოადგენს თითოეული ფედერაციის სუბიექტის - შტატის მოსახლეობას. თავისი კლასიკური ფედერაციით განისაზღვრა, 1787 წლის კონსტიტუციით განისაზღვრა,

რომ სენატი შედგებოდა 6 წლის ვადით შესაბამისი შტატის საკანონმდებლო ორგანოს მიერ არჩეული ორ-ორი წარმომადგენლისაგან, თუმცა, 1913 წელს კონსტიტუციაში განხორციელდა XVII შესწორება, რომლის შესაბამისადაც, სენატის შემაღებლობაში “შედის თითოეული შტატიდან შტატის მოსახლეობის მიერ 6 წლის ვადით არჩეული ორი სენატორი”. ამდენად, სენატის წევრთა არაპირდაპირი არჩევნების გზით არჩევის წესი შეცვალა პირდაპირმა არჩევნებმა. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციამ თავიდანვე გაითვალისწინა ზედა პალატის პერიოდული განახლების მექანიზმი და განსაზღვრა, რომ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს სენატორთა ერთი შესამებრივი განახლება. ეს წესი შემდგომში ბევრი ქვეყნის საპარლამენტო ცხოვრებაში დაინერგა.



ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ზედა პალატის ფორმირების ძირითადი დანიშნულება – ტერიტორიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფა - ამერიკული პარლამენტარიზმის განვითარების ყველა ისტორიულ ეტაპზე სახეზე, თუმცა ნიშანდობლივა, რომ ფორმირებისას აქცენტი კეთდება აშშ-ის ფედერაციის სუბიექტების თანაბარ, სიმეტრიულ სტატუსზე და არა ამ შტატების მოსახლეობათა ოდენობაზე. შესაბამისად, შტატის გეოგრაფიული საზღვრებისა და მოსახლეობის ოდენობის გაუთვალისწინებლად, თითოეული ტერიტორიული სუბიექტი წარმოდგენილია თანაბარი ოდენობის წარმომადგენლით (სენატორით).

აშშ ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც თანასწორი ბიკამურალიზმი გხვდება ძლიერი ზედა პალატით, რაც სენატის არაერთ ფუნქციაში გამოიხატება.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციამ თავადგამიჯნა კონგრესის პალატების ფუნქციები და სენატს მნიშვნელოვანი როლი მიაკუთვნა.

ზოგადად, ზედა პალატის ბალაჟფლებისა და მნიშვნელობის შეფასებისას, გასათვალისწინებელია, თუ რა როლი აკისრია მის თავმჯდომარეს. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის თავმჯდომარეობს ვიცე-პრეზიდენტი, რომელსაც საკანონმდებლო თვალსაზრისით ნომინალური ფუნქციები აქვს. იგი კენჭისყრაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მონაწილეობს, თუცი სენატორთა ხმები თანაბრად გაიყოფა. მიუხედავად ამისა, იგი ძლიერი კონსტიტუციური სტატუსით სარგებლობს და მნიშვნელოვანი პილიტიკური ფიგურაა, ვინაიდან პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების, გარდაცვალების ან გადადგომის შემთხვევაში სწორედ ვიცე-პრეზიდენტი ხდება პრეზიდენტი (XXV შესწორება).

მოცემული ნაშრომის მიზნებისათვის, ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სენატის უშუალო მონაწილეობის ფორმას კანონშემოქმედებით პროცესში.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ კონგრესის პალატები ცალკეული მუშაობები და მათი ერთობლივი სხდომები კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული. თუმცა, გათვალისწინებულია პალატათა შემთანხმებელი კომისიის არსებობა, რაზედაც უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციამ თითოეულ პალატას ცალკეული უფლებამოსილებები ექსკლუზიურად მიაკუთვნა. მაგალითად, სახელმწიფო შემოსავლების შესახებ ყველა კანონპროექტის ინიცირება წარმომადგენელთა პალატაში ხდება და მხოლოდ მის მიერ განხილვისა და მიღების შემდეგ გადაეცემა სენატს; მხოლოდ ქვედა პალატა უფლებამოსილი წარმოწყოს პრეზიდენტისა თუ სხვა თანამდებობის პირთა იმპინგენტის საკითხი და მხოლოდ სენატს აქვს უფლება განხილოს ყველა ასეთი საქმე განსაკუთრებული წესით. პრეზიდენტის საქმის განხილვისას სხდომას ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე სენატი იღებს დამსწრე სენატორთა არანაკლებ ორი მესამედის თანხმობით.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს უფლება აქვს, დაღოს საერთაშორისო ხელშეკრულებები მხოლოდ სენატის თანხმობით, დამსწრე სენატორთა ორი მესამედის მიერ დამტკიცების პირობით; პრეზიდენტი სენატის რჩვითა და თანხმობით ნიშნავს ელჩებს, სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებსა და კონსულებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლებსა და იმ პირებს, რომელთა თანამდებობაც კანონის საფუძველზე იქმნება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომიტეტი, რომლებიც კონგრესის მუშაობაში უდიდეს როლს ასრულებენ, პალატებში სხვადასხვა საკითხების მიხედვით იქმნებიან, რაც, სავარაუდოდ, პალატების საკონსალტაციო კომიტეტის სფეროებზე მიანიშნებს და ერთგვარ შრომის განაწილებასაც გულისხმობს. მაგალითად, სენატში მოქმედებს შემდეგი მუდმივი კომიტეტი: სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და მეტყველების კომიტეტი, საბიუჯეტო კომიტეტი, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი, საფინანსო კომიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, ჯანდაცვის, განათლების, შრომისა და პენსიის კომიტეტი, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და სხვ. წარმომადგენელთა პალატაში კი ვხვდებით: ფინანსური მომსახურების კომიტეტს, ბუნებრივი რესურსების კომიტეტს, მეცნიერების, კოსმოსისა და ტექნოლოგიების კომიტეტს, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურის კომიტეტს. პალატების მუდმივმოქმედი კომიტეტის ნაწილი ორივე პალატაში არსებობს. მაგალითად, მსგავსად სენატისა, საბიუჯეტო, იურიდიულ საკითხთა, შეიარაღებული მომსახურების კომიტეტი ქვედა პალატაშიც არსებობება²².

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით ამჟრიელი შეერთებული შტატების კონგრესში მისი ყველა წევრი, მათ შორის, სენატის წევრებიც სარგებლობენ.

ერთ პალატაში ინიცირებული და შემდგომ მიღებული კანონპროექტი განსახილებულად გადაეცემა მეორე პალატას. თუკი მეორე პალატა არ ეთანხმება კანონპროექტის პირველი პალატის მიერ მიღებულ ვერსიას, შეაქვს ცვლილებები მასში და უბრუნებს პირველ პალატას. თუ ეს უკანასკნელი უკავშირილო დარჩა მეორე პალატის მიერ კანონპროექტში შტატილი ცვლილებებით, იგი გამოდის ინიციატივით სათათბირო, შემათანხმებელი კომიტეტის (conference committee) შექმნის თაობაზე. მართალია, აღნიშნული კომიტეტის მუშაობის ოფიციალური წესები არ არსებობს, თუმცა, კონსტიტუციური ჩვეულების მიხედვით, თითოეული პალატა თავად განსაზღვრავს, საკუთარი რიგებიდან რომელი წევრი წარადგენს პალატის პოზიციას და რომელი მათგანი იქნება „ლიდერი“ ამ პოზიციის წარდგენისას. განსხვავებულ აზრებზე მსჯელობისა და „ვაჭრობის“ შემდგომ, ერთობლივი შემათანხმებელი კომიტეტის მუშაობის შედეგი – კომიტეტის რეზოლუცია - ფორმდება კომიტეტის წევრთა უმრავლესობის მიერ ხელმოწერილი ოქმის სახით. აღსანიშნავია, რომ კომიტეტის ოქმი ცვლილებას არ ექვემდებარება. კანონპროექტი პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა მხოლოდ ორივე პალატის

ერთიან, იდენტურ ტექსტები თანხმობის შემთხვევაში (მ.1 პ.7)²³. ყოველივე ეს კონგრესის ზედა პალატის ფუნქციასა და მნიშვნელობას არსებითად ზრდის და მას, ფაქტობრივად, ქვედა პალატას უთანაბრეტებს.

თუ პრეზიდენტი კანონპროექტის მისთვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში ხელს არ მოაწერს მას და შენიშვნებით დაუბრუნებს პარლამენტს, კონგრესს შეუძლია, დაძლიოს პრეზიდენტის ვეტო, კერძოდ, თითოეული პალატის 2/3-ის უმრავლესობით ხელახლა მიიღოს კანონპროექტის პირვანდელი ვარიანტი. პრეზიდენტის მიერ უკანდაბრუნებული კანონპროექტი ვეტოს დასაძლევად პირველ რიგში გადაეცემა იმ პალატას, რომელშიც თავდაპირველად მოხდა მისი ინიცირება.

თუ პრეზიდენტი კანონპროექტის მისთვის ხელმოსაწერად გადაცემიდან 10 დღის ვადაში ხელს არ მოაწერს მას და არც შენიშვნებით დაუბრუნებს კონგრესს, კანონპროექტის ბედი დამოკიდებული ხდება კონგრესის სასესიო პერიოდზე. თუ ამ 10 დღის გასვლის შემდგომი პერიოდი უმოსვევა კონგრესის სასესიო სამუშაო დროს, კანონპროექტი იღებს კანონის სტატუსს პრეზიდენტის ხელმოწერის გარეშე, ხოლო თუ ამ 10 დღის გასვლის შემდგომ კონგრესის არასესიონ პერიოდია, კანონპროექტი არ შედის ძალაში. სწორედ ამის გამო, ამგვარ შემთხვევას „ჯიბის ვეტოს“ უწოდებენ.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის პალატების უფლებამოსილებებისა და მათი ურთიერთმიმართების ზოგადი განხილვის შედეგად, ცალსახანა კონგრესის ზედა პალატის მნიშვნელოვანი როლი და სიძლიერე არამხოლოდ საკანონმდებლო, არამედ ზოგადად, ფედერალური ხელისუფლების სისტემაში.

საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია არცერთი პალატის დათხოვნის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. აღნიშნული გარემოება განხირობებულია თავად ამერიკის შეერთებული შტატების მმართველობის მოდელის ტიპით: აშშ – კლასიკური საპრეზიდენტო (დუალისტური) რესპუბლიკაა, სადაც პრეზიდენტი აღმასრულებებული ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირია და არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური პოლიტიკურ ხელისუფლებათა შტოებს შორის დაპირისპირებისას არბიტრის ფუნქციებით. ამავე გარემოებითად განხირობებული ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიმართ კონგრესს არ შეუძლია გამოიყენოს საპარლამენტო პასუხისმგებლობის ისეთი ფორმა, როგორიცაა უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება/გაპიცხვის რეზოლუცია.

²² ელექტრონული წერტილი: <http://www.govtrack.us/congress/committee.xpd>.

²³ “Legislative Process: How a Senate Bill Becomes a Law” ელექტრონული: www.senate.gov.

2.2. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლებას ბუნდესტაგი და ბუნდესრატი ახორციელებს. მართალია, გერმანიის ძირითადი კანონი პირდაპირ არ აღიარებს ორპალატიანი საპარლამენტო სისტემის არსებობას, ვინაიდან ბუნდესრატსა და ბუნდესტაგს პალატად არსად მოიხსენებს, მაგრამ მათი საქმიანობისა და ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, გერმანიის საკანონმდებლო ხელისუფლება ბიკამერალურად უნდა მივიჩნიოთ. ძირითადი კანონის თანახმად, მიწები ფედერალურ კანონშემოქმედებასა და მართვაში ბუნდესრატის მეშვეობით მონაწილეობენ. ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, აქაც, ბიკამერალიზმის კონსტიტუციურ დასაბუთებად ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის პრინციპი - ფედერალიზმი უნდა მივიჩნიოთ.



ფედერალური კონსტიტუციის თანახმად, ბუნდესტაგი შედგება 4 წლის ვადით საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისეყრით არჩეული დეპუტატებისაგან (621 წევრი)²⁴, რომლებიც მთელი ხალხის წარმომადგენლები არიან და თავისუფალი მანდატით სარგებლობენ. ბუნდესტაგი საკუთარი რიგებიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და მდივნებს და იდებს თავისი საქმიანობის წესს - რეგლამენტის სახით.

რაც შეეხება ბუნდესრატის ფორმირებას, იგი შედგება ლანდების (მიწების) მთავრობების წევრებისაგან (69 წევრი), რომლებსაც ნიშნავენ და ათავისუფლებენ თავად მიწის მთავრობები. ბუნდესრატის წევრების უფლებამოსილება ვადით არ არის შემოფარგლული და მათი უფლებამოსილების ხანგრძლივობა მიწების მთავრობების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ბუნდესრატი საკუთარი რიგებიდან ერთი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც იწვევს ბუნდესრატს. იგი ვადლებულია ბუნდესრატი მოწყიოს არანაკლებორი მიწის წარმომადგენლის ან ფედერალური მთავრობის მოთხოვნით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილებას, შესაბამისი პირი იღების არსებობის შემთხვევაში, ბუნდესრატის თავმჯდომარე ახორციელებს. ბუნდესრატი თავისი საქმიანობის წესს განსაზღვრავს რეგლამენტით და გადაწყვეტილებებს, სულ მცირე, ხმათა უმრავლესობით იღებს.

ბუნდესრატი დიდ როლს ასრულებს ფედერალური მთავრობისა და მიწების ურთიერთობაში. მაგალითად, ფედერალური მთავრობა ზედამეცველობას ახორციელებს მიწების მიერ ფედერალური კანონების შესრულებაზე. ამ მიზნით, ფედერალურ მთავრობას შეუძლია, გაგზავნოს უფლებამოსილი პირები მიწების უმაღლეს ორგანოებში, ხოლო მათი თანხმობით, ან ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში - ბუნდესრატის თანხმობით - ხელისუფლების ქვემდგომ ორგანოებშიც. ფედერალურ მთავრობას კანონით, რომელსაც ბუნდესრატის თანხმობა სჭირდება, შეიძლება მიერიჭოს უფლებამოსილება, განსაკუთრებულ შემთხვევებში ფედერალური კანონების შესრულების თაობაზე გასცეს კონკრეტული მითითებები. თუ მიწების მიერ ფედერალური კანონების შესრულებისას ფედერალური მთავრობის მიერ აღმოჩენილი ნაკლოვანებები არ აღმოიფხვრება, ფედერალური მთავრობის ან მიწის წინადაღებით, სწორედ ბუნდესრატი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, დაარღვია თუ არა მიწაშამართლის ესა თუ ის ნორმა.

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, სადაც თოთოველი შტატი სენატში თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლით არის უზრუნველყოფილი, გერმანიის ძირითადი კანონი ბუნდესრატის წევრთა ზუსტ რაოდენობას არ განსაზღვრავს, არამედ მას კონკრეტული ფედერაციის სუბიექტის მოსახლეობის რაოდენობას უკავშირებს. ძირითადი კანონის 51-ე მუხლის მიხედვით, ყოველ მიწას ბუნდესრატში შეუძლია გააგზავნოს იმდენი წევრი, რამდენი ხმაც გააჩნია. თითოველ მიწას აქვს არანაკლებ სამი ხმა. მიწებს, რომელთა მოსახლეობა ორ მილიონზე მეტია, ოთხი ხმა აქვთ, მიწებს ექვს მილიონზე მეტი მოსახლეობით - ხუთი ხმა, მიწებს შვიდ მილიონზე მეტი მოსახლეობით - ექვსი ხმა. ამჟამად, ბუნდესრატი 69

²⁴ ელექტრონული წარო – ბუნდესტაგის ოფიციალური ვებგვერდი: http://www.bundestag.de/htdocs_e/bundestag/plenary/17thbundestag.html.

წევრს აერთიანებს²⁵. როგორც ვხედავთ, გერმანიის ბუნდესრატში ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია ფედერაციის სუბიექტების მოსახლეობის ოდენობის მიხედვით 4 ჯუფად დაყოფის საფუძველზე, თუმცა მოსახლეობის ოდენობათა პროპრციული წარმომადგენლობის პრინციპი ბუნდესრატში 1 ხმის (მანდატის) წონას მაინც ვერ ათანაბრებს. მაგალითად, თუ ბრემენის 1 წარმომადგენლის მანდატი დაახლოებით 220.000 მოსახლეზე მოდის, ჩრ. რეინისა და ვესტფალიის მიწის 1 წარმომადგენლის მანდატი 3.000.000 მოსახლეს აჭარბებს.

გერმანიის მირთადი კანონი ითვალისწინებს ერთობლივი (გაერთიანებული) კომიტეტის შექმნას (მუხლი 53), რომლის წევრთა ორი მესამედი ბუნდესტაგის დეპუტატები, ხოლო ერთი მესამედი – ბუნდესრატის წევრები არიან. ერთობლივი კომიტეტი ფედერაციაში თავდაცვის მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში და ფედერალური კონსტიტუციის 115-ა მუხლით განსაზღვრული პირობებისას, უფლებამოსილია, თვით ბუნდესტაგიც კი ჩანაცვლოს. ერთობლივ კომიტეტში დეპუტატები ინიშნებიან ბუნდესტაგის მიერ ფრაქციათა ძალების განვითარების საფუძველზე და ისინი არ შეიძლება შედიოდნენ ფედერალური მთავრობის შემადგენლობაში. გარდა ამისა, ყოველი მიწა ერთობლივ კომიტეტში წარმოდგენილი უნდა იყოს მიწის მიერ დანიშნული ბუნდესრატის ერთი წევრით. თავდაცვის (საომარი) მდგომარეობის დროს გერმანული ბიკამერალური პარლამენტის მუშაობის ერთგარ გამარტივებულ სისტემაზე დროებით გადასვლა, თავად ამ განსაკუთრებული მდგომარეობით განპირობებული, საგანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების სისტრაფისა და ოპერატორების უზრუნველყოფის აუცილებლობით შეიძლება აიხსნას. გარდა ამისა, ერთადერთი შემთხვევა, როცა ბუნდესტაგი და ბუნდესრატი ერთობლივად საქმიანობენ, არის სწორედ თავდაცვის მდგომარეობა, როცა არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა ისეთი კანონპრეტენდის მიღებისათვის, რომელიც ბუნდესრატის სავალდებულო განხილვას საჭიროებს (მუხლი 115-ა).

თუ თავდაცვის მდგომარეობისას აუცილებელი გახდა ახალი ფედერალური კანცლერის არჩევა, ერთობლივი კომიტეტი უფლებამოსილი ხდება, წევრების უმრავლესობით აირჩიოს ახალი ფედერალური კანცლერიც კი. წინადაღებას ერთობლივ კომიტეტს წარუდგნენს ფედერალური პრეზიდენტი. ერთობლივ კომიტეტს ფედერალური კანცლერისათვის უნდობლობის გამოცხადებაც შეუძლია, მხოლოდ საქართველო წევრების ორი მესამედის უმრავლესობით, მისი უფლებამონაცვლის არჩევის გზით. ამასთან, ბუნდესტაგს ბუნდესრატის

თანხმობით უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გააუქმოს ერთობლივი კომიტეტის მიერ გამოცემული კანონები. ბუნდესრატს შეუძლია, ასევე, მოითხოვოს, ბუნდესტაგმა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე. ერთობლივი კომიტეტის ან ფედერალური მთავრობის მიერ საფრთხის აღსაკვეთად მიღებული სხვა ზომები უნდა გაუქმდეს, თუ ამას ბუნდესტაგი და ბუნდესრატი გადაწყვეტის. ბუნდესტაგს შეუძლია, ბუნდესრატის თანხმობით, ნებისმიერ დროს გამოაცხადოს თავდაცვის მდგომარეობის დასრულება. ბუნდესრატს კი, თავის მხრივ, უფლება აქვს მოსთხოვოს ბუნდესტაგს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

როგორც ბუნდესტაგი, ისე ბუნდესრატი საკანონმდებლო პროცესის სამივე ძირითად სტადიაზე, როგორიცაა საკანონმდებლო ინიციატივა, კანონპრეტენდის განხილვა და მისი მიღება, აქტიურად არიან ჩართულნი და მათ აქტიურ პარტნიორობას ფედერალური მთავრობა უწევს. ფედერალური ძირითადი კანონის თანახმად (მუხლი 77), უკედა ფედერალური კანონის მიღება ბუნდესტაგში უნდა მოხდეს; იმ შემთხვევაშიც კი, როცა კანონპრეტენდის ინიციატივი ფედერალური მთავრობა ან ბუნდესრატია, ბუნდესტაგისთვის კანონპრეტენდის გადაცემის აუცილებლობას ძირითადი კანონივე განსაზღვრავს (მუხლი 76). „ბუნდესტაგში კანონპრეტენდი შეიტანება ფედერალური მთავრობის, ბუნდესტაგის წევრების ან ბუნდესრატის მიერ“ (მუხლი 76). ასე მარტივად განსაზღვრავს ძირითადი კანონი საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტთა შეზღუდულ წრეს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კანონპრეტენდის პარლამენტში განხილვის პროცედურები იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ არის კანონპრეტენდის ინიციატივი.

სამთავრობო საკანონმდებლო ინიციატივათა დიდი ოდნობა ადგილად გასავაგებია. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აყალიბებენ მთავრობას, რათა მან ბუნდესტაგის მმართველი პოლიტიკური ძალის სახელით წარმართოს ქვეყანა და განახორციელოს პოლიტიკური ინიციატივა. ივარაუდება, რომ მათი მოსაზრებები, რეკომენდაციები და მოთხოვნები ფედერალურ მთავრობაში მყოფი დამატების მიერ გათვალისწინებული იქნება და კარგად ჩამოყალიბებული სამთავრობო სახით წარედგინება შემდეგ საკანონმდებლო ორგანოს. ამგვარ კანონპრეტენდის წევრების კუთხით კანონიად ქცევის დიდი შანსი აქვს. სწორედ ამიტომაა, რომ დაახლოებით 3/4 ფედერალური კანონებისა მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის შედეგია.²⁶

ფედერალური მთავრობის მიერ მომზადებული კანონპრეტენდი თავდაპირებელად ბუნდესრატს წარედგინება, რომელსაც უფლება აქვს, ექვსი კვირის განმავლობაში ჩამოაყალიბოს თავისი დასკვნა,

²⁵ ელექტრონული წარა - ბუნდესრატის ოფიციალური ვებგვერდი:

http://www.bundesrat.de/cln_110/nn_41570/DE/organe-mitglieder/mitglieder/a-z/uebersicht-o-node.html?_nnn=true.

²⁶ ო.მელქაძე, ნ.რამიშვილი, გერმანიის კონსტიტუციური სამართალი; მსოფლიო პარლამენტის კვლევითი ცენტრი; თბილისი; მერაბი; 1999.

თუმცა თუ კანონაროექტის მოცულობის გამო საჭირო იქნება, ეს ვადა შეიძლება ცხრა კვირამდე გაგრძელდეს. ბუნდესრატი უფლება-ოსილია, კანონპროექტის მიმართ შესწორებები შეიმუშაოს, ხანდა-ხან - ალტერნატიული კანონპროექტიც. იშვიათია კანონპროექტის სრული უარყოფა. იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური მთავრობის კანონპროექტი მაინც უარყოფილი იქნება, ამ უკანასკნელს მოგვი-ანებით უფლება აქვს, იგივე პროექტი შეიტანოს ბუნდესტაგში განსახილეველად. ბუნდესტაგს ფედერალური მთავრობის კანონპრო-ექტი, ბუნდესრატის უარყოფითი დასკვნა და ფედერალური მთავ-რობის კონტრარუმენტი ერთ პაკეტად გადაეცემა. ფედერალური მთავრობა უფლებამოსილია, კანონპროექტის ბუნდესრატში განსა-ხილელად შეტანიდან სამი კვირის შემდეგ, გადაუდებლად (დაჩქა-რებულად) განსახილელად მიიჩნიოს კანონპროექტი და თუ ბუნ-დესრატის მიერ დასკვნა არ არის მომზადებული, კანონპროექტი პირდაპირ ბუნდესტაგს წარუდგინოს განსახილეველად. ბუნდესრატის მიერ მოგვიანებით მომზადებული დასკვნა მიღებისთანავე დაუ-ყოვნებლივ გადაეცემა ბუნდესტაგს. ზემოთ აღნიშნული მოტივა-ციის გათვალისწინებით, სამკირიანი ვადა შეიძლება ექვს კვი-რამდე გაგრძელდეს.

ბუნდესრატის წევრს, აშშ-ის სენატისაგან განსხვავებით, საკა-ნონმდებლო ინიციატივის უფლება არ აქვს, თუმცა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ოვად ბუნდესრატს გააჩნია. საკანონმდებლო პროცესის წამოწება შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე მიწის მთავრობის შეუძლებელით, რის შემდეგაც ხდება ბუნდესრატის კანონპროექტის შემუშავება, რომელიც დასკვნისათვის ფედერალურ მთავრობას გადაეცემა. ეს უკანასკნელი კანონით განსაზღვრულ ვადებში კანონპროექტს, რომელსაც თან ერთის სამთავრობო დას-კვნა, განსახილელად ბუნდესტაგს გადასცემს.

ბუნდესტაგი კანონპროექტს სამი მომზნით იხილავს, რომელსაც მიღების შემდეგ ბუნდესრატს გადასცემს. ამ უკანასკნელის მხრიდან თანხმობის მოპოვების შემდეგ კანონი მიღებულად ითვლება.

გერმანიის კონსტიტუციურ-სამართლებრივი კანონმდებლობა ცალკე გამოყოფს იმ საკანონმდებლო თემატიკას, რომლის შესა-ხებაც მომზადებული საკანონმდებლო აქტების პროექტების მიღება ბუნდესრატის სავალდებულო მოწონებას საჭიროებს. ძირითად კა-ონში ასეთად მიჩნეულია კანონები, რომლებსაც ცვლილებები შეა-ქვს კონსტიტუციაში; ეხება ფედერალური ტერიტორიული მოწყო-ბისა და საბიუჯეტო სამართლის ძირითად პრონციპებს. ერთი სიტ-ყვით, ეს ის კანონებია, რომლებიც მიწების ინტერესებს შეეხება და მათ ასამოქმედებლად ბუნდესრატის თანხმობა საჭირო, გერმანიის ტერიტორიული მოწყობის მოდელისა და თავად ბუნდესრატის დანიშნულებიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ ბუნდესრატს კანონპროექტის მიმართ შე-ნიშნები აქვს, მას, კანონპროექტის წარდგენიდან სამი კვირის გან-მავლებაში, კანონპროექტის ერთობლივი განხილვისთვის შეუძლია, მოითხოვოს ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის წევრებისგან შემდგარი შემთანხმებელი კომისიის მოწვევა. ეს არის ბუნდესტაგისა და ბუნ-დესრატის მუდმივმოქმედი, ერთობლივი კომისია, რომელსაც ამ სტრუქტურებს შორის კანონპროექტის შინაარსთან დაკავშირებული უთანხმოების დროს კომპრომისული წინადადება შემოაქვს. ამ კომი-სიის შემადგენლობას და საქმიანობას აწესრიგებს რეგლამენტი, რო-მელიც მიიღება ბუნდესტაგის მიერ და საჭიროებს ბუნდესრატის თანხმობას. კომისიაში ორიგი პალატა წარმოდგენილია თანაბრად: ბუნდესრატისგან - ყოველი მიწა წარმოდგენილია თოთო პირით, ბუნდესტაგი კი თავის ადგილებს ანაწილებს ფრაქციების რიცხოვ-ნების პროპორციულობის პრინციპის დაცვით (სულ - 32 წევრი). თუ კანონის მისაღებად ბუნდესრატის თანხმობა სავალდებულოა, შემ-თანხმებელი კომისიის მოწვევა ბუნდესტაგმა ან ფედერალურმა მთავრობამ შეიძლება მოითხოვოს. კომისიის მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კანონი არ იქნება მიღებული, მაგრამ თუ კომისია დააყენებს საკითხს კანონპროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ, ბუნდესტაგმა განმეორებით უნდა განიხილოს კანონპროექტი.

კანონთა იმ ჯგუფის მიმართ, რომელიც არ ითხოვს ბუნდეს-რატის თანხმობას, ბუნდესტაგის მიერ კანონპროექტის მიღებიდან ორი კვირის გამავლებაში, ბუნდესრატი უფლებამოსილია, პროტეს-ტი განაცხადოს ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონპროექტის მი-მართ. ბუნდესრატის აღნიშნული უფლებამოსილება თავისი არსით პგაებს სუსპენზიური ვეტოს უფლებას, რომელიც დაძლევადია ბუნდესტაგის მიერ. ბუნდესრატის პროტესტი არ ნიშნავს, რომ ბუნდესტაგი ბუნდესრატის პროტესტის გამო ვალდებული ხდება, კიდევ ერთხელ დაუბრუნდეს გაპროტესტებული კანონპროექტის განხილვას. ბუნდესტაგი უფლებამოსილია, უარყოს ბუნდესრატის პროტესტი და შენიშნები ხმების იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მიღებულ იქნა ბუნდესრატის პროტესტი (ხმების უბრალო ან კვალიფიციური უმრავლესობით). პროტესტის უარყოფა ნიშნავს ბუნდესტაგის მიერ კანონპროექტების საბოლოოდ მიღებას.

როგორც ბუნდესტაგს, ისე ბუნდესრატს თავ-თავისი რეგლამენტები აქვთ, რომლებიც აწესრიგებენ არა მარტო პალატების შიდა-ორგანიზაციულ საკითხებს, არამედ, დეტალურად განსაზღვრავენ პალატაში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესის სპეციფიკას.

გერმანიის საკანონმდებლო პროცესის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ფედერალური კონსტიტუციის მიერ განსაკუთრებული საკანონმდებლო ვითარების ცნების შემოტანა და მასთან დაკავ-

შირებული პროცედურა (მუხლი 81), რაც საკანონმდებლო პროცესის დროულად უზრუნველყოფის ეფექტური ბერებია. თუ ფედერალური კანცლერის განცხადებას მისთვის ნდობის გამოცხადების შესახებ არ მოიწონებს ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არც ფედერალური პრეზიდენტი გაითვალისწინებს კანცლერის წინადაღებას ბუნდესტაგის დათხოვნის თაობაზე, მაშინ ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია, ფედერალური მთავრობის წინადაღებით და ბუნდესრატის თანხმობით, გამოაცხადოს კწ. განსაკუთრებული სა-კანონმდებლო ვითარება ბუნდესტაგის მიერ უარყოფილი კანონპროექტების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურმა მთავრობამ იგი გადაუდებელ (დაწერებულ) კანონპროექტად ჩათვალა. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა კანონპროექტი უარყოფილ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურმა კანცლერმა მას ნდობის თაობაზე განცხადება დაუკავშირა. თუ განსაკუთრებული საკანონმდებლო ვითარების გამოცხადების შემდეგ ბუნდესტაგი ხელახლა უარყოფს კანონპროექტს ან მიიღებს მას ფედერალური მთავრობის თვის მიუღებელი რედაქციით და თუ ბუნდესრატიც დაეთანხმება, მაშინ კანონი ამოქმედებულად ჩაითვლება. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა პროექტი არ იქნება მიღებული ბუნდესტაგის მიერ მისი ხელახლი შეჩანიდან ოთხი კვირის განმავლობაში.

ბუნდესტაგის ბუნდესრატოან მიმართებით უპირატესობის ერთ-ერთი გამოხატულება ისაა, რომ სწორედ ბუნდესტაგი ირჩევს ფედერალურ კანცლერს (ფედერალური მთავრობის მეთაურს) ფედერალური პრეზიდენტის წინადადებით. საპარლამენტო და შერეული რესპუბლიკური მმართველობის ქვეყნებში დამკაიღრებული ტრადიციის შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებაში გადამწყვეტი სიტყვა, სწორედ, ხალხის მიერ უშუალოდ არჩეულ ქვედა პალატას – ბუნდესტაგს ეკუთვნის და აქ ფედერალური პრეზიდენტის კომპეტენცია, დანიშნოს ფედერალური მთავრობა, სწორედ ახლადარჩეული ბუნდესტაგის შემადგენლობითაა შებოჭილი. ფედერალური პრეზიდენტი ბუნდესტაგს ფედერალური კანცლერის თანამდებობაზე წარუდგენს კანდიდატს, რომელსაც უკეთებელი შენიშვნის შესრულების შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. თუ ბუნდესტაგი სამგზის ვერ აირჩევს წარდგენილ კანდიდატს, ფედერალური პრეზიდენტი დგება დილეგმის წინაშე - ან თავად დანიშნოს ფედერალური კანცლერი ან დაითხოვოს ბუნდესტაგი. თანამდებობაზე დანიშნისას, როგორც ფედერალური კანცლერი, ისე ფედერალური მინისტრები, რომლებიც ფედერალური კანცლერის წარდგინებით ფედერალური პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან, ფიცს დებენ ბუნდესტაგის წინაშე, რაც სიმბოლურად მათ ანგარიშვალდებულებას გამოხატავს ამ უკანასკნელის წინაშე.

გეორგანიის მმართველობის საპარლამენტო სისტემა განაპირობებს ბუნდესტაგის უფლებამოსილებას, სრულყოფილი საპარლამენტო კონტროლი განახორციელოს მთავრობის საქმიანობაზე და გამოიყენოს საპარლამენტო პასუხისმგებლობის ისეთი ფორმა, როგორიც ფედერალური კანცლერისათვის, შედეგობრივად – მთავრობისათვის, უნდობლობის გამოცხადებაა.

გეორგიანის კონსტიტუცია ფედერალური კანცლერისათვის ბუნ-
დესტაგის მიერ უნდობლობის კონსტრუქციულად გამოცხადების
კომპეტენციას ითვალისწინებს. კერძოდ, ბუნდესტაგი თავის წევრთა
უმრავლესობით უფლებამოსილია, აირჩიოს ფედერალური კანცლე-
რის უფლებამონაცვლე (ახალი ფედერალური კანცლერი) და ფედე-
რალური კანცლერის გათავისუფლების მოთხოვნით მიმართოს ფე-
დერალურ პრეზიდენტს. ფედერალური პრეზიდენტი ასეთ შემთხვე-
ვაში ვალდებულია, დააქმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა და
დანიშნოს ახლადარჩეული ფედერალური კანცლერი.

მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების ინიციატორი შესაძლებელია თავად ფედერალური კანცლერი იქმს. თუ ფედერალური კანცლერის მიმართვა ბუნდესტაგისადმი მისთვის ნდობის გამოცხადების შესახებ, რაც, როგორც წესი, ფედერალური მთავრობის მიერ ინიციორებული კანონპროექტის მიღების მოთხოვნას უკავშირდება, ვერ მოიპოვებს ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის თანხმობას, ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია, ფედერალური კანცლერის წინადადებით, 21 დღის განმავლობაში დაითხოვოს ბუნდესტაგი. ბუნდესტაგის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება ვერ ამოქმედდება, თუ ამ დროს ბუნდესტაგი უნდობლობის კონსტრუქციულ ვოტუმს გამოუცხადებს ფედერალურ კანცლერს და აირჩევს ახალ ფედერალურ კანცლერს. ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერალურ პრეზიდენტს მთავრობის ინიციატივითა და ბუნდესრატის თანხმობით შეუძლია, გამოაცხადოს საკანონმდებლო საჭიროების მდგრამარეობა იმ კანონპროექტთან მიმართებით, რომელსაც ფედერალური კანცლერი უკავშირებდა თავის წინადადებას ნდობის გამოცხადების შესახებ. თუ ბუნდესტაგი საკანონმდებლო საჭიროების მდგრამარეობის გამოცხადების შემდეგ ისევ უარყოფს კანონპროექტს, ან მას მიიღებს ფედერალური მთავრობისათვის მიუდებელი რედაქციით, კანონპროექტი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ძალაში შესულად მაშინ ჩაითვლება, თუ მას ბუნდესრატი დაეთანხმება.

გერმანიის ძირითადი კანონის მიხედვით, მთავრობისადმი საპარ-ლამენტო კონტროლი, ძირითადად, უნდობლობის გამოცხადების შე-საძლებლობით გამოიხატება, ოუმცა აქვე უნდა ვისაუბროთ იმ ცალ-კეულ უფლებამოსილებებზე, რომლებიც ბუნდესტაგსა და ბუნდეს-რატს მთავრობის მიმართ დამატებით აქვთ. ძირითადი კანონის 43-ე და 53-ე მუხლების მიხედვით, ბუნდესტაგს/ბუნდესრატსა და მთავრობის მიმართ დამატებით აქვთ. ძირითადი კანონის 43-ე და 53-ე მუხლების მიხედვით, ბუნდესტაგს/ბუნდესრატსა და მთავრობის მიმართ დამატებით აქვთ.

კომიტეტებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ფედერალური მთავრობის ნებისმიერი წევრის დასწრება მათ სხდომებზე ფედერალური მთავრობის წევრებს, თავის მხრივ, უფლება აქვთ, დაესწოონ ბუნდესტაგის/ბუნდესრატისა და მათი კომიტეტების ყველა სხდომას. მასთან, მთავრობის წევრთა მოთხოვნის შემთხვევაში, ბუნდესტაგი/ბუნდერატი და მათი კომიტეტები ვალდებული არიან, მოუსმინონ მთავრობის წევრებს. ფედერალურ მთავრობას, აგრეთვე, აკისრია ვალდებულება, ბუნდესრატი მუდმივად პყავდეს ინფორმირებული მიმდინარე საქმეების თაობაზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ვანსხვავებით, გერმანიის ფედერალური ოქსაცებლიკის ძირითადი კანონი, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ითვალისწინებს ბუნდესტაგის დათხოვნის შესაძლებლობას ფედერალური პრეზიდენტის მიერ (მ.63) ორ შემთხვევაში: თუ ბუნდესტაგი ვერ ახერხებს ფედერალური კანცლერის არჩევას, შესაბამისად – სახელისუფლო ტრიადაში აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებას, ან თუ ფედერალური მთავრობა ვერ მოიპოვებს ბუნდესტაგის ნდობას, ხოლო თავის მხრივ ბუნდესტაგი ვერ მოახერხებს ახალი ფედერალური კანცლერის არჩევას, ანუ პოლიტიკური ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოები ვერ ახერხებენ ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას. გერმანული კონსტიტუციურ-სამართლებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ბუნდესტაგის დათხოვნა დაუშვებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფედერაციაში გამოცხადებულია თავდაცვის მდგრამარეობა. საგულისხმოა, რომ გერმანიის პარლამენტის ე.წ. ზედა პალატა – ბუნდესრატი, დათხოვნას საერთოდ არ ექვემდებარება, რაც მისი სტაბილურობის გარანტია მოაზრების საშუალებას გვაძლევს.

რაც შეეხება ბუნდესტაგისა და ბუნდესტაგის საკადრო უფლებამოსილებებს, გერმანიის ძირითადი კანონი ამ მხრივ მრავალფეროვნებით და განსაკუთრებულობით არ გამოირჩევა. გერმანიის ძირითადი კანონით, ფედერალური მოსამართლეების, ფედერალური მოხელეებისა და შეიარაღებული ძალების ოფიციალური თანამდებობაზე დანიშნვა და თანამდებობიდან გათავისუფლება ფედერალურ პრეზიდენტს დაეკისრა (გამონაკლიისია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, აგრეთვე შეიარაღებული ძალების საპარლამენტო რწმუნებულის თანამდებობა, რომელსაც შეიარაღებულ ძალებსა და სამსახურო ძალებში ძირითად უფლებათა დაცვაზე საპარლამენტო კონტროლის განსახორციელებლად ბუნდესტაგი ნიშნავს 5 წლის ვადით)²⁷⁾.

რაც შეეხება ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის კომპეტენციებს სახელისუფლო ტრიადის შესამე, აპოლიტიკური შტოს – სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები თანაბარი რაოდენობით აირჩევიან ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის მიერ. თუმცა, საერთო იურისდიქციის მოსამართლეთა მიმართ, ბუნდესტაგის უფლებრივ უპირატესობას ვხედავთ: თუ ფედერალური მოსამართლე სამსახურში ან სამსახურის გარეთ დაარღვევს ძირითადი კანონის პრინციპებს ან რომელიმე მიწის სასამართლო წყობილების საფუძლებს, სწორედ ბუნდესტაგი მიმართავს წინადაღვებით ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი მოსამართლის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის ან მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებაში, ფაქტობრივივად, მხოლოდ სიმბოლური ფუნქციებით ხასიათდება, აირჩევა ფედერალური კრების მიერ 5 წლის ვადით დებატების გარეშე. ფედერალური კრება შედგება ბუნდესტაგისა და მიწების სახალხო წარმომადგენლობების მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძლებლზე არჩეული იმავე რაოდენობის წევრებისაგან. ფედერალური კრება იკრიბება ფედერაციის პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ამ მოქნებიდან არაუგვიანეს 30 დღისა. კრება მოიწვევა ბუნდესტაგის თავმჯდომარის მიერ. აღნიშნული ორგანოს ერთადერთ კომპეტენციას, სწორედაც, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა წარმოადგენს.

ამასთან, თუ ფედერალური პრეზიდენტის არჩევა ბუნდესტაგზე მხოლოდ სანახევროდაა დამოკიდებული (ფედერალური კრების ნახევრი), ფედერალური პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის გადაწყვეტაში ბუნდესტაგს, ისევე როგორც ბუნდესრატს, მონაწილეობის ერთნაირი შესაძლებლობები აქვთ. ბუნდესრატი და ბუნდესტაგი უფლებამოსილი არიან, პრეზიდენტის წინააღმდეგ ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის დარღვევის საფუძლით, ბრალდება აღმრანი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში. ფედერალური პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყვენების თაობაზე წინადაღვების დაყენების უფლებამოსილება ბუნდესრატის ან ბუნდესტაგის წევრთა არანაკლებ ერთ მეოთხედს გააჩნია. გადაწყვეტილება ბრალდების წაყვენების თაობაზე მოითხოვს ბუნდესრატის ხმათა ან ბუნდესტაგის წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობის თანხმობას, რის შემდეგაც საკითხი გადაეცემა გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ ეს უკანასკნელი დაადგენს ფედერალური პრეზიდენტის ბრალდების ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის განხრას

²⁷⁾ ელექტრონული წეარო - ბუნდესრატის ოფიციალური ვებგვერდი: http://www.bundestag.de/htdocs_e/bundestag/commissioner/index.html.

დარღვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, გამოაცხადოს, რომ პრეზიდენტმა დაკარგა დაკავებული თანამდებობა. გარდა ამისა, პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების აღმერის შემდეგ, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, დროუბითი განკარგულებით დადგინოს, რომ ფედერალური პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი, შეასრულოს თავისი თანამდებობრივი მოვალეობები.

როგორც ვხედავთ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკანონმდებლო ხელისუფლება განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა. იმისდა მოუხედავად, მივიჩნევთ ბუნდესრატს პარლამენტის პალატად ოუ მას განსაკუთრებული ფედერალური ორგანოს სტატუსს მივანიჭებთ, ბუნდესრატის უფლებამოსილებათა ანალიზის საფუძველზე ცალსახაა, რომ იგი, საერთო ჯამში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკანონმდებლო ხელისუფლების ნაწილია და ფედერალური ხელისუფლების განხორციელებაში დიდ როლს ასრულებს.

2.3. რუსეთის ფედერაცია.

რუსეთის ფედერაციის 1993 წლის კონსტიტუციის მიხედვით, ფედერაციის უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო – ფედერალური კრება ორპალატიანია. იგი შედგება ზედა პალატის - ფედერაციის საბჭოსა (Совет Федерации) და ქვედა პალატის - სახელმწიფო სათათბიროსგან (Государственная дума). ფედერაციის საბჭო (166 წევრი), ანუ ზედა პალატა, რომლის შექმნასაც საფუძვლად ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლობა დაედო (აღნიშნული დანიშნულება თავად პალატის სახელდებაშიც ფიქსირდება – “ფედერაციის საბჭო”), შედგება ფედერაციის სუბიექტების (83) ორ-ორი წარმომადგენლისგან: ერთი წევრი აირჩევა ფედერაციის სუბიექტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, ხოლო მეორე წევრი ინიშნება ფედერაციის სუბიექტის აღმასრულებელი ორგანოს უმაღლესი თანამდებობის პირის მიერ. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია არ განსაზღვრავს ფედერაციის საბჭოს უფლებამოსილების ვადას, არამედ 99-ე მუხლში მიუთითებს, რომ ფედერალური კრება, ორივე პალატით წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს. ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მათი დამნიშნავი/ამრჩევი ფედერაციის სუბიექტის შესაბამისი ორგანოს/თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადით. ამასთან, ფედერაციის საბჭოს წევრის უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს, მისი ამრჩევი/დამნიშნავი

ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ, იმავე წესით, რა წესითაც აირჩა/დაინიშნა.



საგულისხმოა, რომ “რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს ფორმირების წესის შესახებ” რუსეთის ფედერალურ კანონში 2009 წლის 14 თებერვალს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, 2011 წლის 1 იანვრიდან ფედერაციის საბჭოში შეიძლება აირჩევა/დაინიშნოს მხოლოდ ფედერაციის სუბიექტის წარმომადგენლობითი ორგანოს ან ამ ფედერაციის სუბიექტის ტერიტორიაზე მოქმედი მუნიციპალური ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატი, რომელსაც ფედერაციის საბჭოში არჩევისთანავე/დანიშნისთანავე უწყდება უფლებამოსილება ფედერაციის სუბიექტის ან ამ სუბიექტის საზღვრებში მოქცეულ შესაბამის მუნიციპალურ წარმომადგენლობით იორგანოში. ამ საკანონმდებლო ცვლილებით, ფედერაციის საბჭოს შემადგენლობის ნახევრის არა-არჩევითობის (დანიშნითობის) პირობებში, დადგინდა, რომ ფედერაციის საბჭოს წევრი არ შეიძლება გახდეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, თუ ის სულ ცოტა მუნიციპალურ დონეზე მაინც არაა არჩევითი პირი და ტერიტორიული თვალსაზრისით არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ფედერაციის სუბიექტთან.

ფედერალური კრების სახელმწიფო სათათბირო, ეწ. ქვედა პალატა, შედგება პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე 5 წლის ვადით არჩეული დეპუტატებისგან დაჯამში სულ 450 წევრს აერთიანებს.

თითოეული პალატა საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავ-
მჯდომარესა და მათ მოადგილეებს. პალატები იღებენ თავიანთ რეგ-
ლამენტებს და საქმიანობას მათ შესაბამისად ახორციელებენ.

ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს სხდომები,
როგორც წესი, ცალ-ცალკე ტარდება, თუმცა რუსეთის ფედერაციის
პრეზიდენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართვების,
ასევე, უცხო სახელმწიფოების მეთაურების გამოსვლების მოსახმე-
ნად ორივე პალატა ერთად შეიძლება შეიკრიბოს. ფედერალური
კრების პალატათა გაერთიანებულ სხდომებზე რაიმე სამართლებ-
რივი შინაარსის გადაწყვეტილებათა მიღება არ ხდება, რის გამოც
შეიძლება დავასკრინათ, რომ ფედერალური კრების პალატები გერ-
მანიის ბუნდესტაგისა და ბუნდესრატისაგან განსხვავებით, წარმო-
მადგენლობით და საკანონმდებლო ხელისუფლებას აბსოლუტურად
განცალკევებულად ახორციელებენ.

ფედერალური კრების პალატების უფლებამოსილებები კონსტი-
ტუციით მკაცრად არის გამიჯნული და ასევე აბსოლუტურად (ამომ-
წურავად) განსაზღვრული. ფედერაციის საბჭოს გამგებლობას რუ-
სეთის კონსტიტუციის 102-ე მუხლი შემდეგ საკითხებს მიაკუთვნებს:
რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის საზღვრების შეცვლის
დამტკიცება; საომარი და საგანგებო მდგრმარეობის გამოცხადების
შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულების დამ-
ტკიცება; რუსეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ რუსეთის ფედე-
რაციის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესაძლებლობის სა-
კითხის გადაწყვეტა; რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნე-
ბის დანიშვნა და მისი თანამდებობიდან გადაყენება; ფედერაციის
საკონსტიტუციო, უზენაესი და უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართ-
ლოს მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნა; რუსეთის ფედერა-
ციის გბნერალური პროკურორის, საანგარიშო პალატის თავმჯდო-
მარის მოადგილისა და მის აუდიტორთა შემადგენლობის ნახევრის
თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება.

ფედერაციის საბჭო კონსტიტუციით მისთვის მიკუთვნებულ სა-
კითხებზე იღებს დადგენილებებს, რომლებიც მიიღება ფედერაციის
საბჭოს წევრების საერთო რაოდენობის ხმების უმრავლესობით, თუ-
კი კონსტიტუციითვე სხვა წესი არ არის გათვალისწინებული.

რუსეთის კონსტიტუციის 103-ე მუხლით კი განისაზღვრება სახ-
ელმწიფო სათათბიროს გამგებლობას განკუთვნილი საკითხები: რუ-
სეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის დასანიშნად რუსე-
თის პრეზიდენტისათვის თანხმობის მიცემა; ფედერაციის მთავრობის
ნდობის საკითხის გადაწყვეტა; რუსეთის ფედერაციის ცენტრალური
ბანკის თავმჯდომარის, საანგარიშო პალატის თავმჯდომარისა და
მის აუდიტორთა შემადგენლობის ნახევრის თანამდებობაზე დანიშ-
ვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება; ადამიანის უფლებებზე

რწმუნებულების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გა-
თვისუფლება; ამნისტიის გამოცხადება; რუსეთის პრეზიდენტის თა-
ნამდებობიდან გადაყენების მიზნით მის წინააღმდეგ ბრალის წაყე-
ნება.

მსგავსად ზედა პალატისა, სახელმწიფო სათათბირო მის გამ-
გებლობას მიკუთნებულ საკითხებზე იღებს დადგენილებას, რომელ-
საც დეპუტატობა საერთო რაოდენობის ხმების უმრავლესობის მხარ-
დაჭერა სტირდება, თუმცა, აქაც, კონსტიტუციით ცალკეულ საკით-
ხებზე შესაძლებელია სხვა წესი იქნება დადგენილი.

ფედერალურ კრებაში საკანონმდებლო ინიცირების უფლება
კონსტიტუციამ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ფედერაციის
საბჭოსა და მის წევრებს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს,
ფედერაციის მთავრობას, რუსეთის ფედერაციის უბიექტების წარ-
მომადგენლობით ორგანოებს მიანიჭა. ამას გარდა, საკანონმდებლო
ინიციატივის უფლება, მათი გამგებლობის სფეროში, გააჩნიათ რუ-
სეთის ფედერაციის საკონსტიტუციო, უზენაეს და საარბიტრაჟო სა-
სამართლოებს.

ადსანიშნავია, რომ ნებისმიერი კანონპროექტის შეტანა თავდა-
პირებელად სახელმწიფო სათათბიროში ხდება. სათათბიროს მიერ
მიღებული ფედერალური კანონები 5 დღის ვადაში განსაზღველად
გადაეცემა ფედერაციის საბჭოს. ფედერალური კანონი ფედერაციის
საბჭოს მიერ დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს
წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. ფედერალური საბ-
ჭოს მიერ მისთვის გადაცემული კანონპროექტის 14 დღის განმავ-
ლობაში განუხილველობა ითვლება მის მიერ კანონპროექტის მი-
ღებად. იმ შემთხვევაში, თუ ფედერაციის საბჭო არ მიიღებს ქვედა
პალატის მიერ მიღებულ კანონპროექტს, პალატებმა უთანხმოების
დასაძლევად, მსგავსად ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერ-
მანიისა, შეიძლება შექმნა შემთანხმებელი კომისია, რის შემდეგაც
ფედერალურ კანონს ხელახლა განიხილავს სახელმწიფო სათათბი-
რო. ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებასთვის სახელმწიფო სათათ-
ბიროს შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ფედერალური კანონი მი-
ღებულად ჩაითვლება, თუ განმეორებითი კენჭისერის დროს მას
ხმას მისცემს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა საერთო რაო-
დენობის არანაკლებ ორი მესამედი.

ფედერალური კონსტიტუციური კანონის მისაღებად კონსტიტუ-
ცია პალატებისაგან გაზრდილი უმრავლესობით თანხმობას მოით-
ხოვს, კერძოდ, იგი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს
ფედერაციის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ სამი
მეოთხედი და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების საერთო რა-
დენობის არანაკლებ თრი მესამედი.

იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთის პრეზიდენტი მისთვის ხელმო-საწერად გადაცემულ კანონიკროექტს ხელს არ მოაწერს 14 დღის ვა-დაში, სახელმწიფოს სათათბირო და ფედერაციის საბჭო კონსტიტუ-ციით დადგენილი წესით ხელახლა განიხილავენ მოცემულ კანონს. თუ განმეორებითი განხილვისას ფედერალური კანონი ფედერაციის საბჭოს წევრებისა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების სა-ერთო რაოდენობის ხმების არანაკლებ ორი მესამედით მიღებულ იქ-ნება პირვანდელი რედაქციით, პრეზიდენტის ვეტო დაძლევულად ჩა-ითვლება და პრეზიდენტი უკვე ვალდებული გახდება, 7 დღის ვადა-ში მოაწეროს ხელი და გამოაქვეყნოს იგი.

კონსტიტუცია, ასევე, ჩამოთვლის საკითხებს, რომლებზედაც ფედერაციის საბჭოში სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული ფედერალური კანონების განხილვა და დამტიკიცება საგალდებუ-ლოა. ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც ეხება:

- ფედერალურ ბიუჯეტს; ფედერალურ გადასახადებსა და მო-საკრებლებს; საფინანსო, საგალურო, საკრედიტო, საბაჟო რეგულა-ციებს, ფულად ემისიას;

- რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების რა-ტიფიკაციასა და დენონსაციას;

- ფედერაციის სახელმწიფო საზღვრების სტატუსსა და მათ დაცვას;

- ოშა და მშვიდობას.

რაც შეეხება ფედერალური კრების ურთიერთმიმართებას ფედე-რალურ მთავრობასთან, ამ შემთხვევაშიც, მსგავსად გერმანიის ფე-დერაციული რესპუბლიკისა, ქვედა პალატის – სახელმწიფო სათათ-ბიროს უფლებრივი უპირატესობა აშკარაა. ფედერალური მთავრო-ბის თავმჯდომარეს რუსეთის პრეზიდენტი ნიშნავს სახელმწიფო სა-თათბიროს თანხმობით. სახელმწიფო სათათბიროს მიერ რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის/კანდიდატუ-რების სამჯერ უარყოფის შემდეგ, ფედერალური პრეზიდენტი დაით-ხოვს სახელმწიფო სათათბიროს და ნიშნავს ახალ ვადამდევლ არ-ჩევნებს.

სახელმწიფო სათათბირო უფლებამოსილია, უნდობლობა გამო-უცხადოს ფედერალურ მთავრობას. ამ საკითხზე დადგენილება მიი-ღება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა ნახევარზე მეტით. სახელმწიფო სათათბიროს მიერ მთავრობი-სათვის უნდობლობის გამოცხადების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა, ან არ გაითვალისწინოს სახელმწიფო სათათბიროს აღნიშნული გადაწყვეტილება. თუკი ეს უკანასკნელი მთავრობას “უშედეგო” უნდობლობის გამოცხადებიდან სამი თვის ვადაში ხელმეორედ გამოუცხადებს უნდობლობას, პრეზი-

დენტი დგება დილემის წინაშე – მან ან უნდა გადააყენოს მთავ-რობა ან დაითხოვოს პარლამენტის ქვედა პალატა.

ამას გარდა, ფედერალური მთავრობის თავმჯდომარეს შექმდლია თავადვე დააყენოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხი სახელმწიფო სათათბიროს წინაშე. თუ სახელმწიფო სათათბირო მას უარს ეტყვის ნდობაზე, პრეზიდენტი 7 დღის ვადაში იდებს გადაწ-ევეტილებას რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადაყენების ან სა-ხელმწიფო სათათბიროს დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვ-ნის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია სახელმწიფო სათათ-ბიროს დათხოვნა საომარი ან საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსი-ლების ვადის გასვლამდე ექვსი თვის განმავლობაში. გარდა ამისა, რუსეთის კონსტიტუცია კრძალავს სახელმწიფო სათათბიროს დათ-ხოვნას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდე-ბის წაყენების მომენტიდან ფედერაციის საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

როგორც ვხედავთ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მსგავსად, რუსეთის კონსტიტუციითაც გათვალისწინებულია პარლა-მენტის მხოლოდ ქვედა პალატის დათხოვნის შესაძლებლობა, ხოლო ფედერაციის საბჭო დათხოვნას არ ექვემდებარება. ამასთან, ფედე-რალური კრების დათხოვნა შეიძლება უკაგშირდებოდეს ორ საკ-იოთხს: მთავრობის ფორმირების პროცესის შეფერხებას (როცა პრე-ზიდენტი და სახელმწიფო სათათბირო ვერ თანხმდებიან პრემიერ-მი-ნისტრის კანდიდატურაზე) და მთავრობისათვის უნდობლობის გა-მოცხადებას (როცა სახელმწიფო სათათბიროსა და მთავრობას შო-რისაა უთანხმოება).

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის მთავრობის საპარლამენტო ანგარიშვალდებულებას და კონტროლს, რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობა სახელმწიფო სათათბიროს უველტვიურად წარუდგენს ანგარიშს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შე-დეგების თაობაზე, აგრეთვე, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომ-ლებიც თავად სახელმწიფო სათათბირომ დასვა მთავრობის წინაშე. ამასთან, კონსტიტუციის 114-ე მუხლის შესაბამისად, ფედერალური მთავრობა სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს ანგარიშს ფედერა-ლური ბიუჯეტის შესრულების თაობაზე. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვაზე საპარლამენტო კონტროლის განსახორციელებლად, ფედე-რალური კრების პალატები პარიტეტულ საწყისებზე აყალიბებენ რუსეთის ფედერაციის საანგარიშო პალატას, რომლის თავმჯდო-მარესაც ირჩევს სახელმწიფო სათათბირო, ხოლო თავმჯდომარის მოადგილეს – ფედერაციის საბჭო. ამასთან, რუსული პარლამენტა-რიზმი ითვალისწინებს მთავრობის საპარლამენტო ანგარიშვალდე-

ბულების ისეთ ტრადიციულ ფორმას, როგორიც სადეპუტატო შეკითხვაა.

ამჟრიკის შეერთებული შტატების მსგავსად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის იმპინგენტის პროცესში ქვეყნის პარლამენტის – ფედერალური კრების ორივე პალატა მონაწილეობს. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის შესაბამისად, ფედერაციის პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო დალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით, მის მიერვე შემქნილი სპეციალური კომისიის დასკვნის არსებობისას, სახელმწიფო სათათბირო იდებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენების თაობაზე, წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა ორი მესამედით. ამის შემდეგ საკითხი გადაეცემა რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობის დადგენისათვის და, ასევე, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა შეაფასოს ბრალდების წაყენების დადგენილი წესის დაცვა. პრეზიდენტის თანამდებობიდან წაყენების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ფედერაციის საბჭო იღებს წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა ორი მესამედით. ამასთან, კონსტიტუცია (მ.93 პ.3) აღვნეს, რომ ფედერაციის საბჭომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სახელმწიფო სათათბიროს მიერ ბრალდების წაყენებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში. თუ ამ პერიოდში არ იქნება მიღებული ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილება, პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება მოხსნილად ჩაითვლება.

რაც შეეხება ფედერალური კრების პალატების კომპეტენციებს სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებით, რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით, საკადრო უფლებამოსილებათა მიხედვით უპრატესობა უდავოდ ფედერაციის საბჭოს ეკუთვნის. უზენაესი და უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო მოსამართლები თანამდებობაზე ინიშნებიან ფედერაციის საბჭოს მიერ ფედერალური პრეზიდენტის წარდგინებით. ასევე ხდება რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო 19 წევრისგან შედგება, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს, ასევე, ფედერაციის საბჭო, პრეზიდენტის წარდგინებით. ამასთან, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით პარლამენტის ორივე პალატა აღჭურვილი.

ბიკამერალიზმის რუსული მოდელის ზოგადი ანალიზი ცხადებულს, რომ რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ზედა პალატა – ფედერაციის საბჭო, ერთ-ერთი ძლიერია თავისი კომპეტენ-

ციით, განსაკუთრებით კი - საკადრო კომპეტენციებით. ამასთან, ის აქტიურადაა ჩართული საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაშიც. ფედერალურ პალატებს შორის ფუნქციები აბსოლუტური განსაზღვრულობითაა გამოჯნელი, ამასთან, აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების, მისი ანგარიშვალდებულების, კონტროლისა და პასუხისმგებლობის საკითხების გადაწყვეტა ხალხის მიერ უშუალოდ არჩეული სახელმწიფო სათათბიროს ხელშია.

2.4. პოლონეთის რესპუბლიკა

პოლონეთის რესპუბლიკის ბიკამერალიზმი განხილული ქმაყნებიდან იმით გამოირჩევა, რომ აქ პარლამენტის მეორე პალატას ფაქტობრივად ნომინალური ფუნქციები აკისრია და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ზედა პალატადაა მიჩნეული. ანომალიაა, როდესაც ორივე პალატის წევრები პირდაპირი წესით აირჩევიან, ანუ მართლიანი იდენტური დემოკრატიური დევიტიმურობა გააჩნია, მაგრამ ზედა პალატას იდენტური დემოკრატიური დევიტიმურობა გადაწყვეტილებით არის აღჭურვილი²⁸.

პოლონური ბიკამერალიზმის დახასიათებამდე, მიზანშეწონილად მიგანია, ორიოდე სიტყვა ვთქვათ პოლონეთის პარლამენტის ორალატიანობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. პოლონეთის პარლამენტის ორალატიანი ინსტიტუციად ჩამოყალიბებამდე, ბიკამერალიზმის დანიშნულება დავისა და დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. 1989 წლის დასაწყისში, როდესაც პოლონეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებში არსებითი ცვლილებები განიხილებოდა, მრგვალი მაგიდის ფარგლებში წამოჭრილ იქნა მეორე პალატის, სენატის აღდგენის საკითხი.²⁹ თუმცა, ამ იდეის ავტორთა ჩანაფიქრი სენატის არც ტერიტორიული წარმომადგენლობის და არც ადგილობრივი ხელისუფლების პალატად ჩამოყალიბებას არ უქავშირდებოდა, რაც ბუნებრივია, ვინაიდან იმდროინდელ პოლონეთში ადგილობრივი ადმინისტრაცია სრულად ექვემდებარებოდა ცენტრალურ სახელმწიფო ადმინისტრაციას. თუმცა, ამის მიუხედავად, კონსტიტუციამ სენატის ფორმირების წესად პოლონიციათა (ვოკოდების) ელექტორატის მიერ პირდაპირი არჩევის გზა ჩამოყალიბა. საგულისხმოა, რომ პოლონეთის პარლამენტში სენატის არსებობა და რეალური დანიშნულება დღემდე დავის საგნად რჩება³⁰.

²⁸ Patrice Gerald; Report on Second Chambers in Europe “Parliamentary Complexity or Democratic Necessity”; Strasbourg, 26 November 2006; European Commission For Democracy Through Law.

²⁹ პოლონეთიში სენატი ტრადიციულად არსებობდა, თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტურადა რეაქტიული გადაუქმდა იგი რეფერენდუმის საფუძველზე.

³⁰ Bicameral Systems and Representation of Regions and Local Authorities: The Role of Second Chambers in Europe; Report on Improving the representation of regions and local authorities in Europe in a Second Chamber of Parliament – the Polish experience; Hanna Suchocka, Paris, 2008.



პოლონეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლებას ქვედა პალატა - სეიმი და ზედა პალატა - სენატი ახორციელებს. ისინი ერთმანეთისაგან ფორმირების წესისა და უფლებამოსილების ვადის თვალსაზრისით არაფრით განსხვავდებიან. სეიმი შედგება 4 წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, პროპორციული არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული 460 დეპუტატისაგან; სენატი კი შედგება, ასევე 4 წლის ვადით არჩეული 100 სენატორისგან, რომლებიც აირჩევიან საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭისყრით. კონსტიტუცია სეიმისა და სენატის ერთდროულ წევრობას კრძალავს. აქვთ უნდა ითქვას, რომ პოლონეთის კონსტიტუცია სეიმისა და სენატის წევრობისათვის განსხვავდულ ასაკობრივ ცენტს ადგენს: სეიმში შეიძლება არჩეულ იქნას საარჩევნო უფლების მქონე პოლონეთის მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 21 წლის ასაკს, ხოლო სენატში – პოლონეთის მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 30 წლის ასაკს.

აღსანიშნავია, რომ სეიმისა და სენატის უფლებამოსილების ვადის დაწებება მიმდევლია სეიმის პირველ სხდომაზე შეკრების დღესთან და გრძელდება შემდგომი მოწვევის სეიმის შეკრების წინა დღემდე. ამას გარდა, სეიმის უფლებამოსილების ნებისმიერი საფუძვლით ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, წყდება სენატის უფლებამოსილების კიდევ ერთხელ უსგამს ხაზს.

ზემოთ განხილული ქვეყნებისაგან განსხვავებით, პოლონური პარლამენტარიზმი ითვალისწინებს თვითდათხოვნის შესაძლებლო-

ბას, კერძოდ, სეიმს შეუძლია, საქუთარი უფლებამოსილების ვადა შეიწყვიტოს დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში, სენატის უფლებამოსილებაც ავტომატურად წყდება. ამას გარდა, რესპუბლიკის პრეზიდენტს სეიმისა და სენატის თავმჯდომარეების, იგივე – მარშლების, აზრის მოსმენისას შეუძლია კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში გამოსცეს ბრძანება სეიმის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტის შესახებ, რასაც, როგორც წინა შემთხვევაში, სენატის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა მოსდევს.

თითოეული პალატა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს - მარშალსა და ვიცე-მარშალებს. მარშალი ხელმძღვანელობს პალატებში განხილვებს და წარმოადგენს პალატას მის გარეთ. სეიმისა და სენატის მუშაობის ორგანიზაცია და წესი, ასევე, მათი ორგანების შექმნისა და საქმიანობის წესი, განისაზღვრება პალატების მიერ მიღებული რეგლამენტებით.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს სეიმის მარშალი ნიშავს. ამას გარდა, რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობას, შესაბამისი პირობების არსებობისას, სწორედ სეიმის მარშალი ასრულებს.³¹ იმ შემთხვევაში, თუ სეიმის მარშალს არ შეუძლია პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება, ეს ვალდებულება სენატის მარშალს ეკისრება. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ პირს სეიმისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის უფლება არ აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ სეიმი და სენატი ძირითადად განცალკევბულად საქმიანობენ, რესევორის ფედერაციისაგან განსხვავებით, ბიკამერალიზმის პოლონური მოდელი არ გამორიცხავს პოლონეთის პარლამენტის უნიკამერალურ რეუიმში მუშაობას. კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, სეიმის მარშალის ხელმძღვანელობით, ან მისი არყოფნის დროს – სენატის მარშალის მიერ, სეიმი და სენატი ატარებენ ერთობლივ სესიას, რა დროსაც მოქმედებენ როგორც ეროვნული კრება. ეროვნული კრება იდებს თავის რეგლამენტს.

პოლონეთის პრეზიდენტს, კონსტიტუციის ან კანონის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ბრალდება შეიძლება წარედგინოს სწორედ ეროვნული კრების არანაკლებ 140 წევრის წინადაღებით, რომელიც მიიღება ეროვნული კრების წევრთა კანონიერი რაოდენობის ხმათა არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობის მიერ, დადგუნდების სახით.

³¹ 2010 წლის 10 აპრილს რუსთის ფედერაციაში კატინის ტაგვირითი 70 წლისთვის აღსანიშნავად მიმავალ პოლონების პრეზიდენტი დებს კაზინების თვითმფრინავის კატასტოფისა და პრეზიდენტის დაღუპვის შემდეგ, პრეზიდენტის მოვალეობების შესრულებას სწორედ სეიმის მაშინდელი მარშალი და პოლონეთის დღევანდელი პრეზიდენტი, ბორისლავ კომაროვსკი შეუდგა.

ეროვნული კრების კომპეტენციაში, გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე შედის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებისას ფიცის მიღება. ამას გარდა, ეროვნული კრება კანონიერ წევრთა რაოდგნობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით იღებს დეკლარაციას რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ჯანმრთელობის მდგრამარეობის გამო თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელების მუდმივი შეუძლებლობის თაობაზე. ასეთ კითარებაში, რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევამდე მის მოვალეობებს სეიმის მარშალი ასრულებს. პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია, მოხსენებით მიმართოს ეროვნულ კრებას.

პოლონეთში საკანონმდებლო ინიციატივა ექუთვნით სეიმის წევრებს, სენატს, რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მინისტრთა საბჭოს. სენატის ერთგვარი “დაკნინებული” როლი აქაც ჩანს, ვინაიდან, სენატორებისაგან განსხვავებით, კანონპროექტის ინიციორების უფლებით ქვედა პალატის თითოეული წევრი სარგებლობს. სეიმი კანონის პროექტს განიხილავს სამი მოსმენით. ქვედა პალატის მიერ მიღებულ კანონს სეიმის მარშალი გადასცემს სენატს, რომელსაც კანონის გადაცემიდან 30 დღის ვადაში შეუძლა მიიღოს იგი ცვლილებების გარეშე, შესწორებებით ან სრულად უარყოს იგი. თუ სენატი კანონის გადაცემიდან 30 დღის ვადაში არ მიიღებს შესაბამის დადგენილებას, კანონი მიღებულად ითვლება სეიმის მიერ მიღებული რედაქციით. სენატის კანონის უარმყოფელი დადგენილება ან სენატის დადგენილებით წარდგენილი შესწორება მიღებულად ითვლება, თუ დეპუტატთა კანონიერი რაოდგნობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით ჩატარებულ სეიმის სხდომაზე სეიმი სენატის უარყოფას ან შესწორებებს არ დაძლევს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტი შეიძლება შეიტანოს დეპუტატთა არანაკლებ 1/5-მა, სენატმა ან რესპუბლიკის პრეზიდენტმა. კონსტიტუციის გადასინჯვა ხდება კანონით, რომელიც ერთნაირი რედაქციით მიიღება სეიმის, ხოლო შემდეგ, არა უმეტეს 60 დღის ვადაში, სენატის მიერ. კონსტიტუციის შესწორების შესახებ კანონი სეიმის მიერ მიიღება ხმათა 2/3-ის უმრავლესობით, დეპუტატთა კანონიერი რაოდგნობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით, ხოლო სენატის მიერ – ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, სენატორთა კანონიერი რაოდგნობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით (მ. 235).

პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, ასევე, განსხვავებულ წესს ადგენს კიდევ ერთი შემთხვევისთვის (მ.90). პოლონეთის რესპუბლიკას შეუძლია, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საერთაშორისო ორგანიზაციას ან საერთაშორისო ორგანოს გადასცეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენცია კონკრეტულ საქმეებთან

დაკავშირებით. კანონს, რომელიც გამოხატავს თანხმობას აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციაზე, სეიმი იღებს ხმათა 2/3-ის უმრავლესობით, დეპუტატთა კანონიერი რაოდგნობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას, ხოლო სენატი – 2/3-ის უმრავლესობით სენატორთა კანონიერი რაოდგნობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას.

რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დაკავშირებული საპარლამენტო უფლებამოსილებები, ფაქტობრივად, მხოლოდ სეიმს ეკუთვნის.

რესპუბლიკის პრეზიდენტი წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას. პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, მინისტრთა საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, სეიმის პირველი სხდომის გამართვიდან ან წინა მინისტრთა საბჭოს გადადგომის მიღებიდან 14 დღის ვადაში და იღებს ახლადდანიშნული მინისტრთა საბჭოს წევრთა ფიცს. პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის მიერ დანიშნიდან 14 დღის ვადაში სეიმს წარუდგენს მინისტრთა საბჭოს საქმიანობის პროგრამას ხდობის მისაღებად. ხდობის ვოტუმის შესახებ გადაწყვეტილებას სეიმი იღებს ხმათა აბსოლუტური ურავლესობით, დეპუტატთა კანონიერი რაოდგნობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით.

თუ ზემოთ მოცემული წესების შესაბამისად ახალი მინისტრთა საბჭო ვერ მიღებს სეიმისგან ხდობის ვოტუმს, სეიმი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდგნობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით, თავად ირჩევს პრემიერ-მინისტრს და მის მიერ წარმოადგენიდ მინისტრთა საბჭოს წევრებს. რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს ამ გზით არჩეულ მინისტრთა საბჭოს და იღებს მის წევრთა ფიცს.

თუ მინისტრთა საბჭო ვერც ამ უკანასკნელი წესით დაინიშნა, რესპუბლიკის პრეზიდენტი 14 დღის ვადაში ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, მისი წინადადებით მინისტრთა საბჭოს დანარჩენ წევრებს და იღებს მათ ფიცს. რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მინისტრთა საბჭოს დანიშნიდან 14 დღის ვადაში სეიმი დეპუტატთა კანონიერი რაოდგნობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას ხმათა უმრავლესობით მას უცხადებს ხდობის ვოტუმს. ხდობის ვიტუმის მინიჭებაზე უარის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი წევებს სეიმის უფლებამოსილებას და ნიშნავს ხელასალ არჩევნებს. ამ შემთხვევაშიც, სენატის უფლებამოსილება ავტომატურად წყდება.

კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში სეიმი აკონტროლებს მინისტრთა საბჭოს საქმიანობას. პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა საბჭოს წევრები ვალდებული არიან, 21 დღის განმავლობაში გასცენ პასუხი სადეპუტატური ინტერპელაციებსა

და შეკითხვებს. ისინი ასევე ვალდებული არიან, სესიის ყოველ სხდომაზე გასცენ პასუხი მიმდინარე კითხვებს.

სეიმი უფლებამოსილია, უნდობლობა გამოცხადოს მინისტრთა საბჭოს დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის უმრავლესობით, რომელიც შეტანილია არანაკლებ 46 დეპუტატის მიერ და სადაც მითითებულია პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ვინაობა. თუ სეიმი მიიღებს დადგენილებას, რესპუბლიკის პრეზიდენტი იდებს მინისტრთა საბჭოს გადადგომას და ნიშავს სეიმის მიერ არჩეულ ახალ პრემიერ-მინისტრს და მისი წინადადებით საბჭოს დანარჩენ წევრებს, ასევე იდებს მათ ფიცს.

გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრს თავად შეუძლია დააყენოს მინისტრთა საბჭოს ნდობის საკითხი სეიმის წინაშე. ამ შემთხვევაში, მინისტრთა საბჭოსათვის ნდობის ვოტუმის გამოცხადება ხორციელდება დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას, ხმათა უმრავლესობით.

მინისტრთა საბჭოს წევრებს სეიმის წინაშე ინდივიდუალური პასუხიმგებლობასაც აკისრიათ მათს კომპეტენციას მიკუთნებულ საქმეებზე ან პრემიერ-მინისტრის მიერ მათთვის მიცემულ დავალებებზე. სეიმი უფლებამოსილია, უნდობლობის ვოტუმი გამოცხადოს ცალკეულ მინისტრებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალური აქტები, კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისების გარდა, ნამდვილობისთვის პრემიერ-მინისტრის ხელმოწერას საჭიროებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრი ამ აქტებზე ხელმოწერით პასუხისმგებლობას იღებს სეიმის წინაშე.

პოლონეთის პარლამენტის თავისებურებას წარმოადგენს მისი უფლებამოსილება, შექმნას სხვადასხვა დანიშნულების სპეციალური კონსტიტუციი ორგანოები.

პოლონეთის კონსტიტუციის 199-ე მუხლის შესაბამისად, სეიმის დეპუტატთა და სენატორთა შემადგენლობიდან იქნება სეიმის მიერ თავისი უფლებამოსილების ვადით არჩეული თაგმჯდომარის, მისი 2 მოადგილისა და 16 წევრისგან შემდგარი სახელმწიფო ტრიბუნალი, რომლის წინაშეც კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევაში და წესით პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ერთი მხრივ, სეიმისა და სენატის წევრებს, თუ ისინი დაარღვევენ პოლონეთის კონსტიტუციის 107-ე მუხლს, რომლის შესაბამისადაც, დეპუტატი (ასევე – სენატორი) არ შეიძლება ახორციელებდეს ეკონომიკურ საქმიანობას სახელმწიფოს ხაზინის ან ტერიტორიული თვითმმართველობის ქონებისგან შემოსავლის მიღების მიზნით ან ამ ქონების შეძენით; ხოლო მეორე მხრივ - რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და მინისტრთა საბჭოს წევრებს, პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს, კონტროლის უმაღლესი პალატის თაგმჯდომარეს, რა-

დიომაუწყებლობისა და ტელევიზიის ეროვნული საბჭოს წევრებს, პირებს, რომელთაც პრემიერ-მინისტრმა მიანდო სამინისტროების მართვა, ასევე, შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, თავიანთი უფლებამოვალების შესრულებისას, კონსტიტუციისა და კანონის დარღვევისთვის (მ. 198).

საგულისხმოა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის შეწყალების უფლება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სახელმწიფო ტრიბუნალმა მიიჩნია დამნაშავედ.

სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭო, რომელიც “სასამართლოებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სადარაჯოზავული”³², შედგება 25 წევრისგან, მათ შორის შედიან სეიმის მიერ საკუთარი რიგებიდან არჩეული 4 წევრი და სენატის მიერ სენატორთაგან არჩეული 2 წევრი.

კონსტიტუციური კონტროლის ფუნქციას პოლონეთში ახორციელებს პოლონეთის საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანო - საკონსტიტუციო ტრიბუნალი, რომელიც შედგება სეიმის მიერ 9 წლის ვადით არჩეული წევრებისგან. ამ შემთხვევაში სენატი საერთოდ არ მონაწილეობს, თუმცა მსგავსად სეიმისა, სენატის მარშალი უფლებამოსილია, მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს.

სეიმი პოლონეთის რესპუბლიკის სახელით წევრებს ომისა და ზავის საკითხებს. მას შეუძლია მიიღოს დადგენილება ომის შესახებ რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ან როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს აგრესიისგან ერთობლივი თავდაცვის ვალდებულება. თუ სეიმს არ შეუძლია სხდომაზე შეკრება, ომის მდგომარეობას ადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტი. შესაბამისი პირობების არსებობისას, სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ განკარგულებას რესპუბლიკის პრეზიდენტი სეიმს წარუდგენს მისი ხელმოწერიდან 48 საათის განმავლობაში. ამ მდგომარეობის, ასევე, ხტიქური უბედურების მდგომარეობის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ სეიმის თანხმობით.

რევერნდუმის დანიშვნის უფლება აქვს სეიმს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით ან რესპუბლიკის პრეზიდენტს სენატის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გამოხატული თანხმობით, სენატორთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას.

სეიმს ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლის უმაღლესი ორგანო - კონტროლის უმაღლესი პალატა. აღნიშნული ორგანო სეიმს ყოველწლიურად წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს. კონ-

³² პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მ.186 (I).

ტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარე ინიშნება სეიმის მიერ სენატის თანხმობით 6 წლის ვადით. დაუშვებელია კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარის სეიმის წინასწარი თანხმობის გარეშე სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა ან თავისუფლების აღკვეთა.

პოლონეთის რწმუნებული მოქალაქეთა უფლებებში (ომბუდსმენი) ასევე ინიშნება სეიმის მიერ სენატის თანხმობით 5 წლის ვადით. იგი მხოლოდ სეიმის წინაშეა პასუხისმგებელი და, მსგავსად კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარისა, დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა ან თავისუფლების აღკვეთა სეიმის წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, პოლონეთის ომბუდსმენი სეიმსა და სენატს ყოველწლიურად აწვდის ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ, ასევე, ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებისა და უფლებების მდგომარეობის დაცვის შესახებ.

პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარე ასევე სეიმის მიერ ინიშნება პრეზიდენტის წარდგინებით.

პოლონეთის კონსტიტუციით, აგრეთვა, განსაზღვრულია რიგი ორგანოებისა, რომელთა ფორმირებისას სეიმთან ერთად, სენატიც მონაწილეობს. მაგალითად, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის ეროვნული საბჭოს წევრები სეიმის, სენატისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან. პოლონეთის სავალუტო პოლიტიკის საბჭოს შემადგენლობაში, ასევე შედიან რესპუბლიკის პრეზიდენტის, სეიმისა და სენატის მიერ თანაბარი რაოდენობით დანიშნული პირები. აღნიშნული საბჭო ყოველწლიურად ადგენს სავალუტო პოლიტიკის ძირითად დებულებებს, რომელსაც განსახილველად წარუდგენს რესპუბლიკის პარლამენტის ქვედა პალატას.

ნიშანდობლივია სეიმის მძლავრი კომპეტენციები სახელმწიფო ფინანსების საკითხებში. იგი სახელმწიფო ბიუჯეტს იღებს საბიუჯეტო კანონის ფორმით. მინისტრთა საბჭოს, საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 თვისა, სეიმში შეაქვს შემდგომი წლის საბიუჯეტო კანონის პროექტი. სენატი უფლებამოსილია, საბიუჯეტო კანონპროექტის სეიმში შეგანიდან 20 დღის ვადაში ცვლილებები შეიტანოს მასში. თუ საბიუჯეტო კანონპროექტი შეტანის დღიდან 4 თვის განმავლობაში სელმოსაწერად არ წარედგინა რესპუბლიკის პრეზიდენტს, ამ უკანასკნელს შეუძლია 14 დღის ვადაში გამოსცეს ბრძანება სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.


როგორც ვხედავთ, პოლონეთის შემთხვევაში სეიმის და სენატის ვადამდე დათხოვნის საფუძვლებს, გერმანიისა და რუსეთისაგან განსხვავებით, ემატება მესამე საფუძველი – ბიუჯეტის შესახებ კანონის მიუღებლობა.

პოლონეთის ბიკამერალიზმის ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ განხილული ქვეყნებიდან პოლონეთის სენატი უკელაზე სუსტ, ხოლო, მსოფლიოში – ერთ-ერთ უკელაზე სუსტ ზედა პალატას წარმოადგენს. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ მისი უფლებამოსილება ქვედა პალატის უფლებამოსილების აღკვეთა მიბმული.

III თავი.

ბიკამერალიზმი, ოობორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი და მისი რეალიზაციის პრისტიპა საქართველოში

1991 წლის სახელმწიფო უნივერსიტეტი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების შემდეგ ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბებისა თუ აღდგენის უამრავი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა გახდა საჭირო, მათ შორის, 1995 წლის 24 აგვისტოს, სრულიად ახალი კონსტიტუციის მიღებაც.



საჯარო ხელისუფლების ინსტიტუციური ორგანიზებისა და ფუნქციონირების ასპექტები, ტრადიციულად, კონსტიტუციური რეგლამენტის საგანია და კონსტიტუცია, როგორც საჯარო ხელისუფლების დაფუძნებითი ნორმატიული დოკუმენტი, სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო ხელისუფლების განხორციელების კონცეპტუალურ ხედვებს შეიცავს. კონსტიტუციის, როგორც დაფუძნებითი აქტის, შინაარსის შეცნობისათვის, მისი სისტემური გაანალიზება საჭირო. ამასთან, კონსტიტუციის გაგებისათვის მისი მხოლოდ ფორმალური ანალიზი არაა საკმარისი, არამედ მისი მოქმედების ფაქტობრივი მდგრმარებლის შეფასებაც საჭიროა.

ახალმა კონსტიტუციამ პრეამბულასა და კონსტიტუციური წერის განმსაზღვრელ პირები თავში ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის

განვითარების პრესექტივად თითქმის ყველა თანამედროვე იდეა გაითვალისწინა: დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილება, სამართლებრივი სახელმწიფო, სოციალური სახელმწიფო, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რომლის სახელმწიფო სუვერენიტეტიც სახალხო სუვერენიტეტსა და ადამიანისა და მოქალაქის წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს ეფუძნება, ხელისუფლების დანაწილება, სეკულარული (საერო) სახელმწიფო – ყველა ეს პრინციპი 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებული საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო საჯარო ხელისუფლება უნდა განხორციელდეს.

საქართველოს კონსტიტუციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი სტრუქტურა თუ შინაარსი, დაკავშირებულია, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ მისწრაფებებსა და სურვილებთან, კონსტიტუციური წერის პრესექტივულ პრიორიტეტებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ის ფაქტობრივ კონსტიტუციურ (ფაქტობრივად არსებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ) წესრიგსაც ემყარება.

მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლში სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის პრინციპი არ არის ჩამოყალიბებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ინტეგრირებულობის ფაქტობრივი პრობლემების გამო (ტერიტორიათა ოკუპირებული სტატუსი, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განუვრცელებლობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე); კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფო უნივერსიტეტი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათათ გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.“ როგორც ვხედავთ, კონსტიტუციის ტექსტის ფორმირებისას დაფიქსირდა ის ძირითადი გამოწვევა, რაც იმ პრიორიტეტის საქართველოში არსებობდა. აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ თლქში განვითარებულმა სამხედრო დაირისპირებამ, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და ტერიტორიების ოკუპაცია მოჰყვა, კონსტიტუციაში სათანადო ასახვა პოვა როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივმა მოცემულობაბმ³³. ამასთან, კონსტიტუცია გვერდს არ უვლის სახელმწიფო ხელისუფლების ვერტიკალური განაწილებისა და უფლებამოსილებათა და გამგებლობის საკითხების გამიჯვნის თემებს, თავის მე-2 და მე-3 მუხლებში მაინც იძლევა სახელმწიფო ტერიტორიული ორგანიზაციის პრესექტივული მოდელის ცალკეულ თავისებურებებს (საქართველოსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის, აფხაზეთის და

³³ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოუვარებლობა, დღესდღითაც, ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევად რჩება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსების, ერთობლივ გამგებლობას მიკუთხნებული საკითხების განსაზღვრის შესახებ და სხვ).³⁴

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუციის /პრინციპის პერსპექტიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოდელის /რეალიზაციის დეკლარირების მეორე მაგალითს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლი, რომლის შინაარსზე მსჯელობა და სისტემური გაზრდება კონსტიტუციის სხვა მუხლებსა და მისი ზოგად არსთან მიმართებით უნდა მოვახდინოთ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლი საჯარო ხელისუფლების ორგანიზების მნიშვნელოვან ასპექტს - ქვეყნის საქართველო მდებლო თრგანოს სტრუქტურულ-ინსტიტუციურ მოდელს განსაზღვრავს და ბიკამერალური პარლამენტის პერსპექტიულ მოდელს გვთავაზობს. საქართველოს კანონმდებლობაში თრადატიანი პარლამენტის შესახებ ბევრი არაფერია ნათევამი, თუმცა კონსტიტუციის მე-4 მუხლისა და 49-ე მუხლის პირველი პუნქტის განვრცობითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, უფრო მეტი ვთქვათ ბიკამერალური პარლამენტის პერსპექტივაზე ქართულ სინამდვილეში. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით დეკლარირებული ბიკამერალიზმის პრინციპის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დეკლარირებულ ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან ერთობლივი, ყველაზე ფართო და ზოგადი განმარტებითი ანალიზი, სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუციურ დაყოფასა და კონსტიტუციაში ცალკე საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თავების გამოყოფასთან ერთად, საკუთარ არსში – ბალანსისა და გაწონასწორების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების შიდა ინსტიტუციურ და ფუნქციურ განაწილებასაც შეიძლება გულისხმობებს, ვინაიდან ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაცია, მთელი თავისი სისრულით, ინსტიტუციურად და ფუნქციურად ძლიერი პარლამენტის გარეშე რთული წარმოსაგდენია, ბიკამერალიზმი კი საპარლამენტო ხელისუფლების ინსტიტუციური სიდლიერის წინაპირობად მიიჩნევა.

³⁴ 1993-1995 წელს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მომზადებული კონსტიტუციის ვარიანტის (სამდიგნოს პროექტი) მე-2 მუხლში საქართველო ფედერალურ საწისებზე ორგანიზებულ სახელმწიფოდ იყო განსაზღვრული, რასაც ლოგიკურად მიჰყვებოდა უფლებამოსისდებათ გამოიჯვნის საკითხისადმი მიძღვნილი მე-3 და ორაპლატიანი პარლამენტისას მიმდვრილი მე-4 მუხლები. კონსტიტუციის პროექტის საპარლამენტო განხილვებისას საკანონმდებლო რეგისტრი მიმღები საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ფედერალურის პრინციპი, გაგრამ რატომდაც მე-3 და მე-4 მუხლების პროექტისუფლი რედაქცია 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის ტექსტში დატვა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და აღიიღობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი; რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან, ხოლო სენატი - აფხაზების ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაინშეული 5 წევრისაგან. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს ორგანული კანონი განსაზღვრავს.

ბიკამერალიზმის კონსტიტუციური პრინციპის რეგლამენტაციისას ქართველი კანონმდებელი რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე ცდილობს უკრადღების გამახვილებას; ამასთან, ბიკამერალური პარლამენტის ორგანიზება ორ პირობას - საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნასა და აღიიღობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებას დაუკავშირა.

ის რომ ქართული ბიკამერალიზმის კონსტიტუციური რეგლამენტიცია კონსტიტუციურმა კანონმდებელმა სწორედ კონსტიტუციური წყობის საფუძვლების განმსაზღვრელ I თავში მოახდინა, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საკითხთან შინაარსობრივ-სტრუქტურულ კავშირში და არა საქართველოს პარალელურისადმი მიღვნილ III თავში, ჩვენს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ პარლამენტის ბიკამერალური სისტემა სწორედ სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციისა და ტერიტორიული წარმომადგენლობის საკითხებთანაა დაკავშირებული, კიდევ უფრო ამყარება.

ხშირად პრობლემა წამოიჭრება ხოლმე მსჯელობისას, თუ რას გულისხმობს „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნა“. კონსტიტუციური მუხლის გაგება, მისი ინტერპრეტირება თუ არაუთენტური განმარტება, რა თქმა უნდა, მრავალმხრივად შეიძლება.

არსებობს მოსახრება, რომ „შესაბამისი პირობები“ არ უკავშირდება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის გადაწყვეტას, ვინაიდან ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ფრაზა განსხვავდება კონსტიტუციის გამოყენებული იმ ფრაზებისაგან, რომლებიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფაქტობრივ გარემოებას ამა თუ იმ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პერსპექტივის დადგომას უკავშირებენ. მართლაც, თუ დაუკავირდებით კონსტიტუციური კანონმდებლის მიერ გამოყენებულ ლექსიკას, ზემოაღნიშნული მტკიცება შეიძლება უსაფუძვლოც არ მოგვეჩნოს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში, ისევე როგორც, საქართველოს კონსტიტუციის 108-ე მუხლში, კონსტიტუციური

კანონმდებლი არ ერიდება იმის რეგლამენტაციას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კონსტიტუციის მიღების ეტაპისთვის დარღვეულია და, შესაბამისად, ნორმის ამოქმედების ან/და განსაზღვრული პრინციპის კონსტიტუციური რეგლამენტაციის საკითხს უკავშირებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენას; ამგარი ტერმინოლოგიის გამოყენებას ვერ გვედავთ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში, რის გამოც ლოგიკურად იძალება კითხვა „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნა“ (მე-4 მუხლი, პირველი პუნქტი), როგორც ბიკამერალური პარლამენტის წინაპირობა, იგივე შინაარსის მატარებელია თუ არა, რაც „ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენა“ (მუხლი მე-2, პუნქტი მე-3), „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრული აღდგენა“ (მუხლი 108)?!

როგორც ზემოთ აღვნიშეთ, კონსტიტუციის შინაარსის შეცნობისათვის, უმნიშვნელოვანებისა, კონსტიტუციის ტექსტი წავიკითხოთ ერთობლიობაში და არა კონტექსტიდან ამოგლეჭილი ფრაზებით. ამ თვალსაზრისით, ან თუნდაც პარლამენტის ბიკამერალურობის განმსაზღვრელი მუხლის კონსტიტუციის პირველ თავში მოქცევის გამო, ჩვენ გვიტირს, ქართული ბიკამერალიზმის კონსტიტუციური იდეა არ დავუკავშიროთ ტერიტორიული წარმომადგენლობის საკითხს, რადგანაც ბიკამერალიზმისა და, უფრო კონკრეტულად, ორპალატიანი პარლამენტის ერთ-ერთი პალატის (სენატის) ტერიტორიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის დანიშნულებაზე კონსტიტუციური კანონმდებლი პირდაპირ საუბრობს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტშიც.

ამასთან, ბიკამერალიზმი, როგორც უკვე აღინიშნა, გულისხმობს არამხოლოდ ტერიტორიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფას საკანონმდებლო ორგანოში, არამედ პარლამენტის ფუნქციური დაწვირთვისა და სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის სრულყოფილ განხორციელებასაც.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, შესაბამისი პირობების დადგომაში იგულისხმდებოდეს შემდეგი ფაქტობრივი მოცემულობების დადგომა ერთობლივად ან ცალ-ცალქა:

- დამოუკიდებლობააღდგენილ სახელმწიფოში საჯარო ხელისუფლების ინსტიტუციური ორგანიზების სისტემური და ოპტიმალური გადაწყვეტა;

- საკანონმდებლო ხელისუფლების შტოს ძლიერებისა და ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა;

- ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და იურისდიქციის განვრცობა.

ბიკამერალიზმის იდეის რეალიზაციის მეორე, კონსტიტუციითვე რეგლამენტირებული პირობაა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირება, რაც უკვე დამდგარი მოცემულობაა.

უკვე შემთხვევაში, ორპალატიანი პარლამენტის პერსპექტივაზე საუბრისას ყოველთვის უნდა გვასხსოვდეს კონსტიტუციის, როგორც დაფუძნებითი დოკუმენტის არსი, რაც გულისხმობს მომავალში ვვდლა იმ პირობის დაცვას, რაც ჩადებულ იქნა კონსტიტუციის ტექსტში, როგორც ხელისუფლების წყაროს – ხალხის ნება, მისი კონსტიტუციურად დეკლარირებული სურვილი.

ვვიქრობთ, ქართულ სინამდვილეში, ორპალატიანი პარლამენტის განხორციელების კონცეპტუალური ხედგა უავშირდება როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხის გადაწყვეტას, ასევე, საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციური და ინსტიტუციური როლის გაზრდას, რაც საზოგადოების საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში თანამონაწილეობის მეტ შესაძლებლობას შექმნის. გასათვალისწინებელია ქვეყანაში არსებული რეალობა და აუცილებელია ადგევატური მიღვომის ჩამოყალიბება, მათ შორის, პოლიტიკური თუ ეროვნული (ეთნიკური) თვითგამორკვევის პროცესში მყოფი ტერიტორიული ერთეულის საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში ჩართვასთან დაკავშირებითაც.

საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსისა და მისი საქმიანობის წესის განმსაზღვრელ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 თავში პარლამენტის ერთპალატიანი სტრუქტურით მოწყობა ხასს უსვამს იმ ფაქტს, რომ კანონმდებელი ბიკამერალიზმს ხანგრძლივი პერიოდის პერსპექტივას უკავშირდებს. ერთი შეხედვით, ერთპალატიანი პარლამენტი თითქოს გარდამავალ პერიოდს უკავშირდება, თუმცა ეს ეტაპი უკვე 16 წელია გრძელდება. ამ გარემოების გათვალისწინებით და ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, უმჯობესია, საქართველოს ორპალატიანი პარალამენტის დანიშნულებებზე პრობლემურ ჭრილები ვისაუბროთ. საჭიროა პასუხისმიერობა კითხვაზე, უკავშირდება ბიკამერალიზმი ტერიტორიულ წარმომადგენლობას, თუ კონსტიტუცია და ქვეყანაში არსებული ფაქტობრივი კონსტიტუციური წესრიგი გვაძლევს შესაძლებლობას, ბიკამერალიზმის არსებობის სხვა აუცილებელ ფაქტორებზეც ვიმსჯელოთ? აღნიშნულმა დილემამ 2009-2010 წლების საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაშიც იჩინა თავი.

ორპალატიანი პარლამენტის იდეა რომ მხოლოდ პარალამენტარიზმის განვითარებას არ უკავშირდება და ქვეყანაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის გადაწყვეტის თანმდევრია, 2009-2010 წელს მოქმედი საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაც მეტყველებს. 2009 წელს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით საქართველოს სა-

ხელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა. „კონსტიტუციის გადასინჯვის ფარგლებში მოიაზრება სახელმწიფოს ბოჭვა ადამიანის ძირითადი უფლებებით, სახელისუფლებო განშტოებათა უფასებიანი, გაწონასწორებული სისტემა და კონსტიტუციის სხვა დებულებათა ასლებური ხედვა”³⁵ - სწორედ ასე განისაზღვრა კომისიის ძირითადი მიზნები. 2009-2010 წლებში მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმის ფარგლებში ცვლილებები განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზების ნაწილში. მიუხედავად კომისიაში წარმოდგენილი კონსტიტუციური ცვლილების პროექტისა, რომელიც პარლამენტის სტრუქტურირების ბიკამერალურ პრინციპს ითვალისწინებდა, ამ მიმართულებით საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ პარლამენტის სტრუქტურა უცვლელი დატოვა. ამასთან, კომისიამ გაითვალისწინა ორპალატიანი პარლამენტის ინსტიტუციური აუცილებლობა და კონსტიტუციის მე-4 მუხლში არსებული ბიკამერალიზმის კონსტიტუციის პრინციპი უცვლელი დატოვა, ისევე როგორც 49-ე მუხლის 2008 წლის შესწორება, რომლის მიხედვითაც “საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 75 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 75 პარლამენტის წევრისგან”.

საკონსტიტუციო კომისიაში აღნიშნულ საქითხთან დაკავშირებით განსხვავდებული მოსაზრებები არსებობდა. მთავარი არგუმენტები, როგორც ბიკამერალიზმის ზოგად არსე, აგრეთვე, კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობების დადგომას უკავშირდებოდა. ორპალატიანი პარლამენტის შესახებ საუბრები საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საკანონმდებლო ხელისუფლების სამუშაო ჯგუფში პერმანენტული პერიოდულობით მიმდინარეობდა. 2010 წლის 5-6 აგვისტოს გამართულ საკონსტიტუციო კომისიის სარედაქციო ჯგუფის გაფართოებულ სხდომაზე განხილულ იქნა ის მოსაზრებები, რომელიც ორპალატიანი პარლამენტის შესაძლო დამკვიდრებას უკავშირდებოდა.

საკონსტიტუციო კომისიის ერთი ნაწილის მოსაზრებით, ორპალატიანი პარლამენტის პირობებში უკეთ მოხდებოდა საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, რაც, ასევე, რეგიონის ინტერესების გასათვალისწინებლად დამატებითი გარანტიაცია იქნებოდა. ზედა პალატა პილიტიკური კონფლიქტების დროს „არბიტრის” როლის მატარებელი შეიძლებოდა გამხდარიყო. სახელ-

მწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ იგი ერთგვარი დამაბალანსებელი იქნებოდა მეორე პალატის მიმართ, ორმედიც პარტიული ინტერესების მოჭარბებულ საფრთხეს წარმოადგენს. საკონსტიტუციო კომისიის წევრთა აზრით, ორპალატიანი პარლამენტი პოლიტიკური სპექტრის სრულყოფის შესაძლებლობას შექმნიდა, რამდენადაც პალატა, გარკვეულწილად, განტვირთულია რეგიონალური ინტერესებისაგან და მირითადად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობას უკავშირდება. რა თქმა უნდა, კომისია აქცენტს საკანონმდებლო პროცესის ხარისხის გაზრდაზეც აკეთებდა³⁶.

კომისიის მეორე ნაწილი არ ემსრობოდა ზედა პალატისათვის რაიმე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილების მინიჭებას. საკონსტიტუციო კომისიის წევრთა ნაწილის აზრით, თუ ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი მოედი მოსახლეობის სრული წარმომადგენლობა, როგორც პილიტორიული ნიშნით, ბიკამერალიზმის იდეა აზრს კარგავდა. ერთპალატიანი პარლამენტის მომხრეები მიიჩნევდნენ, რომ კონსტიტუციაში უნდა არსებულიყო ორპალატიანი პარლამენტის პერსპექტივა, რომლის ამოქმედება დაკავშირდებული იქნებოდა სწორედ „შესაბამისი პირობების“ დადგომასთან. ჯგუფის წევრთა ეს ნაწილი ბიკამერალურ პარლამენტს მხოლოდ ტერიტორიულ წარმომადგენლობასთან აკავშირდება და უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტიტუციურ ფრაზაში „შესაბამისი პირობები“, სწორედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენას გულისხმობდა.

საკონსტიტუციო კომისიის საკანონმდებლო ხელისუფლების ჯგუფის მოსაზრებებში ნათქვამია, რომ „საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილის ინტერესების დაცვაც კი, რომელიც გასახები მიზეზების გამო არ ცხოვრობს საკუთარ ტერიტორიაზე, შესაძლებელია, ასევე, ერთპალატიანი პარლამენტის პირობებში, გონიერულად გაწერილი პარლამენტის დაკომპლექტების წესის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებლი იქნება საქართველოს კეთებული წარმომადგენლობა. სამაგიეროდ, არ დადგება ბიკამერალიზმის ნეგატიურ მხარეებთან ბრძოლის აუცილებლობა.³⁷ თუ საკითხის გაზრდება ამ კუთხით მოხდებოდა, მაშინ მთავარი არა ორპალატიანი პარლამენტის იდეა, არამედ საარჩევნო სისტემა გახდებოდა.

როგორც ვხედავთ, ჯგუფის წევრთა არგუმენტები უნიკამერალიზმის სასარგებლოდ საკმაოდ ლოგიკურად იყო დასაბუთებული, თუმცა, მაინც, პასუხებაუცემელი რჩებოდა კითხვა: თუ

³⁶ საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისის სარედაქციო ჯგუფის სხდომა №1, 5-6.08.2010 წ.

³⁷ საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისის სარედაქციო ჯგუფის სხდომა №1, 5-6.08.2010 წ.

³⁵ იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 23 ივნისის №348 ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ”.

წარმომადგენლობის „უზრუნველყოფის მთავარი განმსაზღვრელი საარჩევნო სისტემაა, მაშინ რატომ ვტოვებთ ბიკამერალიზმს საქართველოს კონსტიტუციის პირველ თავში კონსტიტუციური წეობის ფუძემდებლურ პრინციპად?

ორპალატიანი პარლამენტი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სხვა მნიშვნელოვან სოციალურ დატვირთვასაც ატარებს. მხედველობაში გვაქს საკანონმდებლო პროცესის დახვეწა, საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის უწყვეტობა და სხვ. საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში პროექტიც კი იყო მომზადებული, რომელიც ნორმატიულად ასახავდა პალატებს შორის უფლებამოსილების გადანაწილებას, თუმცა, როგორც უკვე აღნიშნეთ, საბოლოოდ მასზე აქცენტი არ გაკეთებულა და 2013 წლისათვის რედაქტირებულ საქართველოს კონსტიტუციაში კვლავ უნიკამერალური პარლამენტია მოცემული მე-3 თავში, ბიკამერალიზმის პერსპექტივით კონსტიტუციის მე-4 და 49-ე მუხლებში.

ბიკამერალიზმის წინაპირობათა ინტერპრეტაციის მრავალუროვნება თავად კონსტიტუციის მე-4 მუხლში გამოყენებული ფრაზების ზოგადი და მრავალინტერპრეტირებადი შინაარსითაა განპირობებული.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის პრობლემური ფრაზა „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნა“ მთავარი წინაპირობაა, რომლის დაგმაყოფილების შემთხვევაშიც, სავარაუდოა, რომ ქვეყანაში თრაპალატიანი პარლამენტის იდეა განხორციელდება. აღნიშნული ფრაზა, კველაზე მეტი ალბათობით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას გულისხმობს. კონსტიტუციური კანონმდებელი ზედა პალატის ფორმირებისას მიანიშნებს, რომ დეკუტატები აირჩევიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებიდან, აგრეთვე, სხვა ტერიტორიული ერთეულებიდან. ეს მიზანმიართულად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს პარლამენტის ზედა პალატა - სენატი ტერიტორიული წარმომადგენლობის პრინციპის სტრუქტურული რეალიზაციის ფორმაა. საკანონმდებლო ორგანოს ფორმირების აუცილებელი პირობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენასთან.

ის, რომ საქართველოს მომავალი პარლამენტის ზედა პალატა - სენატი ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული (გარდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისა), მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფოს სურვილია, უზრუნველყოს ხალხის თანაბარი, თუ გნებავთ - ორმაგი მონაწილეობა ცენტრალური საკანონმდებლო სელისუფლების გახორციელებაში, რათა უმრავლესობის გადაწყვე-

ტილებაშ უმცირესობანი ამ თანამონაწილეობის გარეშე არ დატვოს.

თუმცა, კონსტიტუციის მე-4 მუხლის ამ თითქოს უდავო რედაქციის ინტერპრეტირებისას ჩვენ კიდევ ერთი დილემას ვაწყდებით: ბიკამერალიზმის რეალიზაცია ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების სელშემწყობი ფაქტორია თუ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მოგვარების შემდგომ, ამ ტერიტორიული ერთეულების სტატუსთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას, მათი ჩართულობის გარანტი?! ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ ქართულა-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში შესაძლებელია, ორპალატიანი პარლამენტის იდეა და კონფლიქტის მეორე მხარის სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის პერსპექტივის გაჩენა პოზიციურ უქსტად ჩაითვალოს კონფლიქტის მეორე მხარის მიერ და კონფლიქტის მოგვარების სელშემწყობი ერთეული გარემოებად იქცეს.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის მოდელზე საუბარი არ წარმოადგენს ამ ნაშრომის მიზანს, თუმცა ბიკამერალიზმის კონსტიტუციური პრინციპი არ შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საკითხთან კონტექსტის გარეშე.

ტრადიციულად, ბიკამერალური პარლამენტის ზედა პალატა ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობას უზრუნველყოფს. სახელმწიფო სელისუფლების ვერტიკალური დანაწილებისას სელისუფლების ქვედა რგოლი ტერიტორიულ ერთეულებს ეკუთვნის. რაც უფრო მეტია მათი ავტონომიურობა და დამოუკიდებლობის ხარისხი, მით უფრო გაზრდილია მათი მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის განხორციელება კი პარლამენტში მათი წარმომადგენლობით ხდება. მთელ რიგ ქვეყნებში ფედერაციის სუბიექტის შესახებ გადაწყვეტილება პარლამენტში ვერ მიიღება, თუ ზედა პალატაში ამ ერთეულის წარმომადგენლობა თანხმობა არ იქნა. ამასთან, იზრდება ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინება ცენტრალური სელისუფლების განხორციელებისას: წარმომადგენლები ისეთი კანონების მიღებას ცდილობენ, რაც ტერიტორიულ ერთეულებს და იქ მცხოვრებ მოსახლეობას მდგომარეობას გაუჟმჯობესებს.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრობლემები და ქართული სინამდვილე იმაზე მიანიშნებს, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზების საკითხის მოწესრიგების კონსტიტუციურ-სამართლებრივ რეგლამენტაციაში ბიკამერალიზმის იდეა საკუთარი პოზიციური დანიშნულება უნდა იპოვოს. ბიკამერალიზმი საფუძვლი უნდა გახდეს იმისა, რომ მოსახლეობას, კონკრეტული ტერიტორიული ერთეულისადმი “მიკუთვნების” საფუძველზეც პქონდეს საკუთა-

რი წარმომადგენლების არჩევის შესაძლებლობა, რომლებიც მათი “ტერიტორიული” ინტერესების დაცვას შეუწყობენ ხელს.

საქართველოს პარლამენტის ბიკამერალური ორგანიზების შემთხვევაში აგხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობას აუცილებლად უკოლება (მუხლი 4, პ.3) წარმომადგენლობა ზედა პალატაში, რათა მათ საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება შეძლონ. თუ ზედა პალატაში საქართველოს ავტონომიური ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობის ქვოტები, მათი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, უფრო მაღალი იქნება (ანუ მათი მანდატების ოდენობა ავტონომიური სტატუსის ადეკვატური იქნება და არა მოსახლეობის პირდაპირპროცესში ან სხვა ტერიტორიული ერთეულების თანაბარი), აღნიშნული შექმნის ავტონომიური ერთეულის მოსახლეობისათვის/ეთნოსისათვის უფრო მეტ გარანტიას, თავად იყენებ ჩართულები მათ სტატუსთან დაკავშირებული, ასევე საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა საკითხების გადაწყვეტაში. “განსაკუთრებული კვოტა” ავტონომიური სტატუსის მქონე ტერიტორიული ერთეულებისათვის, ან მათთვის სპეციალური “განსაკუთ-რებული უფლებამოსილების” მინიჭება, შესაძლებელია, გულისხმობებს მათ უფლებასა და შესაძლებლობას, ვეტო დაადონ ქვედა პალატის იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც მათ სტატუსს და საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხებს შექმნა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბიკამერალიზმის იდეა სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ნებისმიერი მოდელის (ფედერალიზმი, რეგიონალიზმი, უნიტარიზმი) ფარგლებში შეიძლება იქნას გათვალისწინებული. მთავარია, რომ არსებობდეს მოსახლეობის ტერიტორიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობა, ასევე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვით სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების შესაძლებლობა, რათა გაძლიერდეს საკანომდებლო ორგანოს სტატუსი და როლი საზოგადოებრივ ცხოველებასა და ხელისუფლების ტრიადაში.

არ შეიძლება, არ შევხეოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლში არსებულ ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, ბიკამერალური პარლამენტის პერსპექტივა ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებასაც დაუკავშირდა. 1995 წლის კონსტიტუციის მიღებისას ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა ქვეყანაში არ იყო ჩამოყალიბებული, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, 2006 წლიდან, ანუ 2009-2010 წლების კონსტიტუციურ რეფორმამდე, „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ მირითადი პრინციპების შესაბა-

მისად უკვე ჩამოყალიბებული იყო. აქედან გამომდინარე, უპასუხოდ დარჩა კითხვა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირება, საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლში, როგორც ბიკამერალურ სისტემაზე გადასცვლის წინაპირობა, რატომ იქნა შენარჩუნებული 2009-2010 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შემდგაც?

ჩვენი აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობა, თავისი არსით, რაც მდგომარეობს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებასა და შესაძლებლობაში, უშადოდ ჩაერთონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ადგილზე, პირდაპირ ან წარმომადგენლებების მეშვეობით გადაწყვეტაში, არ უნდა უბავშირდებოდეს პარლამენტის ფორმირების წესსა და მის სტრუქტურას. ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფო ხელისუფლებასთან ერთად საჯარო ხელისუფლებას წარმოადგენს, მაგრამ მისგან მკაფიოდ გამიჯნული კონსტიტუციური ინსტიტუტი; ადგილობრივი თვითმმართველობა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ვერტიკალში მყოფი ინსტიტუტი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ადგილზე წარმომადგენლობას უზრუნველყოფს. ის სახელმწიფო ხელისუფლების პარალელურად მოქმედი ხელისუფლებაა, რომლის უფლებამოსილებებისა და შესაძლებლობის უფლებამოსილებებისაგან. შესაბამისად, არსის თვალსაზრისით რთულია მსჯელობა, თუ რა კავშირი აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ბიკამერალურ პარლამენტობან. თუმცა, აქ შეიძლება ვიგარაულოთ, რომ კონსტიტუციური კანონმდებელი ცდილობდა ბიკამერალიზმი დაეკავშირებინა არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ ავტონომიურ ერთეულებთან, არამედ ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებთანაც, სადაც სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება. ამ ინტერპრეტირებით, სენატის ფორმირება დაუკავშირდება არა მხოლოდ მსხვილ ტერიტორიულ ერთეულებს, არამედ მთავარი საფუძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული განსახლების მიხედვით მოსახლეობის უზრუნველყოფა იქნება.

ბიკამერალიზმის კონსტიტუციურ იდეაზე საუბრისას ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ორადატიანი პარლამენტის ფორმირების წესსაც, ვინაიდან პარლამენტის ბიკამერალურობასა და მისი ფორმირებისას გამოყენებულ საარჩევნო სისტემასა და პალატათა რიცხოვნებას შორის კავშირი აშკარად იკვეთება. ამასთან, ჩვენი დაკვირვებით, ორპალატიან პარლამენტში პალატების ფორმირების ზოგადი წესი და ორიგენობა ბიკამერალიზმთან დაკავშირებულ კიდევ ერთ დილეგმას წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ქვედა პალატის არჩევას პროპორციული წესით, ხოლო მესამე პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ ზედა პალატა ძირითადად ტერიტორიულ ერთეულებში არჩევლი წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდება.

რესპუბლიკის საბჭოს პროპორციული წესით ფორმირება ერთეული მნიშვნელოვანი გარანტიაა იმისა, რომ ქვეყნის პარლამენტის ქვედა პალატაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობა იქნება უზრუნველყოფილი. ეს, თავისთავად, გაზრდის პოლიტიკური პარტიების როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქართულმა გამოცდილებამ აჩვნია, რომ პარლამენტის საქმიანობაში ყველაზე აქტიურები პარტიული სიებით მოხვედრილი წარმომადგენლები არიან; შესაბამისად, პარლამენტის ქვედა პალატაში გამარჯვებისთვის იბროლებს პოლიტიკური საარჩევნო სუბიექტი, რომელიც უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში აიღებს სრულ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს მმართვაზე, აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაზე, ვინაიდან კონსტიტუციაში ბოლოს განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებას პარლამენტი უმრავლესობის მქონე (მოსული) პოლიტიკური სუბიექტი მოახდენს.

ამასთან, საგულისხმოა, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ასარჩევი წევრების რაოდენობა საქართველოს კონსტიტუციის დღვეულები რედაქციის მიხედვით, უმთხვევა თვითმმართველი ერთეულების რაოდენობას და ერთმანდაგიანი საარჩევნო ოლქიც თვითმმართველი ერთეულის საზღვრების მიხედვით არის შექმნილი. ჩვენ ზემოთ უკვე გამოვხატეთ ჩვენი ნებაზიური ხედვა თვითმმართველი ტერიტორიული ერთეულების პარლამენტის სტრუქტურასთან დაკავშირების თაობაზე. უკრალდებას გამახვილებთ იმზე, რომ არსებულ სისტემაში არ არის გათვალისწინებული ოკუპირებული ტერიტორიებიდან ასარჩევი წევრები იმ მოტივით, რომ საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია ამ ტერიტორიებზე არ ვრცელდება. არადა, ორპალატიანი პარლამენტის ფორმირება და დღისათვის ოკუპირებული ტერიტორიების საპარლამენტო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა პარლამენტის ზედა პალატაში (თუნდაც თავისუფალი/დაუკავებელი მანდატების სახით) შესაძლოა, ადამიანებისთვის (მათ შორის აფხაზებისთვის, ოსებისთვის), რომელიც ამ ტერიტორიებზე ცხოვრობენ, სამართლებრივად გაფორმებული ერთგვარი პოლიტიკური დაპირება იყოს, რომ მათ ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და ხელისუფლების განხორციელების პროცესში ჩართვისთვის გარანტირებული ადგილები აქვთ პარლამენტის ზედა პალატაში (და არა უნიკამერალურ პარლამენტიში, სადაც პარლამენტის საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, ბე-

ნებრივია, ამ უმცირესობათა თუ ავტონომიური ერთეულების წარმომადგენლობითი კვოტა ვერ იქნებოდა ისეთი საგულისხმო, რომ მისაღები გადაწყვეტილების შინაარსზე მოახდინოს ზემოქმედება).

საქართველოს კონსტიტუცია აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარდა, საიდანაც სენატის წევრები უნდა აირჩენ, სხვა ტერიტორიულ ერთეულებს არ ასახელებს, თუმცა უნდა ვივარაულოთ, რომ კონსტიტუცია სხვა ტერიტორიულ ერთეულებში იმ ტერიტორიულ ერთეულებს გულისხმობს, რომელთაგანაც თავად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია შედგება. მხედველობაში გვაქს მხარეები (9 მხარე), აგრეთვე, დედაქალაქი, რომელიც არ შედის არცერთი მხარის შემაღებელობაში. ამასთან, ჩვენი დრმარწმენით ტერიტორიული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისას მხედველობაში, უპირატესად, ტერიტორიული ერთეულის სტატუსი უნდა იქნას მიღებული და მხოლოდ ამის შემდეგ - მოსახლეობის ოდენობა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აგრეთვე შიდა ქართლის მხარის, რომლის შემაღებელობაშიც ყოფილი სამხრეთ თევთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია და მოსახლეობა შედის, წარმომადგენლობითი კვოტა პარლამენტის ზედაც პალატაში – სენატში, შესაძლებელია იყოს გაცილებით მაღალი, უფრო აღეკვატური ტერიტორიული ერთეულის სტატუსისა, ასევე, უფრო მისაღები საქართველოს იმ მოსახლეობისათვის, რომელსაც გამძაფრებული ეთნიკური (ეროვნული) თვითგამორკვევის პროცესი ახასიათებთ.

საქართველოს კონსტიტუციაში საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა და მათი არჩევის წესი რამდენჯერმე შეიცვალა. 2008 წლის მოწვევის პარლამენტი 150 წევრისაგან შედგება, პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩეული 75/75 დეუტატისაგან, თუმცა პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების გამოყენებით ასარჩევი დეუტატის თანაფარდობასთან დაკავშირებით პოლიტიკურ ძალებს შორის დისკუსია დღემდე მიმდინარეობს და მაჟორიტარული წესით ასარჩევ დეუტატობა რაოდენობა 73-დან 83-მდე მერყეობს.³⁸

ბიკამერალიზმა, ჩვენი აზრით, საარჩევნო სისტემის დახვეწაზე მიმდინარე პოლიტიკური დებატები მოცემულ ეტაპზე არსებულ პოლიტიკურ ძალებს შორის პოლიტიკური შეთანხმების ფორმატიდან, ბე-

³⁸ 2011 წლის დეკემბერისათვის პოლიტიკურ საარჩევნო სესხიერებს შორის შემდგარი შეთანხმებით, ახალგორისა და ლიახვის საარჩევნო ერთმანდაგიანი ოლქების ტერიტორიების უკაპირების ფაქტის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის პარეგული პუნქტის შესაბამისად, რომელიც მაღალი წევრი 2012 წლის მთიანი საარდამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი რექტორის გამოქვეყნებიდან, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გამოყენებით აირჩევა პარლამენტის 73 წევრი, ხოლო პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე – 77.

შესაძლებელია, კონსტიტუციურ-სამართლებრივ სისტემურ დაგაში გადაიყვანოს, რომლის გადაწყვეტაც გამორიცხავდა საქართველოს პარლამენტის რიცხოვნების საკითხის მოახლოებულ მორიგ საპარ-ლამენტო არჩევნებთან დაკავშირების ნებატიურ პრაქტიკას.

ყველა ფაქტორის, მათ შორის, ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საქართველოს პარლამენტის ორივე პალატაში წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 150-ს. რესპუბ-ლიკის საბჭო უნდა შედგებოდეს პროპორციული წესით არჩეული 100 დეპუტატისაგან, ხოლო სენატი - მაჟორიტარული წესით საქარ-თველოს მსხვილი (მხარეები, თბილისი) და განსაკუთრებული - აგზონომიური სტატუსის მქონე ტერიტორიული ერთეულებიდან პირ-დაპირი წესით არჩეული 45 და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მიხედვით, ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედების შემდეგ პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი. იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად გამართლებულია აღ-ნიშნული მიდგომა, შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნორ-მის ანალიზს მოვახდენთ. თანამედროვე მსოფლიოს კონსტიტუციები თავად აწესრიგებენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა პარლამენტის სტრუქტურა, უფლებამოსილებები. შესაბამისად, ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, რა სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმაა სა-ჭირო ბიკამერალიზმის ამოქმედებისთვის? საქმარისია თუ არა ორგანული კანონის მიღება ან მხოლოდ კონსტიტუციის შეცვლა? ვფიქრობთ, ბიკამერალიზმის ამოქმედებას აუცილებლად დასჭირ-დება კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, მაგალი-თად, კონსტიტუციის მესამე თავში, რომელიც საქართველოს პარლა-მენტის სტატუსისა და უზნეციების კონსტიტუციურ რეგლამენტა-ციას შექება, მითუმეტებ, რომ კონსტიტუციის ერთ-ერთი ამოცანა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მისი უმაღლესი ორგანოების ორ-განიზაცია და სამართლებრივი რეგლამენტაციაა. ჩვენი აზრით, სპე-ციალური ორგანული კანონის მიღება ორპალატიანი პარლამენტის ფორმირებასთან დაკავშირებით ზედმეტია. საქართველოს პარლა-მენტის ბიკამერალური სისტემა, შემადგენლობა და კომპეტენციები საქართველოს კონსტიტუციის მე-3 თავში საჭიროებს განსაზღვრას; თავად პალატათა ფორმირების საკითხი საქართველოს საარჩევნო კოდექსის რეგულირების საგანია, ხოლო პალატათა მუშაობის წესი - მათ მიერვე მიღებული რეგლამენტებისა.

ორპალატიანი პარლამენტის იდეა, პალატათა სხვადასხვა უფ-ლებამოსილების ვადით, ბუნებრივად ითვალისწინებს პოლიტიკურ დალებს შორის დაპირისპირებისა და პოლიტიკური კრიზისის არ-სებობის შემთხვევაში მოსახლეობის შესაძლეობლობას, მორიგი ზე-

და ან ქვედა პალატის მოახლოებულ არჩევნებში დააფიქსიროს, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას ანდა რა პოლიტიკურ მისწრაფებებს უქერს მხარს და ამით განმუხტოს პოლიტიკური კრიზისისაკენ მი-მართული დააბულობა ხელისუფლებასა და ხალხს შორის. ნების-მიერი ხელისუფლება და პოლიტიკური ძალა შებოჭილია საზოგა-დოებივი აზრით, რადგანაც მთავარი, ვინც გასცემს გადაწყვ-ტილების მიღების მანდატს, სწორედ ხალხია.

ბიკამერალიზმის კონსტიტუციური რეგლამენტაცია, შესაძლებე-ლია, ხშირად პოლიტიკური კრიზისის დაძლევისა და პოლიტიკური პლურალიზმის განვითარების ხელშემწყობი აღმოჩნდეს. ქართული რეალობა მუდმივად გამოირჩეოდა პოლიტიკური დაბაბულობებითა და მდელვარებით, რაც ქუთის აქციების დროს ქვეების პოლიტიკური ხელისუფლების დამხობისა და მათი რევოლუციური გზით შეცვლის მოწოდებებში გამოიხატებოდა. ხელისუფლების რომელიმე შტოში სისტემური ცვლილებებისა და პოლიტიკური რეალობის გარდაქ-მნის შესაძლებლობა, არა რომელიმე კონკრენტული ინსტიტუტის გადაწყვეტილებაზე უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ საზოგადოებაზე. ხელისუფლების წყარო „ხალხი“ ამ კვლავერს არჩევნების გზით უნდა ახორციელებდეს. არჩევნები კი დემოკრატილი სახელმ-წიფოს განუყოფელი ნაწილია და პოლიტიკური ჩართულობის უალ-ტერნატივი შესაძლებლობა. ამ დასაბუთებით, ვფიქრობთ, საქართვე-ლოს პარლამენტის რესპუბლიკის საბჭოსა და სენატის უფლებამო-სილების ვადები განსხვავებული უნდა იყოს: რესპუბლიკის საბჭო უნდა აირჩოდეს 4 წლის ვადით, ხოლო სენატი - 6 წლის ვადით.

საქართველოში პარლამენტის ბიკამერალურმა ორგანიზაციამ, ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობის გარდა, შესაძლე-ბელია, რამდენიმე სხვა არსებითი ფუნქციაც შესარულოს.

აღიარებულია, რომ ორპალატიანი პარლამენტის პირობებში არ არსებობს „შეუძლებელი დემოკრატიის“ საფრთხე. ერთადაბრიანი პარლამენტის ნაკლად, მით უმეტეს, თუ მისი ფორმირებისას პრი-ორიტეტულად პორპორციული საარჩევნო სისტემა გამოიყენება, ით-ვლება ის, რომ მის ხელში თავმოყრილია მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება და არ არსებობს მის მიერ განსხვარციელებული კა-ნონშემოქმედებითი საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანო (პრეზი-დენტის სუსპენზური ვეტო, მისი პარლამენტის მიერ გადალაციის შესაძლებლობით, შემაკავებელ უფატურ ბერკტად ნაკლებად გა-მოდება); აარტიკული (ქვედა) პალატა კი ტრადიციულად შებოჭილია პოპულისტური და ნაჩერევი გადაწყვეტილებების მიღების სურვი-ლით, რაც, ზოგჯერ, განსაკუთრებით წინასაარჩევნო ბატალიების წინ, სამთავრობო პოლიტიკაშიც პპოვებს ხოლმე ასახვას. აღია-შული ვითარების განეიტრალური შესაძლებლობა ბიკამერალიზმითა

და ზედა პალატის არსებობით, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება.

ბიკამერალური პარლამენტის შემთხვევაში ქმედითი ზედა პალატა აკონტროლებს და ბოჭაგის ქვედა პალატას საკანონმდებლო ხელისუფლების ნებისმიერი სახის მონოპოლიისაგან. ტრადიციულად, ორპალატიანი პარლამენტების მქონე ქვეყნებში, მთავრობა ანგარიშვალდებულია და ასუებისმგებელია ქვედა პალატის წინაშე, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბიკამერალიზმი იძლევა შესაძლებლობას, პარლამენტის ქვედა პალატაში უმრავლესობით მყოფი პოლიტიკური ძალა და მის მიერ ფორმირებული მთავრობის საქმიანობა დაბალანსდეს, განსხვავებული წესითა და გადით არჩევლი ზედა პალატით. ზედა პალატას ამ დროს შესაძლებლობა ექნება გააკონტროლოს ქვედა პალატის საქმიანობა, მისი საქმიანობის დაბალანსებით, ზემოქმედება მოახდინოს ქვედა პალატის მიერ ფორმირებული მთავრობის საშინაო და საგარეულო პოლიტიკაზე და თვითან აიცილოს, ან თუნდაც, შეამციროს რეალური პოლიტიკური ძალაუფლების ერთი პოლიტიკური ძალის მიერ სრულად ხელში აღების შანსები. ბიკამერალიზმი ქმნის დაბალანსებულ სისტემას, რათა ძალაუფლება არ იყოს თავმოყრილი რომელიმე კონკრეტული ინსტიტუციისა თუ პოლიტიკური ძალის ხელში.

ასევე, საგულისხმოა ის, რომ ბიკამერალიზმის დროს საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის ინსტიტუციური უწყვეტობაა უზრუნველყოფილი. საპარლამენტო და ნახევრად საპარლამენტო რესპუბლიკებში, როგორც წინა თავში მოცემული შედარებით-სამართლებრივი ანალიზში ვნახეთ, ხშირია პოლიტიკური კრიზისები (მთავრობის ფორმირებასთან, მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებასთან ან, პირიქით, მისთვის ნდობის გამოცხადებასთან, საბიუჯეტო ან სხვა საკანონმდებლო აქტის მიღებასთან დაკავშირებით), როდესაც არსებობს დაპირისპირება აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს მეთაური, პრეზიდენტი, იძულებული ხდება, აამოქმედოს არბიტრის ფუნქციები და კრიზისის დასაძლევად, დაითხოვოს წარმომადგენლობითი ორგანო ან მისი ქვედა პალატა და ხელისუფლების სუვერენს – ხალხს მიმართოს ახალი არჩევანის გასაკეთებლად. საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნის შემთხვევაში, ქვეყანა დროებით შეიძლება აღმოჩნდეს კანონშემოქმედებითი ინსტიტუტის გარეშე, რაც თავისთავად სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების უამრავ პრობლემას ქმნის. ბიკამერალური საპარლამენტო სისტემები ამისგან დაზღვეულები არიან, რადგანაც პრეზიდენტი, როგორც წესი, მხოლოდ ქვედა პალატის დათხოვნის უფლებით სარგებლობს. ამ დროს კი უზრუნველყოფილი ხდება საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის ინსტიტუციური, შეზღუდულად - ფუნქციური უწყვეტობაც. აღსანიშნავია,

რომ პალატების უფლებამოსილებები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც კიდევ უფრო ამყარებს ზემოთქმულს.

ქართულ სინამდვილეში პოლიტიკური კრიზისების არსებობა, სამწუხარიდ, ხშირია. ხელისუფლების დანაწილების მოქმედი მოდელი იძლევა შესაძლებლობას, კრიზისის დროს საქართველოს პრეზიდენტმა დაითხოვოს პარლამენტი. ზედა პალატის არსებობა კი, შესაბამისი კონსტიტუციური რეგლამენტაციის შემთხვევაში, შესაძლებელს გახდიდა, საკანონმდებლო ხელისუფლება ინსტიტუციურ დონეზე, თუნდაც ერთი პალატის სახით შენარჩუნებულიყო, საკუთარი ექსკლუზიური ფუნქციებით.

ბიკამერალური პარლამენტის ერთ-ერთი პალატის დათხოვნის შემთხვევაში, როგორც წესი, მეორე პალატა არ არის ხოლმე უფლებამოსილი, განახორციელოს საკანონმდებლო პროცესი (დაკავდეს კანონშემოქმედებით საქმიანობით), თუმცა პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნის შემთხვევაში, განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტენციები მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია, გადანაწილდეს პარლამენტის ზედა პალატასა და სახელმწიფოს მეთაურს შორის. ჩვენი აზრით, განსაკუთრებული დროებითი საკანონმდებლო რევიმი, რა თქმა უნდა, შესაბამისი კონსტიტუციური რეგლამენტაციის შემთხვევაში, გამონაკლისის სახით ქვედა პალატის არარსებობის პირობებშიც შეიძლება განხორციელდეს, მით უფრო, რომ ასეთ განსაკუთრებულ და დროებით საკანონმდებლო რევიმს ქართული კონსტიტუცია უკვე იცნობს.

საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-3¹ მუხლის შესაბამისად, პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძნებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე დათხოვნილი პარლამენტი იქიდება პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების ან/და საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაგრძელების საკითხის გადასაწყებად, რის შემდეგადაც საქმიანობას წყვეტს. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტების ი) ქვეპუნქტების შესაბამისად, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს შესაბამისად საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე. დეკრეტები წარედგინება საქართველოს პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან ამ უფლებამოსილების გამოყენება, ერთი მხრივ, გამართლებულია ქვეყნაში ამ დროს მოქმედი პირობებიდან გამოდინარე, როდესაც აუცილებელია სწრაფი დ ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება საკანონმდებლო დონეზე, თუმცა, მაინც, სასურველია, რომ ამ განსაკუთრებული დროებითი საკანონმდებლო რევიმის პირობებში

საკანონმდებლო კომიტეტით განხორციელებისას საკანონმდებლო ხელისუფლების ინსტიტუციამაც მიიღოს მონაწილეობა. ბიკამერალური პარლამენტი ამის საშუალებას ზედა პალატის დაუთხოვნელობის შემთხვევაში ცალსახად და მარტივად იძლევა.

ორპალატით პარლამენტის მოწინააღმდეგები საუბრობენ ბიკამერალურ პარლამენტში საკანონმდებლო პროცესის გაჭიანურებაზე, თუმცა, როგორც წინა თავებში უცხოური პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, თანამედროვე ბიკამერალიზმს, ამ დიდების დაძლევის საკმარის მოხერხებული მეთოდები აქვს გამომუშავებული. კანონშემოქმედება პარლამენტის ისეთი საქმიანობაა, რა დროსაც პალატის საგადადებულო წესით ფლობენ საქაუთარ კომიტეტით. ზოგჯერ პალატათ საკანონმდებლო უფლებამოსილებები იღენტურია, ჯერ ერთი პალატა მსჯელობს კანონპროექტზე, შემდეგ – მეორე, ხოლო განსხვავების შემთხვევაში ინიშნება შემთანხმებელი კომისია, რომელიც საბოლოოდ ათანამებს კანონპროექტის ტექსტს ან კონსტიტუციურად რეგლამენტირებულია ერთ-ერთი პალატის უფლებამოსილება, გადალახოს მეორე პალატის ვეტო/შენიშვნები. ამასთან, ზოგჯერ საკანონმდებლო პროცესის ძირითადი ტვირთი ერთ პალატას აკისრია, ხოლო მეორე პალატა გამარტივებული წესით (1 მოსმენით) ან “დუმილით” (არ განიხილავს კანონპროექტს განსაზღვრულ ვადაში, რაც კანონპროექტის მოწონებად ითვლება) კანონმდებლობს.

საქართველოში ბიკამერალური პარლამენტის ფორმირების შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება საკანონმდებლო პროცესის ბიკამერალური სისტემით განხორციელების ყველაზე ეფექტური კონსტიტუციური მოდელის შემუშავება. საკანონმდებლო პროცესის ეფექტურად და გაჭიანურების გარეშე განხორციელების მიზნით, მიგაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციით მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს საკითხები, რომელთა თაობაზეც ორივე პალატაში სავალდებულო წესით უნდა განხორციელდეს საპარლამენტო მოსმენები (განხილვები), საკითხებისგან, რომელთა შესახებაც საკანონმდებლო პროცესის ძირითადი ტვირთი რესპუბლიკის საბჭოს ექნება, ხოლო სენატი გამარტივებული პროცედურებით (“დუმილით” მოწონება, 1 მოსმენით დამტკიცება და სხვ.) იქნება ჩართული. აღნიშნული იდეის რეალიზაცია აუცილებლად მოითხოვს საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლით საქართველოს პარლამენტის ნაწილობრივ განსაზღვრული კომპეტენციის დაკონკრეტებასა და განაწილებას პალატების მიხედვით.

ვფიქრობთ, სენატის სავალდებულო განხილვასა და სრულყოფილი საკანონმდებლო შესაბამისი პროცედურების ჩატარებას უნდა დაექვემდებაროს:

- კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვა, კონსტიტუციური კანონების მიღება;
- კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცება;
- საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირება, დებონსირება და გაუქმება;
- ორგანული კანონების მიღება;
- კანონის მიღება, თუ ის ეხება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს;
- ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღება.

ჩვენი აზრით, სხვა ყველა შემთხვევაში, სრულყოფილი საკანონმდებლო პროცესი რესპუბლიკის საბჭოში უნდა წარმართოს. კანონპროექტის სამი მოსმენით მიღების შემდეგ, რესპუბლიკის საბჭოდან კანონპროექტი უნდა გადაეგზაგნოს სენატს, რომელიც გამარტივებული წესით (1 მოსმენით) იმსჯელებს და 14 დღის ვადაში კენჭს უყრის კანონპროექტს. ვფიქრობთ, შესაძლებელი უნდა იყოს რესპუბლიკის საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტის სენატში განხილვის გარეშე (სენატის მიერ 14 დღის განმავლობაში განუხილველად დატოვებით) “დუმილით” მიღებაც.

თუ კანონპროექტის განხილვისას ვერ მოხდება პალატებს შორის შეთანხმება, შესაძლებელი უნდა იყოს ერთობლივი შემთანხმებელი კომისიის/კომიტეტის შექმნა, რომლის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით ორივე პალატის წარმომადგენლები შევლენ; თუ ამ ფორმატშიც ვერ მოხერხდება კანონპროექტის რედაქციაზე შეთანხმება, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება პარლამენტის ქვედა პალატას – რესპუბლიკის საბჭოს უნდა მიენიჭოს.

ჩვენი აზრით, საკანონმდებლო ინიციატივა მეტწილად ქვედა პალატაში უნდა დაიწყოს, თუმცა პარლამენტის ზედა პალატასა და მის წევრებს, ასევე, სასურველია, პლინგერ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. რაც შეეხება კანონშემოქმედებითი პროცესის დაწყებას ზედა პალატაში, ვფიქრობთ, ეს განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა ხდებოდეს, მაგალითად - სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით.³⁹

ბიკამერალურ პარლამენტში საკანონმდებლო პროცესის ჩვენ მიერ შემოთავაზებული განზოგადებული ხედვა, ვვარაუდობთ, რომ ბიკამერალიზმის მოწინააღმდეგებებს არ მისცემს შესაძლებლობას,

³⁹ სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციისა და ავტონომიური ტერიტორიული ერთეულის სტატუსთან დაკავშირებით, ავტონომიური სტატუსს ქონის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობებისთვის სპეციალური შექმნიბითი ვეტოს უფლების მინიჭებას, როგორც ზემოთ აღვნიშვნთ, ავტონომიური ტერიტორიული ერთეულების სტატუსის ხელშეკრულების გარანტის ფუნქციას განიჭებთ.

იმსჯელონ საკანონმდებლო პროცესის გაჭიანურებაზე. ჩვენი აზრით, “ბიკამერალური მოდელის” საკანონმდებლო პროცესი, თუ ის არ იქნება ხელოვნურად გაჭიანურებული, შესაძლებლობას მოგცემს, ფკპასუხოთ ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა კანონშემოქმედებითი პროდუქტის ხარისხის ამაღლება, ავტონომიური ტერიტორიული ერთეულების ინტერესების დაცულობა და სხვ.

ხშირად, კონსტიტუციები მიჯნავენ ბიკამერალური პარლამენტების პალატათა კომპეტენციებს, რომელთან დაკავშირებითაც პალატები დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს და ამ უფლება-მოსილებათა განხორციელებაში შეორე პალატა არ ერევა. ბიკამერალური პარლამენტების კომპეტენციების ანალიზისას, გამოიყენა რიგი კომპეტენციებისა, რომელიც ტრადიციულად ქვედა (ხალხის მიერ უშუალოდ არჩეულ) ან ზედა (ტერიტორიული ან სხვა პრინციპით წარმომადგენლობითი) პალატის უფლებამოსილებად განისაზღვრება.

დამკვიდრებული უცხოური პრაქტიკისა და რესპუბლიკის საბჭოს ფორმირების თავისებურების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მთავრობის ფორმირების, მთავრობაზე კონტროლის განხორციელებისა და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების (უნდობლობის ვოტურის გამოცხადების) უფლებამოსილება, ასევე, ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის საბოლოო რედაქციით დამტკიცების კომპეტენცია რესპუბლიკის საბჭოს უნდა ჰქონდეს. რესპუბლიკის საბჭო წარმოადგენს პროპერციული წესით არჩეულ დეპუტატთა წარმომადგენლობას, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური კონფიგურაციის სარკა. მოსახლეობა, რესპუბლიკის საბჭოს დეპუტატების არჩევით, არჩევანს აკეთებს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რადგანაც მთავრობის დამტკიცებაში მთავარი როლი ტრადიციულად სწორედ ქვედა პალატას უკისრება. აღმასრულებელი ხელისუფლების რესპუბლიკის საბჭოს მიერ კონტროლის საჭიროება იმით აისხება, რომ სწორედ რესპუბლიკის საბჭო, როგორც მთავრობის ჩამოყალიბებელი პალატა, არის პოლიტიკური პასუხისმგებლობის მატარებელი აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტურ განხორციელებაზე; შესაბამისად, მასვე უნდა მიეცეს საშუალება, ანგარიში მოსთხოვოს და პასუხისმგებლობა დააკისროს მთავრობას.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის აღდერისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, შესაძლებელია, პალატათა შორის ფუნქციურად გადანაწილდეს; პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა ცალსახად არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ, გარკვეულწილად პოლიტიკურ ელემენტებსაც შეიცავს. თავად პროცესის დაწყება და საკითხის აღდერა პოლიტიკური მნიშვნელობისაა, ამიტომ ქვედა პალატას უნდა ჰქონდეს ექსკლუზიურად საკითხის აღდერის უფლებამოსილება და იგი ერთგვარ

ბრალმდებლად უნდა გამოვიდეს. საბოლოო გადაწყვეტილება კი სენატმა უნდა მიიღოს.

ამასთან, ზედა პალატის სიძლიერის უზრუნველსაყოფად, ძირითადი საკადრო უფლებამოსილები (მაგალითად, უზენაესი მოსამართლების თანამდებობაზე განწევება, ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირება და სხვ.) სწორედ სენატის კომპეტენციას უნდა წარმოადგენდეს (გამონაკლისია საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქართველოს სახალხო დამცველისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების არჩევა, რაც ვფიქრობთ, ორივე პალატის შეთანხმების საგანი უნდა იყოს).

ფუნქციათა და უფლებამოსილებათა პალატებს შორის ჩვენ მიერ შემოთავაზებული პრინციპების საფუძველზე გადანაწილების შემთხვევაში, ვფიქრობთ, მივიღეთ ძლიერ სენატს, რომელიც წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებისას საქართველოს პარლამენტის რესპუბლიკის საბჭოს ეფექტურ პარტნიორობას გაუწევს.

დასკვნა

ბიკამერალიზმის არსისა და პარლამენტის ბიკამერალური ორგანიზაციის თავისებურებათა ზოგადი ანალიზის საფუძველზე, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ბიკამერალიზმს გაცილებით მეტი პოზიტივი ახასიათებს, ვიდრე ნეგატივი. ბიკამერალიზმის ნეგატივზე განზოგადებული საუბარი პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით, ის სხვადასხვა შეიძლება იყოს.

ეველაზე ზოგადად, ბიკამერალიზმის ნაკლად მისი ხარჯიანობა შეიძლება ჩაითვალოს. ორივე პალატას სტირლება ცალ-ცალკე აპარატი, სამუშაო ადგილი (შენობა). პალატების უფლებამოსილების ვადის განსხვავებულობისას, რაც უდავოდ ხელს უწყობს სახელმწიფოში დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობას და მოსახლეობის სწრაფად ცვლადი პოლიტიკური მისწრაფებისა თუ სიმპატიების დროულ ასახვას პარლამენტის შემადგენლობაში, დამატებითი ხარჯებია გასაღები საარჩევნო პროცესის უზრუნველსაყოფა-დაც. ბუნებრივია, პრმანენტული არჩევნები გარკვეულ ფინანსებთან იქნება დაკავშირებული.

საქართველოში ბიკამერალიზმის ამოქმედების სპეციფიკურ გამოწვევად რჩება, ასევე, სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის პრობლების გადაუჭრელობა, თუმცა ოქუპირებული ტერიტორიების წარმომადგენლობის სენატში დროებით ვერარჩევის პირობებშიც, ბიკამერალურ საარლამენტო მოდელზე გადასვლამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს კონფლიქტური რეგიონების ჩართვას კონფლიქტების მოგარების პროცესში, რა თქმა უნდა, თუ ჩვენ ბიკამერალიზმს განვიხილავთ, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული მოლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის წინმსწრებ ინსტიტუციურ სტრუქტურას და არა დეოკუპაციის შემდგომ გარანტიას ავტონომიური ან სხვა ტერიტორიული ერთეულებისათვის, მონაწილეობა მიიღონ საერთო ეროვნული საკითხების გადაწყვეტაში.

თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გვჯერა, რომ გარკვეული ზედმეტი ხარჯის გადებაც შესაძლებელია, თუ ის იმ მიზნის პროპრციულია, რა მიზანსაც სახელმწიფოს მართვაში მოსახლეობის, მათ შორის, ავტონომიური ერთეულებისა და მსხვილი ტერიტორიული ერთეულების მეტი ხართულობის უზრუნველყოფა, საკანონმდებლო სელისუფლების გაძლიერება და, იმავდროულად, მისი შიდაბალანსის, ასევე, საარლამენტო ხელისუფლების განხორციელების უწყვეტობის უზრუნველყოფა, დაბალანსებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა და საკანონდმებლო პროდუქტის ხარისხის ზრდა, საარლამენტო შრომის განაწილება და ბოლოს - პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობა წარმოადგენს.

დანართები

ცხრილი №1*

რეგიონი	პარლამენტი			
	ერთპალატიანი		ორპალატიანი	
	ქვეყნების რაოდენობა	%	ქვეყნების რაოდენობა	%
ევროპა	26	59	18	41
აზია	30	64	17	36
ამერიკა	15	43	20	57
აფრიკა	31	58	22	42
ახსტრალია და ოკეანია	10	61	4	29

*Киселева Наталья Васильевна “История и География Современного Бикамерализма”; Геополитика и екодинамика регионов. 2009. Т.5. Вып.1. С.83-86. Раздел II. Прикладные Аспекты Екодинамики.

ცხრილი №2* (2000 წლის მონაცემები)

სრულად არჩეული ზედა პალატები			ნაწილობრივ არჩეული/ნაწილობრივ დანიშნული ზედა პალატები		დანიშნული ზედა პალატები
პირდაპირი წესით	არაპირ- დაპირი წესით	შერქ- ული წესით	პირდა- პირი წესით	რაპირდა- პირი წესით	
არგენტინა აგხტრალია ბოლოვია ბრაზილია ჩილე კოლუმბია ჩეხეთი დომინიკას რესპუბლკა პარაგვა იაპონია ლიბია მექსიკა ნიგერია პალაუ პარაგვაი ფილიპინები პოლონეთი რუმინეთი შვეიცარია ტაილანდი აშშ ურავგა	ავსტრია ბოსნია- ჰერცოგოვინა კონგო კოორპაია საფრანგეთი გაბონი გერმანია მაროკო ნამბია პოდია აკისტანი სლოვენია სამხრეთ აფრიკა სუდანი	ბელგია გერმა- ნეთი	იტალია ზიმბაბვე	ავღანეთი ალეპი ბელარუსი ბოტსვანა ბურუნდი კამბოჯა ეგვიპტე ინდოეთი ირლანდია კაზახეთი მადაგასკარ ი მალაიზია რუსეთის ფედერაცია რვანდა სვაზილენდ ი ტაჯიკეთი ტუნიზია უზბეკეთი	ანტიგა და ბარბუკი ბაჰამა ბარბადოსი ბაკობინი ბელიზი კანადა კონგოს დემოკრატიული ლიონ რესპუბლიკა ფიჯის კუნძულები გრენადა იამაიკა იორდანია ლეხოთო ომანი სანტა ლუსია ტრინიდადი და ტობაგო გაერთიანებული ლი სამეფო იემენი
22	14	2	2	18	17

*ელ.წყარო საფრანგეთის სენატის ოფიციალური ვებგვერდი:

<http://www.senat.fr/senatsdumonde/introenglish.html>

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი მელქაძე ოთარი, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2008.

2. მელქაძე ოთარ, კონსტიტუციონალიზმი, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია წიგნი XXI, თბილისი, 2008.

3. მელქაძე ოთარ, რამიშვილი ნუცა, გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ლიტერატურის სერია წიგნი IX, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, თბილისი, მერანი, 1999.

4. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, ავტორთა კოლექტივი, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი გონაშვილი ვასილ, კავშირი “იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის”, “თბილისელები”, თბილისი, 2006.

5. ავთანდილ დემეტრა შვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, საბ. სახლი “ინოვაცია”, 2011.

6. Patrice Gerald, Report on Second Chambers in Europe - Parliamentary Complexity or Democratic Necessity? European Commission For Democracy Through Law, Strasbourg, 26 November 2006.

7. Muthoo Abhinay / Shepsle Kenneth A., The Constitutional Choice of Bicameralism, 2007. Institutions and Economic Performance. (Elhanan Helpman, Ed.), Cambridge, MA: Harvard University Press.

8. Rosier Collan B., Separate but Equal: The Essence of American Bicameralism, Utraque Unum – Spring/Summer, Pg. 31-34, 2009.

9. Gerard Larcher, Speech: “Bicameralism in Europe”, Friday 26 February 2010 at 4 p.m.

10. Druckman James N. / Thies Michael F., The Importance of Concurrence: The Impact of Bicameralism on Government Formation and Duration, American Journal of Political Science, Vol.46, No.4, Pp.760-771; Midwest Political Science Association, October 2002.

11. Diermeier Daniel / Eraslan Hulya / Merlo Antonio, Bicameralism and Government Formation, Revised February 2007

12. Suchocka Hanna, Bicameral Systems and Representation of Regions and Local Authorities: The Role of Second Chambers in Europe, Report on Improving the representation of regions and local authorities in Europe in a Second Chamber of Parliament – the Polish experience, Paris, 2008.

13. Onselen Peter van, Bicameralism and Representation: Partisanship and party expectations, School of International, Cultural & Community Studies Edith Cowan University, Refereed paper presented to the Australasian Political Studies Association Conference, University of Adelaide, 29 September - 1 October 2004.

14. Rybicki Elizabeth, Veto Override Procedure in the House and Senate, Congressional Research Service, CRS Report for Congress, Prepared for Members and Committees of Congress, July 19, 2010.

15. Madison James, The Federalist No. 10, The Utility of the Union as a Safeguard Against Domestic Faction and Insurrection (continued), Daily Advertiser, To the People of the State of New York, Thursday, November 22, 1787.

16. Madison James, The Federalist No. 62, The Senate, Independent Journal, To the People of the State of New York, Wednesday, February 27, 1788.

17. Testa Cecilia, Facchini Giovanni, Reforming legislatures: Is one house better than two?, CESifo Working Paper no. 2659, July 31, 2008.

18. Treier Shawn, Problems in Comparing Preferences Across Institutions, Conference on Bicameralism, Duke University, March 27-28, 2009.

19. Bond Jon. R. / Fleisher Richard / Stonecash Jeffrey M., Bicameralism and Institutional Sensitivity to Party Change in the U.S Congress, 1900-2006, Prepared for the Conference on Bicameralism, Duke University, March 26-29, 2009.

20. Gabrilyan Roman, The Comparative analysis of the Development of Bicameralism in Former British Colonies and Russia, ANZLH E-Journal, 2006.

21. Preece Alun A., The Development of Bicameral Parliamentary Systems, Paper presented at the Australasian Law Teachers' Association annual conference hosted by Murdoch University School of Law, Perth, Western Australia September 29 - October 2 2002.

22. Mironov S. M., Bicameralism, Democracy and the Role of the Civic Society, 3. Meeting of the Association of European Senates, Ljubljana, 28 June 2002.

23. Russell Meg, Judging the White Paper Against International Practice of Bicameralism, In Fitzpatrick, A. (ed.), The End of the Peer Show?, Responses to the Draft Bill on Lords Reform, 2011.

24. Federalism in Russia, Edited by Khakimov Rafael Dr., John D. and Catherine T. MacArthur's Foundation, The Project «Perspectives of Federalism in Russia: Theoretical and Practical Aspects», Kazan, 2002.

25. One Chamber or Two? Legislative Research Series, National Democratic Institute for International Affairs, 1998

26. Patterson, Samuel C. and Anthony Mughan, eds., "Senates: Bicameralism in the Contemporary World", Ohio State Press, 1999.

27. Киселева Наталья Васильевна, История и География Современного Бикамерализма, Геополитика и екодинамика регионов. Т.5. Вып.1. С.83-86. Раздел II. Прикладные Аспекты Екодинамики, 2009.

28. Совет Федерации: Эволюция статуса и функций / Отв. ред. Л.В.Смирнягин М.: Институт права и публичной политики, 2003

29. Бикамерализм в европейских парламентах: учет интересов и согласование позиций. Материалы международного семинара/Аналитический вестник Совета Федерации ФС РФ. -№ 22 (215), 2003

ელექტრონული წყაროები:

1. საფრანგეთის სენატის ოფიციალური ვებგვერდი: Bicameralism around the world: position and prospects. <http://www.senat.fr>
2. <http://press-pubs.uchicago.edu/founders/documents/v1ch13s7.html>
3. <http://www.govtrack.us/congress/committee.xpd>
4. აშშ კონგრესის ოფიციალური ვებგვერდი: "Legislative Process: How a Senate Bill Becomes a Law" ელ.წყარო: www.senate.gov
5. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ბუნდესტაგის ოფიციალური ვებგვერდი: <http://www.bundestag.de/>
6. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ბუნდესრატის ოფიციალური ვებგვერდი: <http://www.bundesrat.de>
7. <http://www.nato.int/acad/fellow/97-99/bogdanovskaya.pdf>
8. <http://press-pubs.uchicago.edu/founders/documents/v1ch12I.html>
9. <http://www.cluj-napoca.elsa.ro/en/bicameralism-vs-unicameralism-intr-un-stat-unitar>
10. რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო სათაობიროს ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.duma.gov.ru/>
11. რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://council.gov.ru/>
12. პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.sejm.gov.pl/english.html>
13. პოლონეთის რესპუბლიკის სენატის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.senat.gov.pl/en/>

Kakhi Qurashvili, Konstantine Chokoraia, Ana Buchukuri

Dilemmas of bicameralism

**Library of the Regional Centre for Research and promotion of
constitutionalism**

Eighth publication

**Batumi
2011**